



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-09/2
1981

40

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

3. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981, № 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



3. 1981

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ



ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

- ა. ბოჭორიშვილი, თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე,
- ჰ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი,
- ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი **ც. შალამბერიძე**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

- Бочоришвили А. Т., Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джioев О. И. (зам. редактора), Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор),

Ответственный секретарь **Ц. А. Шаламберидзе**

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაეცა წარმოებას 10.6.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.8.81; შეკვ. № 2890; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂; ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი. 7,9; უე 14166; ტირაჟი 600; ფახი 70 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



17054

ზინაარსი

ფილოსოფია

| | |
|--|----|
| ლ. მკვიდრიშვილი, ლოგიკის საგანი და ამოცანები | 5 |
| 3. მამსნიშვილი, მ. ხოროსნი, არასოციალისტურ საზოგადოებათა ინტელიგენცია, როგორც ისტორიულ-სოციოლოგიური პრობლემა | 21 |
| ზ. ბალაშვილი, ასახვის ბუნების რიკერტისეული გაგების კრიტიკა ლენინური თეორიული შეშეცნებითი პრინციპების შუქზე | 34 |

ფსიქოლოგია

| | |
|---|----|
| მ. დემიძე, მოტივაციური ფაქტორების გავლენა დაწვევებითი კლასების მოსწავლეთა აზროვნებაზე | 41 |
| ნ. პრალაშვილი, ექსპერიმენტული ფაქტები საერთო და განმასხვავებელ ნიშანთა შეცვლის ზეგავლენის შესახებ მსგავსების პოვნის ამოცანის გადაწყვეტაზე | 55 |
| მ. მიქაბერიძე, შიზოფრენიით დაავადებულის დამოკიდებულება ხშირი და იშვიათი სიტუაციებისადმი | 62 |

ჩვენი მემკვიდრეობა

| | |
|---|----|
| ბ. მებრილიძე, მთარული ცრურწმენებისა და „წინარელოგიური“ აზროვნების წესის შესახებ | 68 |
|---|----|

ანალი თარგმანები

| | |
|--|----|
| ფ. შელინგი, დეკარტი (გერმანულიდან თარგმნა ვ. ფეიქრიშვილმა) | 85 |
|--|----|

პრებიპა და ბიბლიოგრაფია

| | |
|---|-----|
| ი. კალანდია, შემოქმედების ფსიქოლოგიიდან შემოქმედების ფილოსოფიამდე | 106 |
|---|-----|

კ. შარქანი საბ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

| | |
|--|----|
| Л. И. МЧЕДЛИШВИЛИ, Предмет и задачи логики | 5 |
| В. И. МАКСИМЕНКО, В. Г. ХОРОС, Интеллигенция несоциалистических обществ как историко-социологическая проблема | 21 |
| З. И. БАГАШВИЛИ, Критика риккертовского понимания природы отражения в свете ленинских теоретико-познавательных принципов | 34 |

ПСИХОЛОГИЯ

| | |
|---|----|
| О. Л. ДЕВИДЗЕ, Влияние мотивационных факторов на мышление учащихся начальных классов | 41 |
| Н. В. ЧРЕЛАШВИЛИ, Экспериментальные факты влияния изменения общих и отличительных признаков в решении задач по нахождению принципа сходства | 55 |
| М. О. МИКАБЕРИДЗЕ, Особенности отношения больного шизофренией к словам низкой и высокой частотности | 62 |

НАШЕ НАСЛЕДИЕ


| | |
|--|----|
| К. Р. МЕГРЕЛИДЗЕ, О ходячих суевериях и «пралогическом» способе мышления | 68 |
|--|----|

НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

| | |
|---|----|
| Ф. ШЕЛЛИНГ, Декарт (Перевод с немецкого В. Пеикришвили) | 85 |
|---|----|

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

| | |
|---|-----|
| И. Д. КАЛАНДИЯ, От психологии творчества к философии творчества | 106 |
|---|-----|



ფილოსოფია

ლარი მამალიძე

ლოგიკის საბანი და ამოცანები

(წილი I მთლიანად, ლოგიკის მეთოდოლოგიური საკითხები)*

1. როდესაც ვებობთ მეცნიერების ამა თუ იმ დარგზე, მაგ., ვახსიათებთ ლოგიკის საგანსა და ამოცანებს, შეიძლება გვინტერესებდეს მეცნიერების ეს დარგი, როგორც გარკვეული ეპოქისა და საზოგადოების პროდუქტი, როგორც ადამიანთა ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში მეცნიერება ჩვენთვის სოციალურ-ისტორიული მოვლენაა და მისი შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ მასზე მოქმედი და მის მიერ აღძრული ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქიკური, ზნეობრივი და სხვა ფაქტორები. მაგრამ მეცნიერებაზე ბჭობისას ჩვენი ინტერესის საგანი შესაძლოა დებულებათა და ცნებათა ის სისტემა იყოს, რომლის საშუალებითაც დაფიქსირებულია მეცნიერული კვლევის შედეგები — სინამდვილის საკვლევი ნაწილის კანონზომიერებანი. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მიზანია მეცნიერების საფუძვლადმდებარე პრინციპების, ცნებებისა და კვლევაში გამოყენებული მეთოდების გამოვლენა, შესწავლა და შეფასება, მეცნიერების ასეთი კუთხით შესწავლას მეცნიერების მეთოდოლოგია ეწოდება.

მეცნიერების მეთოდოლოგიის ერთი ნაწილია ფილოსოფიური მეთოდოლოგია, რომელშიც ხდება მეცნიერებაში ჭეშმარიტად მიჩნეული მსოფლმხედველობრივი პრინციპების გამოვლენა და ნათელყოფა, პრინციპებისა, რომლებიც საშუალებას აძლევს მეცნიერს, შეხედოს მან თავის საკვლევ სფეროს როგორც მთელი სინამდვილის ფრაგმენტს. საკუთრივ მეთოდოლოგიის მიზანია ხერხების, ოპერაციების, პროცედურების, საზოგადოდ მეთოდების იმ სახეთა გამოყოფა, ანალიზი და სიმედობის საზღვრების გარკვევა, რომლებიც მეცნიერული კვლევისას გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, ეს არის დასაბუთების, განსაზღვრების, განზოგადების, აბსტრაქციის, პრობლემათა გადაწყვეტის, დაკვირვებისა და ცდის, ფაქტების აღწერის, ახსნისა და წინასწარხედვის, ჰიპოთეზების ფორმულირებისა და შემოწმების, თეორიის აგებისა და მისი ვარგისიანობის დადგენის მეთოდები.

მეთოდოლოგიური კვლევის საბოლოო შედეგია შემეცნებითი პროცედურებისა და მეთოდების სტანდარტების ჩამოყალიბება. ამ სტანდარტების გამოყენება არის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იმისა, რომ კვლევისას თავი დავიცვათ შეცდომებისაგან, საზოგადოდ, არასაიმედო შედეგების მიღებისაგან. მეთოდოლოგიურ სტანდარტებს ზოგჯერ შეიძლება მიეცეს ქცევის ნორმების სახე: (თუ გსურს კვლევისას წარმატებას მიაღწიო, ან თუ გსურს მიაღწიო ამასა და ამას) მოიქეცი ასე და ასე (უფრო დაწვრილებით მეცნიერების მეთოდოლოგიის, მისი სტრუქტურისა და ცალკეული დარგების შესახებ იხ. K. Ajdukiewicz, Pragmatic Logic, Warszawa, 1974, Part III).

თუ ერთმანეთთან შევჯერებთ ლოგიკისა და მეცნიერების მეთოდოლოგიის ამოცანებს, დაინახავთ, რომ ლოგიკა მეცნიერების მეთოდოლო-

* წერილი პირველი იხ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1980, № 1.



გიის ნაწილია, რადგან დასაბუთებისა და განსაზღვრების მეთოდები მეცნიერულ კვლევაში გამოყენებული მეთოდებია. ეს გარემოება ნათელს ხდის, რომ მეცნიერება „უნდა ემორჩილებოდეს“ ლოგიკას: ყოველი მეცნიერი თავის პროფესიულ საქმიანობაში უნდა იცავდეს ლოგიკის კანონებსა და წესებს, თუკი არ სურს მას გაზარდოს კვლევისას მცდარი შედეგების მიღების შესაძლებლობა; ოღონდ ლოგიკის კანონების დაცვა მხოლოდ აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მეცნიერის პროფესიული საქმიანობის წარმატებისათვის.

ლოგიკა თვითონაც მეცნიერების დარგია და მეთოდოლოგიური კვლევის საჭიროება ლოგიკისთვისაც სამართლიანია: არსებობს ცნებები, პრინციპები და მოთხოვნები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ და დავიცვათ ლოგიკურ კვლევაში. ზოგიერთი მათგანის დახასიათება საშუალებას მოგვცემს მოვხაზოთ იმ კალაოტის ზოგადი კონტურები, რომლითაც წარიმართება ლოგიკური კვლევა-ძიება.

2. აზროვნებისეული აქტების ელიმინაცია. ბჭობისა და განსაზღვრების ანალიზისას ჩვენ პირველ წერილში გამოვყავით ლოგიკური თვალსაზრისით საინტერესო ობიექტების ოთხეულები: დებულება, მსჯელობა, საგნობრივი ვითარება, ჭეშმარიტების მნიშვნელობა; პრედიკატი, მახასიათებელი ცნება, ატრიბუტი, მახასიათებელი ცნების მოცულობა; სასაგნო მუდმივი, მიმთითებელი ცნება, საგნის მითითება, საგანი. ამ ოთხეულების პირველი და მეორე წევრები (ენობრივი გამოსახულებები და აზროვნებისეული აქტები) ბჭობის საშუალებაა, მესამე და მეოთხე წევრები კი — ბჭობის საგანი, ის, რაზედაც ვბჭობთ.

მართლაც, როდესაც ვბჭობთ. სულ ერთია უბრალოდ ვადასტურებთ რომელიმე დებულებას, თუ ვცდილობთ მის დასაბუთებას, ვბჭობთ არა იმ ენობრივ გამოსახულებებზე, რითაც ამ დროს ვსარგებლობთ, არა იმ აზროვნებისეულ აქტებზე, რომლებსაც ეს ენობრივი გამოსახულებები გამოხატავენ, არამედ მათ შინაარსებზე ან მოცულობებზე. მაგ., თუ ვადასტურებთ დებულებას — „ყველა ადამიანი არის მოკვდავი არსება“, ამით ვადასტურებთ რაღაც მიმართების არსებობას ადამიანად და მოკვდავ არსებად ყოფნის თვისებებს, ან ადამიანთა და მოკვდავ არსებათა სიმრავლეებს შორის და სულაც არ ვეხებით დამოკიდებულებას სიტყვისა „ადამიანი“ ფრაზასთან „მოკვდავი არსება“, ან შესატყვის ცნებებს შორის მიმართებას.

თუ გავითვალისწინებთ აზროვნებისა და ენის ერთიანობასა და განსხვავებას, ლოგიკაში გამოსაკვლევ ობიექტებს — ბჭობას, დასკვნას, დასაბუთებას, განსაზღვრებას და ა. შ., — თუკი მათი მხოლოდ შემეცნებითი შინაარსები გვაინტერესებს, ლოგიკური კვლევისას კი ეს მართლაც ასეა, — შეგვიძლია შევხედოთ როგორც ენობრივი გამოსახულებებისაგან, ისე აზროვნებისეული აქტებისაგან აგებულ ობიექტებს. მაგრამ თუ კვლევისას ზედმეტი სირთულის თავიდან აცილება გვსურს, უპირატესობა ენობრივ გამოსახულებებს უნდა მივცეთ შემდეგი მოაზრებების გამო: აზროვნებისეული აქტები რომ გვეკვლია, საქმე მაინც მათ გამოხატველ ენობრივ გამოსახულებებთან გვექნებოდა, რადგან აზროვნებისეული აქტები მხოლოდ ენის საშუალებით მოიცემიან ჩვენთვის, რადგან „ენა არის აზროვნების უშუალო სინამდვილე“ (კ. მარქსი); ენობრივი გამოსახულებები მატერიალური ობიექტები არიან და მათი კვლევისას ბუნებრივია განყენება გაეკეთოთ იმისაგან, თუ ვინ, როდის და სად წარმოთქვა, ამბობს ან იტყვის მათ და რადგანაც ჩვენ მხოლოდ მათი შემეცნებითი შინაარსი გვაინტერესებს, არ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოიცემა ისინი აზროვნებაში; შედარ-

რებით იოლია ამოვიცნოთ რთულ ენობრივ გამოსახულებათა აღნაგობა და კვალად მათი შინაარსების სტრუქტურა.

ამრიგად, შეიძლება მივიღოთ, რომ ენობრივი და მხოლოდ ენობრივი გამოსახულებებია ის ობიექტები, რომლებსაც აქვთ შინაარსი და მოცულობა, რომ ლოგიკური გამომდინარეობა არის მიმართება დებულებებს შორის, რომ ბჭობა, დასკვნა და განსაზღვრება ენობრივი და მხოლოდ ენობრივი გამოსახულებებისაგან შედგენილი ობიექტებია და ა. შ., და საზოგადოდ მივიღოთ, რომ ის, რაც ლოგიკაში გამოიკვლევა, ენისა და მხოლოდ ენის საშუალებით მოიცემა.

ენის ეს გამოცალკეება აზროვნებისაგან ლოგიკური კვლევის ფარგლებში არ ასახავს მათ რეალურ ურთიერთდამოკიდებულებას, ის მხოლოდ გარკვეული ხერხია, მე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ი პ რ ო ც ე დ უ რ ა ა, რომელიც კვლევის პროცესში უნდა იქნეს დატული. კვლევის პროცესში მიღებული ყველა შედეგი შემდგომში შეიძლება გადაფორმულდეს აზროვნებისეული აქტებისათვის.

ლოგიკური კვლევის პროცესში ენობრივი გამოსახულებების ხარჯზე აზროვნებისეული აქტების (და არა აზროვნების შინაარსების) ელიმინაციის ტენდენცია ლოგიკის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა. ეს ტენდენცია თავისებური სახით განახორციელეს ანტიფსიქოლოგისტურად განწყობილმა ფილოსოფოს-ლოგიკოსებმა (ბ. ბოლცანო, გ. ფრეგე, რ. კარნაპი), საყოველთაოდ მიღებულ მეთოდად კი ის იქცა დ. ჰილბერტისა და მათემატიკის დაფუძნებაში მისი მიმდევრების გამოკვლევების შემდეგ.

3. **ენა-ობიექტი და მეტაენა.** ლოგიკის ამოცანაა ბჭობის, დასკვნის, განსაზღვრების გამართულობის პირობების, მათ საფუძვლად მდებარე კანონების გამოკვლევა, მაგრამ ამ კვლევის პროცესში, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერი, ლოგიკოსი გამოიყენებს ბჭობას, დასკვნებსა და განსაზღვრებებს; ოღონდაც სხვებისთვის კვლევის საგანი სრულიად განსხვავდება ამ საშუალებებისაგან, ლოგიკოსისთვის კი ეს ორი რამ ერთმანეთს ემთხვევა, რაც წარმოშობს ე. წ. **იზოლიაციის პრინციპის** დარღვევის შესაძლებლობას ლოგიკური კვლევის პროცესში. ეს პრინციპი დატული უნდა იყოს ნებისმიერი სახის მეცნიერული კვლევისას და მოითხოვს, რომ ერთმანეთში არ აყურიოთ, ერთის მხრივ, საკვლევი საგნისაგან და, მეორეს მხრივ, თვით მკვლევარისაგან და მის მიერ გამოყენებული საშუალებებისაგან მიღებული მონაცემები.

იზოლაციის პრინციპის დარღვევის შესაძლებლობა უკვე დიდი ხნის წინათ იყო შემჩნეული ფილოსოფოსებისა და ლოგიკოსების მიერ, მაგრამ მათი უმრავლესობა მას სახიფათოდ არ მიიჩნევდა; ადამიანის აზროვნება არის ისეთი რამ, ფიქრობდნენ ისინი, რასაც ძალუძს ერთსა და იმავე დროს იყოს სუბიექტიც და ობიექტიც შემეცნებისა; „სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი სულის ის საუცხოო თვისება, რომელიც ხდის მას მოქმედ ძალადაც და მისი მოქმედების საგნადაც“ (ს. დოდაშვილი). მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალსაზრისი ეყრდნობა ადამიანის გონების ძლიერების რწმენას (რაც თავისთავად მართალია), იგი გულუბრყვილო და არაკრიტიკულია; მასში უბრალოდ სხვა სიტყვებით არის გადმოცემული ის მდგომარეობა, რომელიც ბადებს ხიფათის შიშს, და არ არის ნაჩვენები, რომ ასეთი შიში უსაფუძვლოა.

მათ უმეტეს რომ ხიფათის შიში უნიადაგო სულაც არ არის: იზოლაციის პრინციპის დარღვევა შედეგად იძლევა ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი ა ნ ტ ი ნ ო მ ი ე ბ ი ს აღმოცენებას, რომლებიც, თუ თავიდან არ იქნა აცილებული, გამოიწვევს ლოგიკური კვლევის შედეგების გაუფასურებას. მართლაც, თუ ცოდნის რაიმე სფე-



როში გამოყვანილია ანტინომია, ე. ი. თუ საბუთდება როგორც რაიმე დებულება, ისე მისი საწინააღმდეგო, მაშინ ორივე ეს დებულება ჭეშმარიტად უნდა იქნეს მიჩნეული (თვითთული მათგანი ხომ დასაბუთებულია!), მაგრამ ორფასობის პრინციპის ძალით (იხ. წერილი პირველი) ამ ორი დებულებიდან ერთ-ერთი მცდარია და გამოდის, რომ ჭეშმარიტად უნდა მივიჩნიოთ მცდარი დებულება. ასეთ კატასტროფულ შედეგამდე რომ არ მივიდეთ, საჭიროა დავრწმუნდეთ, რომ ცოდნის მოცემულ სფეროში ანტინომია არ აღმოცენდება, ხოლო თუ ასეთი რამ მაინც ხდება, უარი ვთქვათ ცოდნის ამ სფეროზე, ანდა მასში ვავატაოთ ისეთი „რეფორმა“ (კვლევის საშუალებათა შეზღუდვა, საკვლევი სფეროს დავიწროება და სხვ.), რაც ანტინომების აღარაღმოცენების გარანტიას მოგვცემდა.

სემანტიკური ანტინომებიდან ყველაზე ცნობილია ე. წ. ც რ უ ს ა ნ ტ ი ნ ო მ ი ა, მისი თავდაპირველი სახეა დებულება «ყველა კრეტელი ცრუობს», რომელიც ვითომდა გამოთქვა ვინმე კრეტელმა, და ის შემდგენიად შეიძლება ჩამოყალიბდეს: განვიხილოთ დებულება «ეურნ. «მაცნეს» 1980 წლის მე-4 ნომრის მე-4 გვერდის ზემოდან მე-15 სტრიქონზე დაბეჭდილი დებულება არის მცდარი», აღვნიშნოთ ეს დებულება «S» ასოთი (მიაქციეთ ყურადღება, რომ S დებულებაში თვითონ S დებულებაზეა ნათქვამი მცდარიაო. ძალზე იოლად საბუთდება, რომ S ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც S მცდარია, საიდანაც გამოდის, რომ ჭეშმარიტი უნდა იყოს როგორც S, ისე მისი უარყოფა.

ყოველი ანტინომიის გამოყვანა ბჭობის პროცესია და მასში, როგორც ყოველი ბჭობისას, ვეყრდნობით გარკვეულ წანამძღვრებს. ამიტომ თუ გესურს თავიდან ავიცილოთ ანტინომია, მის გამოყვანას უნდა შეეხედოთ როგორც *reductio ad al surdum*-ს და აშკარად მცდარი დანასკვის მიღების გამო, საეჭვო გახვადოთ მისი ზოგიერთი წანამძღვარი, უარი ვთქვათ მათზე.

წანამძღვრები, რომლებსაც ვეყრდნობით ცრუსა და სხვა სემანტიკური ანტინომების გამოყვანისას, არსებითად ორ ჯგუფად იყოფა: 1) ვგულისხმობთ, რომ ენა, რომელშიც გამოგვყავს ანტინომია, არის სემანტიკურად დახშული ანუ იგი შეიცავს ამავე ენის გამოსახულებების მნიშვნელობის დამახსიათებელ ტერმინებს (ჭეშმარიტი, მცდარი, აღნიშნავს და ა. შ.) და ამ გამოსახულებათა სახელებს, 2) ვგულისხმობთ, რომ დასკვნები, რომლებიც გაკეთებულია ანტინომიის გამოყვანის პროცესში, გამართული დასკვნებია; ეს ვარაუდი ჩართულია ანტინომიის განსაზღვრებაშიც.

ამრიგად, ვდგავართ არჩევანის წინაშე: ან უარი ვთქვათ ენის სემანტიკურ დახშულობაზე, ანდა გაუმართავად მივიჩნიოთ უმარტივესი დასკვნები, დასკვნები, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გამოიყენებიან მეცნიერებაში. მეორე ალტერნატივის განხორციელება კატასტროფულ შედეგს იძლევა — შეუძლებელია ეჭვი არ შევიტანოთ მეცნიერული ცოდნის სიმართლეში და ამავე დროს გაუმართავად ჩავთვალოთ დასკვნის უმარტივესი სახეები, რომელთა გამოყენება მეცნიერული ცოდნის აუცილებელი პირობაა. პირიქით, მეცნიერული პრაქტიკა აღასტურებს, რომ ეს დასკვნები გამართულია.

რჩება ერთადერთი შესაძლებლობა — სემანტიკური ანტინომების წარმოქმნის და, მაშასადამე, იზოლაციის პრინციპის დარღვევის მიზეზი არის ენის სემანტიკური დახშულობა, ენის სემანტიკური დახშულობის თავიდან აცილების დღესდღეობით ყველაზე მიღებული მეთოდი ეკუთვნის ა. ტარსკის (A. Tarski, *Der Wahrheitsbegriff in den formalisierten Sprachen*, *Studia Philosophica*, 1, 1935). ამ მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: ლოგიკური კვლევის პრო-

ცესში ენა უნდა გაიხლიჩოს (და რადგან ლოგიკაში მართლაც მოპოვებულია გარკვეული ცოდნა, ასეთი გახლეჩა ყოველთვის განხორციელებულიც არის) ორ ქვეყნად; პირველი არის ენა, რომელზეც ვაყალიბებთ დებულებებს გარკვეული საგნობრივი არის შესახებ (საგანთა ეს არე შეიძლება იყოს გრძნობადი სინამდვილე, მისი ნაწილი, ლოგიკურ-მათემატიკურ ობიექტთა ერთობლიობა და სხვ.) და რომლის გამოსახულებებს შორის არსებული მ. მართებებიც გამოიკვლევა ლოგიკაში; ამ ქვეყნას საგნობრივი ენა ანუ ენა - ობიექტი ეწოდება. მეორეა ენა, რომელზედაც ყალიბდება დებულებები საგნობრივი ენის გამოსახულებათა შესახებ, ე. ი. ის, რომლითაც ვსარგებლობთ, რათა ვიბჭოთ საგნობრივ ენაზე, მას მეტაენა ანუ ენა-საშუალება ეწოდება. ლოგიკოსის ბჭობა ძირითადად მეტაენაზე მიმდინარეობს.

ენის ასეთი გახლეჩა მოასწავებს აზროვნების გაყოფასაც ორ შრედ, ოღონდ ამის შემდეგაც, ცხადია, ძალას ინარჩუნებს ტრადიციული აფორიზმი, რომ ადამიანის გონებას ძალუქს იყოს ობიექტიც და სუბიექტიც შემეცნებისა.

თავდაპირველი, თითქოს ერთიანი ენის აღწერილი სახის ტოტალური გახლეჩა და ამის შედეგად ყველა იმ გამოსახულების უაზროდ მიჩნევა, რომლებიც წარმოადგენს რაიმე ენაზე ამავე ენის გამოსახულებათა სემანტიკურ დახასიათებას, იძლევა იმის გარანტიას, რომ ლოგიკური კვლევის პროცესში იზოლაციის პრინციპი დაცული იქნება და სემანტიკური ანტინომები აღარ წარმოიშვება.

4. ენა ლოგიკური თვალსაზრისით. სამეტყველო ენას სემანტიკური დახშულობის გარდა აქვს ლოგიკური კვლევის ეფექტიანობის ხელისშემშლელი სხვა ხარვეზებიც: დებულებათა სტრუქტურის ბუნდოვანება, ომონიმების, მათ შორის მეტაფორების, ხმარება და რთულ გამოსახულებათა მნიშვნელობების არასაკმაო სიზუსტე; ენის გრამატიკული წესების მერყევი და არამკაფიო ხასიათი; ენის ისტორიულობა, ე. ი. აზრიანი გამოსახულებების, მათი მნიშვნელობების, აგრეთვე გრამატიკული წესების ცვალებადობა დროთა ვითარებაში. ესენი ხარვეზებია ლოგიკოსის პოზიციიდან, თორემ სწორედ მათ გამო იძენს ენა ყოფითი და მხატვრული თვალსაზრისით ძვირფას თვისებებს — ინდივიდუალობას, კოლორიტს, გამოყენებაში სილალეს, გრძნობათა გამოხატვის ძალას.

საგნობრივ ენას, ე. ი. ენას, რომელზედაც მოცემულია ლოგიკური კვლევის მასალა, მიზანშეწონილია, არ პქონდეს ეს ხარვეზები და ის, საზოგადოდ, თავისუფალი იყოს ენის გამოყენებელთა ფსიქიკური, სოციალური და ისტორიული გაპირობებულობით წარმოქმნილი დანამატებისაგან. ამის განსახორციელებლად საჭიროა საგნობრივი ენა გა დაკეთდეს, ოღონდ გადაკეთდეს ისე, რომ არ დაიკარგოს მასში ბჭობისა და განსაზღვრების ჩატარების და, მაშასადამე, შემეცნების პროცესში მისი გამოყენების შესაძლებლობა. ამრიგად, აღნიშნული „რეფორმის“ გატარებისათვის საჭიროა წინასწარ გადავარჩინოთ, რა დარჩეს გადაკეთებულ ენაში და რა — არა, ანუ პასუხი გავცეთ კითხვას — რა არის ენა ლოგიკური თვალსაზრისით?

ენა არის შემდეგი ოთხი კომპონენტის ერთიანობა: სიტყვათა ერთობლიობა, სიტყვებისაგან რთულ გამოსახულებათა, მათ შორის დებულებათა, აგების წესები, სიტყვათა მნიშვნელობის განმსაზღვრელი წესები და სიტყვათა მნიშვნელობებისაგან ამ სიტყვებით აგებული რთული გამოსახულებების მნიშვნელობათა განსაზღვრის წესები. ენას, როგორც ამ ოთხი კომპონენტის ერთიანობას, ჯერ კიდევ შეიძლება ახასიათებდეს, ზემოთ რომ გვქონდა საუბარი, იმ



ნაკლოვანებათაგან ზოგიერთი; მაგრამ ასე გაგებული ენა უკვე არსებითად განსხვავდება იმისაგან, რასაც ჩვეულებრივად ვეძახით ენას.

როგორია ამ ოთხი კომპონენტის ერთიანობის ქმნადობის ანუ ენის აგების პროცესი? ენის ასაგებად საჭიროა მოცემული იყოს ენის ანბანი, ენის წესიერად აგებული გამოსახულებების ცნება და ენის წესიერად აგებულ გამოსახულებათა ინტერპრეტაცია.

ანბანი არის საწყისი სიმბოლოთა (ასოთა) სასრული ერთობლიობა. საწყისი სიმბოლო აბსტრაქტული ობიექტია, რომელიც შეიძლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (გარკვეულ დროს, ადგილას, მასალით) ხორცშესხმული იქნეს. საწყისი სიმბოლოთა სასრულ წრფივ მიმდევრობათაგან აგების წესებით გამოიყოფა ზოგიერთი, რომლებსაც წესიერად აგებული გამოსახულებები ჰქვიათ. წესიერად აგებულ გამოსახულებებს სიტყვებსაც უწოდებენ; სიტყვაც აბსტრაქტული ობიექტია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მის ხორცშესხმებთან: ეწერთ ან წარმოვთქვამთ რა სიტყვას, ამით ვაწარმოებთ აბსტრაქტული ობიექტის — სიტყვის — ხორცშესხმას. თითქმის ყოველი, გამოსახვის საემო ძალის მქონე ენა წესიერად აგებულ გამოსახულებებს შორის შეიცავს სასაგნო მუდმივებსა და ცვლადებს, ერთ, ორ და ა. შ. ადგილიან პრედიატებს, სადებულებო ფორმებს, დებულებებს, ლოგიკურ მუდმივებს. საწყისი სიმბოლოები და წესიერად აგებული გამოსახულებები უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტურად ამოცნობის მოთხოვნას (თვისება ეფექტურად ამოცნობადია, თუ არსებობს ალგორითმი, რომელსაც მივუყენებთ რა ნებისმიერ ობიექტს ამ თვისების გამოყენების არედან, სასრული „მექანიკური“ გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ პასუხს კითხვაზე — აქვს თუ არა ამ ობიექტს ეს თვისება).

ინტერპრეტაციით ენის წესიერად აგებული გამოსახულებები იღებენ მნიშვნელობას, იძენენ აზრს. ენის ინტერპრეტაცია ხორციელდება ე. წ. სემანტიკით, ისინი ყალიბდება რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ენაზე, რომელიც ამ დროს მეტაენის როლს თამაშობს. სემანტიკური წესები ყოველი წესიერად აგებული გამოსახულებისთვის განსაზღვრავენ, როგორ აღნიშნავს რაიმეს ეს გამოსახულება ანუ ახასიათებენ მის შინაარსს (ცვლადების შემთხვევაში, ახასიათებენ ცვლადების შესაძლო მნიშვნელობათა არეს). თუ A_1, \dots, A_n, \dots დებულებები, რომლებიც ენის წესიერად აგებული გამოსახულებებია, ქვემარტივად მოცემულ ინტერპრეტაციაში, მაშინ მას ამ დებულებათა მოვლით ეწოდება.

სიტყვა „ინტერპრეტაციის“ ეს გაგება ნაწილობრივ ეთანხმება ამ სიტყვის ხმარებას ყოველდღიურ მეტყველებაში. მაგ., „ინტერპრეტაცია“ ხშირად ნიშნავს რაიმე ტექსტის (ზღვრულ შემთხვევაში სიტყვის) გაგებას, განმარტებას. ამ დროს არ ივარაუდება, რომ შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს ტექსტში შემავალი სიტყვების დამკვიდრებული მნიშვნელობები, თუმცა იგულისხმება, რომ ინტერპრეტაციისას ხდება ტექსტის ფარული აზრის გამოაშკარავება და მას შეიძლება ახლდეს თან ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის ასე თუ ისე შეცვლა (სხვა მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა „ინტერპრეტაცია“ მაშინ, როდესაც ლაპარაკობენ ადამიანთა ქცევის ან ქცევის შედეგების, მაგ., კულტურის მოვლენების ან ისტორიული ამბების, ინტერპრეტაციაზე). ინტერპრეტაციის ლოგიკურ ცნებაში სიტყვების მნიშვნელობათა შეცვლის შესაძლებლობები თითქმის არ იზღუდება. იგულისხმება რა, რომ ენობრივ გამოსახულებებთან მათი მნიშვნე-

ლოგები ბუნებრივი, მიზეზობრივი აუცილებლობით კი არ არიან დაკავშირებულნი, არამედ პირობითად, შეთანხმებით.

ცვლადების შემცველ გამოსახულებას, რომელიც ამ ცვლადების გარკვეული მუდმივებით ჩანაცვლებისას გარდაიქმნება დებულებად, სადებულო ფორმად ვწოდება. ცვლადების ის მნიშვნელობები, რომლებსთვისაც ჭეშმარიტია სადებულებო ფორმა, აკმაყოფილებენ მას. მაგ., სადებულებო ფორმას «ა არის ფილოსოფოსი», სადაც a სასაგნო ცვლადია, სოკრატე აკმაყოფილებს, ხოლო ერეკლე II-არა. შესაძლოა სადებულებო ფორმა არ შეიცავდეს არავითარ სპეციალურ მუდმივს, მაშინ მას ლოგიკური სადებულებო ფორმა (ან ლოგიკის ფორმულა) ვწოდება; მაგ., « a არის P » ან შემოკლებით « $P(a)$ », სადაც a სასაგნო, ხოლო P სათვისებო ცვლადია. a და P ცვლადების მნიშვნელობები სოკრატე და ფილოსოფოსი ან 7 და კენტი რიცხვი ამ სადებულებო ფორმას აკმაყოფილებენ, ხოლო მნიშვნელობები სოკრატე და პოეტი ან 12 და კენტი რიცხვი—არა.

თუ საგნობრივი ენა ზემოთ მოტანილი ყველა მოთხოვნის მიხედვით არის აგებული, მაშინ მას ფორმალური ანუ ფორმალისტული ენა ჰქვია. ენის ფორმალიზაცია გამჭვირვალესა და იოლად გამოსაკვლევს ხდის აზროვნების ლოგიკურ ბუნებას. ამავე დროს ენის ფორმალიზაცია მხოლოდ ლოგიკური კვლევის საშუალებაა, მეთოდია და არა მისი მიზანი. ლოგიკური კვლევის ფარგლებს გარეთ ასეთი სიზუსტით აგებული ენა არა თუ არ ვარგა კომუნიკაციისთვის, არამედ დაუძლეველი დაბრკოლების შემქმნელია, თუკი მის გამოყენებას მართლაც შევეცდებით შემოქმედებითი აზროვნების პროცესში ბუნებრივი ენის ნაცვლად.

ლოგიკოსები ამა თუ იმ ზომით ყოველთვის მიმართავდნენ საგნობრივი ენის აღწერილ გადაკეთებას (სწორედ ამის გამო ტოვებდა ხოლმე ლოგიკურ თხზულებებში მოტანილი ბჭობის ნიმუშები მშრალი და უსიცოცხლო მსგელობის შთაბეჭდილებას), თუმცა აშკარად ენის ფორმალიზაციის მოთხოვნები და მისი გამოყენების საზღვრები პირველად მხოლოდ გ. ფრეგემ (G. Frege, Begriffsschrift, Halle, 1879) დაახასიათა მე-19 საუკუნის ბოლოს.

5. თვისებებისა და მიმართებების იერარქია. ენა-ობიექტისა და მეტაენის ერთმანეთისაგან განცალკავებით ისპობა სემანტიკური, მაგრამ არა ლოგიკური ანტინომიების აღმოცენების შესაძლებლობა, ანტინომიებისა, რომელთა ფორმულირებისას არ არის აუცილებელი, გამოიყენონ ენობრივ გამოსახულებათა სემანტიკური დახასიათებანი.

განსხვავება ატრიბუტსა და საგანს შორის ლოგიკური თვალსაზრისით არ არის აბსოლუტური: ზმირად ზდება ხოლმე, რომ ეჭვობთ ატრიბუტებზე, ვახასიათებთ მათ, ანუ რომ ატრიბუტი არის ბჭობის საგანი. მაგ., თუ ვამბობთ სიწითლე ფერიაო, ამით ერთ თვისებას ვახასიათებთ მეორე თვისებით. რადგან ატრიბუტი, კერძოდ თვისება, შეიძლება იყოს საგანიც და დახასიათებაც, მაშინ შესაძლოა აგრეთვე თუ არა, რომ ერთმანეთს დაემთხვეს ატრიბუტი-საგანი და ატრიბუტი-დახასიათება? ვითარების წინასწარ აწონ-დაწონის გარეშე სრულიად სარწმუნოდ გამოიყურება შესაძლებლობა, დადებითი პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას. მოვიშველიოთ კონკრეტული მაგალითი. აბსტრაქტულიაო (ან აბსტრაქტული ობიექტიაო) ვამბობთ ხოლმე გარკვეული სახის საგნებზე (რიცხვებზე, საგნობრივ ვითარებებზე. თვისებებზე და ა. შ.) და ევლისხმობთ, რომ ეს ისეთი ობიექტია, რომელიც აღქმაში არ გვეძლევა და არა აქვს დროულ-

ვრცეული არსებობა. მაგრამ თვითონ აბსტრაქტულობაც ხომ ასეთია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭეშმარიტია დებულება „აბსტრაქტულობა არის აბსტრაქტული“.

პირველი დამაფიქრებელი მოსაზრება, რაც ზემონათქვამში ექვს შეგვატანინებს, ასეთია: საგანთა არე განსაზღვრავს იმ ატრიბუტების სიმრავლეს, რომლებიც მიეყენებიან ამ არეში შემავალ საგნებს, და თუ ვიტყვით, ატრიბუტი შეიძლება გამოვიყენოთ თავისი თავის დასახასიათებლად, მაშინ გამოვა, რომ თვითონ ატრიბუტი თავისი თავის აგებაში იღებს მონაწილეობას; იქმნება მანკიერი წრის მავარი სატუაცია. რომ ეს სიტუაცია მართლაც სახიფათოა, ამას ადასტურებს ამ ვითარებისას აღმოცენებადი ლოგიკური ანტინომიები.

ლოგიკური ანტინომებიდან ყველაზე ცნობილია ე. წ. რასელის ანტინომია (B. Russell, The Principles of Mathematics, London, 1903). აღწერილი ის. თუ P თვისებას აქვს P თვისება ე. ი, თუ ჭეშმარიტია დებულება «P თვისებას აქვს P თვისება» ან «P(P)», მაშინ P-ს ვუწოდოთ თვითგამოყენებადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა მცდარია დებულება «P თვისებას აქვს P თვისება», არათვითგამოყენებადი. მაგ., აბსტრაქტულობის თვისება თვითგამოყენებადია, ადამიანად ყოფნის თვისება კი—არა, რადგან თვისება ადამიანად ყოფნის თვითონ ადამიანი არ არის. თვითგამოყენებადობა და არათვითგამოყენებადობა თვითონაც თვისებებია, სახელდობრ, თვისებათა თვისებები, ამიტომ მათ მიმართაც შეიძლება დაისვას კითხვა მათი თვითგამოყენებადობა—არათვითგამოყენებადობის შესახებ. ახლა, თუ მართლაც დავსვამთ კითხვას—თვითგამოყენებადია თუ არა არათვითგამოყენებადობა? და შევეცდებით მასზე პასუხის გაცემას, ძალიან იოლად დავარწმუნდებით, რომ არათვითგამოყენებადობა თვითგამოყენებადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არათვითგამოყენებადია, საიდანაც უმაღლ გამოდის ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულების ჭეშმარიტება.

1902 წ. ახალგაზრდა ბ. რასელმა წერილით აცნობა მაშინ უკვე ცნობილ ლოგიკოსს გ. ფრეგეს, რომ მის შრომაში „არითმეტიკის ძირითადი კანონები“ განვითარებული ლოგიკისა და არითმეტიკის სისტემა ზემოთაღწერილი ანტინომიის შემცველია. გ. ფრეგემ, რომელიც იმ როლის მიხედვით, რაც მისმა შრომებმა ლოგიკის განვითარებაში შეასრულეს და დღესაც ასრულებენ, თამამად შეიძლება არისტოტელისა და ლაიბნიცის გვერდით დავაყენოთ, აღნიშნული შრომის მეორე ტომის „დამატებაში“ გულისტკივილით აღსავსე სტრიქონები ჩაწერა: „ყველაზე საშინელი რამ, რაც მწერალ-მეცნიერს შეიძლება შეემთხვეს, ალბათ არის დამსხვრევა მისი უძირითადესი კონსტრუქციისას მას შემდეგ, რაც მისი აგება მან უკვე დაამთავრა“.

როგორც გ. ფრეგეს ცხელ გულზე ნათქვამი სიტყვებიდანაც ჩანს, რასელის ანტინომიაში საქმე ძალზე მნიშვნელოვან რამეს ეხება: ანტინომია გამოყენილია ისეთი დედუქციური ბუბით, რომელიც არავითარ ფაქტორულ წინამძღვარს არ ეყრდნობა, ეს კი საეჭვოდ აქცევს ბუბის, ცნებათა ხმარებისა და სხვა ლოგიკური ოპერაციების საყოველთაოდ მიღებულ ხერხებს.

ლოგიკური ანტინომების მოხსნის მეთოდებიდან ერთ-ერთი პირველია ენაობიექტის აგება თვითონ რასელისაგან მომდინარე ატრიბუტების ტიპების თეორიის გამოყენებით (A. N. Whitehead, B. Russell, Principia mathematica, vol 1—3, Cambridge, 1910—13). ეს თეორია შემდგომში გამარტივებულ იქნა (ტიპების მარტივი თეორია) სხვა ლოგიკოსებისა და თვით რასელის მიერ.

ამ თეორიის მიხედვით არ არსებობს ატრიბუტი (თვისება და მიმართება) საერთოდ. არსებობენ მხოლოდ გარკვეული ტიპის ატრიბუტები, რომლებიც მკაცრად დადგენილ იერარქიას ქმნიან. „ატრიბუტი“, რომელსაც იერარქიაში ზუსტად განსაზღვრული ადგილი არ უჭირავს საერთოდ არ არის ატრიბუტი. ატრიბუტების იერარქია კი ასე იქმნება: უპირველეს ყოვლისა მოცემულია ინდივიდუალური საგანთა ერთობლიობა; ინდივიდუალური ნათქვამია იმის აღსანიშნავად, რომ ასეთი საგნები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ატრიბუტი, სხვა საგანთა დასახასიათებლად. ყოველ ატრიბუტს, რომლისთვისაც ეს სიმრავლე გამოყენების არეა, ეწოდება პირველი საფეხურის ატრიბუტი. მაგ., სიწითლე პირველი საფეხურის თვისებაა, თუკი ფიზიკური ობიექტებს ინდივიდუალურ საგნებად ჩავთვლით. ინდივიდუალური საგნები და პირველი საფეხურის ატრიბუტები ერთად შეადგენენ მეორე საფეხურის გამოყენების არეს: ატრიბუტი მეორე საფეხურისაა თუ მისი საარგუმენტო ადგილები შეიძლება ეკავოთ ინდივიდუალურ საგნებსა და პირველი საფეხურის ატრიბუტებს. ჩვენს მაგალითში ფერი მეორე საფეხურის თვისება იქნება, თუ სიწითლე და სხვა ცალკეული ფერები პირველი საფეხურის თვისებებია. მეორე საფეხურის ატრიბუტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადგილების რაოდენობითაც და იმითაც, თუ რომელი სახის ობიექტს შეიძლება ეკავოს ესა თუ ის ადგილი; ეს ორი რამ განსაზღვრავს ატრიბუტის ტიპს. ანალოგიურად განისაზღვრება მესამე, მეოთხე და ა. შ. საფეხურის ატრიბუტები.

ატრიბუტის ცნების ასეთი დაზუსტების მერე გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ატრიბუტის გამოყენების არეში თვითონ ეს ატრიბუტი შედიოდეს, რადგან თუ ერთი ატრიბუტი ხასიათდება მეორეთი, მაშინ ისინი სხვადასხვა საფეხურის ატრიბუტები არიან და რასელის ანტინომია აღარ აღმოცენდება.

6. ინდუქცია და დედუქცია. რეალური ბჭობის პროცესში გამოყენებული გამართული დასკვნები ორგვარია; თუ დასკვნის წინამძღვრების ჭეშმარიტება აუცილებლობით განაპირობებს დანასკვის ჭეშმარიტებას, ანუ თუ დასკვნის წინამძღვრებიდან დანასკვი ლოგიკურად გამომდინარეობს, მაშინ მას დედუქციური დასკვნა ეწოდება. მხოლოდ დედუქციური დასკვნებისაგან შედგენილ ბჭობაზე ამბობენ, ის დედუქციურიაო. ჭეშმარიტწინამძღვრებიანი დედუქციური ბჭობის თეზისი უკვე მოპოვებული ცოდნის ლოგიკური შედეგია. დასკვნას, რომლის წინამძღვრებიდან დანასკვი ლოგიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რომლის წინამძღვრები (გარკვეული ხარისხით) ადასტურებენ დანასკვს, ინდუქციური დასკვნა ეწოდება. მაგ., დებულება „ამა და ამ დროს გავხსენი ესა და ეს ონკანი და ონკანში წამოვიდა წყალი“ ადასტურებს, თუშცა ძალიან მცირედი ხარისხით, ზოგად პირობით დებულებას „თუ გავხსნი ონკანს, წამოვა წყალი“. თუ ბჭობაში გამოყენებული დასკვნებიდან ერთი მაინც ინდუქციურია, მაშინ ბჭობაზეც ამბობენ, რომ ინდუქციურიაო. ინდუქციური ბჭობით ვცდილობთ მისაღები გავხადოთ დებულება, რომელიც აგვიხსნის წინამძღვრებში აღწუსულ ფაქტებს ან სხვა ფაქტების წინასწარხედვის საშუალებას მოგვცემს.

ლოგიკის, როგორც ბჭობის გამართულობის პირობებისა და კანონების შემსწავლელი მეცნიერების ამოცანები სხვადასხვაგვარად დაკონკრეტდება იმისდა კვალად მხედველობაში გვექნება დედუქციური თუ ინდუქციური დასკვნები. სხვადასხვანაირი იქნება მათი კვლევის მეთოდებიც. ამის გამო ლოგიკა იყოფა

ორ ნაწილად, ეს ნაწილებია დედუქციური ლოგიკა და ინდუქციური ლოგიკა, დედუქციური ლოგიკა თავის მნიშვნელობით უფრო ფუნდამენტურია და საფუძვლად უდევს ინდუქციურ ლოგიკას.

დედუქციასა და ინდუქციას შორის არსებული განსხვავება განაპირობებს მეცნიერული დისციპლინების გაყოფასაც ორ ჯგუფად. ზოგიერთ მეცნიერებაში დასაბუთებად მხოლოდ დედუქციური ბჭობაა მიჩნეული, ზოგიერთში კი გარდა ამისა — ინდუქციურიც; პირველებს — დედუქციური, ხოლო მეორეებს ინდუქციური მეცნიერებანი ეწოდებათ. ყოველი მათემატიკური დისციპლინა, აგრეთვე ლოგიკა დედუქციური მეცნიერებაა.

ფაქტი, რომ ლოგიკა დედუქციური მეცნიერებაა, ლოგიკოსებისათვის მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ბოლომდე ნათელი, თუმცა უკვე არისტოტელის „პირველ ანალიტიკაში“ არის მოცემული დედუქციური მეთოდის ლოგიკაში გამოყენების კარგი ნიმუში. დედუქციური მეთოდის გამოყენება, ენის სიმბოლიზაცია და ლოგიკური მუდმივების აღგებურად ოპერაციებად განხილვა, რაც საშუალებას იძლევა ლოგიკური კვლევისას გამოიყენოთ აღგებრული მეთოდები, აქვთ ხოლმე მხედველობაში, როდესაც ლოგიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებაზე ლაპარაკობენ და როდესაც თანამედროვე ფორმალურ ლოგიკას მათემატიკურ ლოგიკას უწოდებენ. მათემატიკური ლოგიკა ტრადიციული ფორმალური ლოგიკის თანამედროვე საფეხურია.

დედუქციური მეთოდით აგებულ მეცნიერულ დისციპლინებს აქსიომატურ თეორიებს უწოდებენ. ყოველ აქსიომატურ თეორიაში თავიდანვე მოცემულია სია იმ ენობრივი გამოსახულებებისა (ტერმინებისა), რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ სხვა ტერმინებით მათი განსაზღვრების გარეშე ამ თეორიის დებულებათა ჩამოსაყალიბებლად (საწყისი ტერმინები) და იმ დებულებებისა, რომლებიც ამ თეორიაში ჭეშმარიტად არის მიჩნეული დასაბუთების გარეშე (აქსიომები); და მოითხოვება, რომ არ იქნეს გამოყენებული არც ერთი სხვა ტერმინი მისი საწყისი ტერმინებით განსაზღვრების გარეშე და არ იქნეს ჭეშმარიტად მიჩნეული არც ერთი სხვა დებულება აქსიომების, როგორც წინამძღვრების, გამოყენებით დედუქციური დასაბუთების გარეშე.

არსებობს აქსიომატური თეორიების რამოდენიმე სახე. მათგან ლოგიკური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ფორმალური აქსიომატური თეორია, რომელიც შემდეგნაირად კონსტრუირდება: აიგება ფორმალური ენის სინტაქსური ნაწილი, ანუ ენა ინტერპრეტაციის გარეშე (ასაგები თეორიის ენა), წესიერად აგებული გამოსახულებებიდან გამოიყოფა ზოგიერთი, რომელთაც აქსიომები ეწოდებათ, და მოიცემა დასკვნის ანუ გარდაქმნის წესები, მათი გამოყენებით გარკვეული სახის წესიერად აგებული გამოსახულებებიდან, როგორც წინამძღვრებიდან, გამოიყვანება გარკვეული სახის წესიერად აგებული გამოსახულება, როგორც დანასკვი (აქსიომებიც და დასკვნის წესებიც უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტური ამოცნობის მოთხოვნას). გარკვეული სახის წესიერად აგებული გამოსახულებების სასრულ მიმდევრობას ეწოდება დასაბუთება ფორმალურ აქსიომატურ თეორიაში, თუ ამ მიმდევრობის ყოველი წევრი ან არის აქსიომა, ან წინა წევრებიდან მიიღება დასკვნის რომელიმე წესის ერთგვისი გამოყენებით. ყოველი დასაბუთება არის დასაბუთება მისი ბოლო წევრისა, რომელსაც ამ თეორიის თეორემა ეწოდება. თეორიის ენის ინტერპრეტაციას, რომელიც თეორიის აქსიომების მოდელია, მთელი თეორიის მოდელი ეწოდება.

ამ მოკლე განმარტებიდანაც ჩანს ფორმალური აქსიომატური თეორიის შემდეგი თავისებურებანი: მასში წინასწარ მოცემულია ყველა ის საშუალება, რაც შეიძლება განსაზღვრებასა და ბჭობაში გამოვიყენოთ; თეორემათა ნიღბების, მათი „ჭეშმარიტად მიჩნევის“ საფუძველი არ არის ის, თუ რას ნიშნავს ეს გამოსახულება, არამედ მხოლოდ აქსიომებიდან დასკვნის წესებით მისი გამოყენება (დასაბუთება); მეტიც, წესიერად აგებულ გამოსახულებებს რაიმე კონკრეტული შინაარსი კი არ გააჩნიათ, არამედ შეიძლება მიეცეთ ხოლმე მათ მნიშვნელობა (სხვადასხვანაირი სხვადასხვა ინტერპრეტაციაში), ე. ი. მათ ფორმალურ აქსიომატურ თეორიებში ვუყურებთ როგორც ცვლადებსა და სადებულებო ფორმებს, კერძოდ, როგორც ლოგიკურ სადებულებო ფორმებს (უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ა. ტარსკი. ლოგიკისა და დედუქციური მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი, თარგმ. ინგ., თბ., 1971).

ფორმალური აქსიომატური თეორია არ არის პირველადი კვლევის საშუალება. ის უკვე აგებული აქსიომატური თეორიის ხელახალი აგების ხერხია მისი ლოგიკურ-მეთოდოლოგიური შესწავლის მიზნით. თუ შესასწავლი თეორია თვითონაც ლოგიკის ნაწილია, მაშინ ფორმალური დედუქციური თეორია ლოგიკური კვლევის ძალზე ნაყოფიერ საშუალებად იქცევა.

7. ლოგიკური გამომდინარეობის ცნების დაზუსტების შესაძლებლობა. დედუქციის კომპაქტურობა. ის, რაც აქამდე ვთქვით დედუქციური დასკვნის გამართულობაზე (თუ დედუქციური დასკვნის წინამძღვრები ჭეშმარიტია, მაშინ მისი დანასკვიც აუცილებლად ჭეშმარიტია, ანუ დედუქციური დასკვნის წინამძღვრებიდან დანასკვიც ლოგიკურად გამომდინარეობს), დედუქციური დასკვნების მხოლოდ ფაქტიური ხმარების საფუძველზე მიღებული ტერმინოლოგიური შეთანხმებაა. მაგრამ ზემოთ აღწერილი ცნებები და პრინციპები უფრო მეტის სახსარს იძლევა; სახელდობრ, საშუალება გვაქვს განვახორციელოთ ლოგიკური გამომდინარეობის ცნების ზოგადი, სქემატური დახასიათება, რაც შეგვიქმნის ამოსავალ მეთოდოლოგიურ პოზიციას ლოგიკური კვლევის შემდგომი წარმართვისათვის. დახასიათებისას ვეყრდნობით ლოგიკური გამომდინარეობის ცნების ინტუიციურ ხმარებას და, მაშასადამე, მას უნდა შევხედოთ როგორც ლოგიკური გამომდინარეობის ინტუიციური ცნების დამაზუსტებელ განსაზღვრებას (ქვემოთ მოცემულ მასალას საფუძვლად უდევს ა. ტარსკის ცნობილი წერილი ლოგიკური გამომდინარეობის შესახებ: A. Tarski, Über den Begriff der logischen Folgerung, Act. Congr. Phil. Sci. (Paris), Bd. VII, 1936, S. 1—11).

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამართული დედუქციური დასკვნა და ლოგიკური გამომდინარეობა ერთმანეთს არ ემთხვევა: ლოგიკური გამომდინარეობა დედუქციური დასკვნის გამართულობის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მართლაც, დასკვნა ბჭობის ნაწილია, ბჭობა კი სასრულო პროცესია, ამიტომ სასრულია მისი წინამძღვრების რაოდენობაც. მაშასადამე, ყოველ დედუქციურ დასკვნასაც სასრული რაოდენობის წინამძღვრები შეიძლება ჰქონდეს (დედუქციის კომპაქტურობა).

მეორეს მხრივ, როდესაც ლოგიკურ გამომდინარეობაზე ვლაპარაკობთ, არ იგულისხმება, რომ იმ დებულებათა რაოდენობა, საიდანაც რაიმე გამომდინარეობს სასრულია: ვთქვათ, P არის საგანთა რაიმე შესაძლო თვისება, $K = \{a_1, a_2, \dots\}$ — საგანთა უსასრულო სიმრავლე, რომელიც ნაწილია P თვისების გამოყენების არისა. მაშინ გამომდინარეობის ინტუიციური გაგების მიხედვით დებულებებიდან

a_1 -ს აქვს P თვისება,

a_2 -ს აქვს P თვისება,

(და ა. შ. უსასრულოდ K-ს ყოველი წევრისათვის)

გამომდინარეობს დებულება

K სიმრავლის ყოველ ელემენტს აქვს P თვისება.

ეს გამომდინარეობა არ შეიძლება დასკვნის სახით რეალიზდეს, რადგან ასეთ დასკვნას უსასრულოდ ბევრი წინამძღვარი ექნებოდა.

8. **ლოგიკური გამომდინარეობის სქემატური განსაზღვრება.** შევედაროთ ერთმანეთს სამი დასკვნა: (1) „ყველა ადამიანი მოკვდავი არსებაა, სოკრატე ადამიანია; მაშასადამე, სოკრატე მოკვდავი არსებაა“, (2) „ყველა ლითონი ელექტროგამტარია, რკინა ლითონია; მაშასადამე, რკინა ელექტროგამტარია“, (3) „გუშინ პეტრე იყო გორში ან იყო ბოლნისში, გუშინ პეტრე გორში არ იყო; მაშასადამე, გუშინ პეტრე იყო ბოლნისში“. თუ ჩვენს ლოგიკურ ალღოსა და გამოცდილებას დავემყარებით, უნდა ვთქვათ, რომ სამივე დასკვნა გამართულია, ე. ი. მათი წინამძღვრებიდან გამომდინარეობს მათი დანასკვნები, ოღონდ გამომდინარეობის საფუძველი, ანუ ის, რის გამოც გამომდინარეობა გვაქვს, (1) და (2) დასკვნებში ერთი და იგივეა, (3)-ში კი სხვაა.

ამავე დროს იოლი შესამჩნევია, რომ (1)-დან (2) მიიღება მასში შემავალი სპეციალური მუდმივების «ადამიანი», «მოკვდავი არსება», «სოკრატე» შესაბამისი შეცვლით სხვა სპეციალური მუდმივებით «ლითონი», «ელექტროგამტარი», «რკინა» და პირუტყუ. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამართული იქნება დასკვნა (4) «ყველა P არის Q, a არის P; მაშასადამე, a არის Q», სადაც P და Q ნებისმიერი თვისებებია, ისეთივე, როგორც ადამიანი, ლითონი, მოკვდავი არსება, ელექტროგამტარი, ხოლო a—ამ თვისებათა შესაძლო მატარებელი საგანი ისეთივე, როგორც სოკრატე ან რკინა. (3) დასკვნის შემთხვევაში ასეთი განზოგადება უფრო ფართოც კი შეიძლება იყოს და ვთქვათ, რომ გამართულია დასკვნა (5) «A ან B, არა-A; მაშასადამე B», სადაც A და B ნებისმიერი დებულებებია.

ამის გამო ჩვენი დაკვირვების ამ შედეგებს შეიძლება ასეთი საყოველთაო სახე მიეცეს: თუ A_1, \dots, A_n, \dots დებულებებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს B დებულება, მაშინ $A_1, \dots, A_n, \dots, B$ დებულებებში შემავალი ყველა სპეციალური მუდმივის ყოველნაირი შეცვლა იმავე სახის სხვა სპეციალური მუდმივებით (სასაგნო მუდმივებისა სასაგნო მუდმივებით, პრედიკატებისა იმდენივე ადგილიანი პრედიკატებით) შედეგად გვაძლევს ისეთ A'_1, \dots, A'_n, B' დებულებებს, რომ A'_1, \dots, A'_n, \dots დებულებებიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს B' დებულება.

ამრიგად, როდესაც ვადასტურებთ გამომდინარეობის არსებობას, ამით ვადასტურებთ ზოგად დებულებას, რომელიც ეხება არა მხოლოდ დებულებათა ერთ ჯგუფს, არამედ მრავალს, ოღონდ თვითთელი ამ მრავალთაგანი შიილება პირველიდან სპეციალური მუდმივების აღწერილი ურთიერთშენაცვლებით. ისმება კითხვა — ხომ არ შეიძლება ჩვენი დაკვირვების ამ შედეგის ისე გადაკეთება, რომ ის გამოდგეს ლოგიკური გამომდინარეობის ცნების განსაზღვრებად? სახელდობრ, ხომ არ შეიძლება მივიღოთ შემდეგი ვარაუდი?

A_1, \dots, A_n, \dots დებულებებიდან გამომდინარეობს B დებულება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც $A_1, \dots, A_n, \dots, B$ დებულებებში შემავალი ყველა სპეციალური მუდმივის შეცვლა იმავე სახის ნებისმიერი სხვა მუდმივებით ისე,

რომ ერთი და იგივე მუდმივები იცვლება ერთი და იმავე მუდმივებით, შედეგად გვადლევს ისეთ $A'_1, \dots, A'_n, \dots, B'$ დებულებებს რომ თუ A'_1, \dots, A'_n, \dots დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ჭეშმარიტია B' -იც.

ამ ვარაუდის მიღება არ შეიძლება, რადგან ის არ არის ლოგიკური გამომდინარეობის ჩვენი ინტუიციური ცნების ადექვატური. მართლაც, რაც არ უნდა მდიდარი ენა გვქონდეს, შესაძლებელია მასში არ იყოს საკუთარი სახელი (სასაგნო მუდმივი) უნივერსუმის ყველა საგნისთვის და ზოგადი სახელი (პრედკატი) ყველა იმ ატრიბუტისათვის, რომელთა გამოყენების არეა უნივერსუმი; ამიტომ ძნელი არ არის ისეთი ენის აგება და ამ ენის ისეთი $A_1, \dots, A_n, \dots, B$ დებულებების მოძებნა, რომ თუმცა ისინი აკმაყოფილებენ ჩვენი ვარაუდის პირობას, მაგრამ A_1, \dots, A_n, \dots , დებულებებიდან არ გამომდინარეობს B , ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ამისათვის საკმარისია ენაში არ გვქონდეს სახელები იმ საგნებისათვის და პრედკატები იმ ატრიბუტებისათვის, რომელთა შენაცვლებითაც მივიღებდით, რომ A_1, \dots, A_n, \dots ჭეშმარიტებია, ხოლო B მცდარი.

გამოდის, რომ უნდა გამოვძებნოთ სახსარი, რომელიც ჩვენი ვარაუდის ძირითად იდეას შეგვინარჩუნებს, მაგრამ არ მოითხოვს ენაში ყველა შესაძლო ობიექტის (საგნისა და ატრიბუტის) შესატყვისი გამოსახულების ქონებას. ეს იდეა კი, (1) დასკვნაზე რომ გავაკეთოთ ილუსტრაცია, შემდეგში მდგომარეობს: დებულებებიდან

ყველა ადამიანი არის მოკვდავი არსება,

სოკრატე არის ადამიანი

გამომდინარეობს დებულება

სოკრატე არის მოკვდავი არსება,

თუკი როგორი თვისებებიც არ უნდა გვქონდეს ნაგულისხმევი სიტყვების „ადამიანი“ და „მოკვდავი არსება“ შინაარსად და როგორ საგანსაც არ უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „სოკრატე“ ამ თვისებათა გამოყენების არედან გამორიცხულია, რომ პირველი ორი დებულება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს, ხოლო მესამე — მცდარი. ამ იდეის შენარჩუნების საშუალებას იძლევა ფორმალიზებული ენის ინტერპრეტაციისა და მოდელის ცნებები.

მართლაც ზემონათქვამიდან ჩანს, რომ როდესაც ვამბობთ, დებულებებიდან «ყველა P არის Q » და « a არის P » გამომდინარეობსო დებულება « a არის Q », მაშინ გამოსახულებებს P , Q და a -ს ვუყურებთ როგორც ცვლადებს, რომლებმაც შეიძლება მიიღონ ნებისმიერი მნიშვნელობები (ყერძოდ, P და Q შეიძლება იყოს ნებისმიერი თვისებები, ხოლო a ნებისმიერი საგანი მათი გამოყენების არედან), ხოლო თვითონ დასკვნაში შემავალ დებულებებს როგორც ლოგიკურ სადებულებო ფორმებს (ლოგიკურ ფორმულებს). მაგრამ მაშინ, ჩვენი მტკიცება გამომდინარეობის არსებობის შესახებ ასეთ სახეს იღებს: თუ დებულებები «ყველა P არის Q », « a არის P » და « a არის Q » არის რაიმე ფორმალიზებული ენის წესიერად აგებული გამოსახულებები, მაშინ ამ ენის ყოველი ინტერპრეტაცია, რომელიც არის პირველი ორი დებულების (ე. ი. გამომდინარეობის წინამძღვრების) მოდელი, არის აგრეთვე მესამის (ე. ი. დანაკვის) მოდელიც. სწორედ ეს თავისებურება შეიძლება მივიღოთ ლოგიკური გამომდინარეობის განსაზღვრებად.

ნებისმიერი ენის A_1, \dots, A_n, \dots დებულებებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დებულება B მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ენის ყოველი ინ-

კ. მარ.: სახ. საქ. სსრ
სახელი: ვო რესპუბლიკა
გიპლიოთეკა

ტერპრეტაცია, რომელიც არის A_1, \dots, A_n, \dots დებულებათა მოდელი არის აგრეთვე მოდელი B-სი.

ამ განსაზღვრების ძალით ნათელი ხდება, რატომ ვამბობთ, რომ თუ A_1, \dots, A_n, \dots დებულებებიდან გამომდინარეობს B დებულება, მაშინ თუ A_1, \dots, A_n, \dots დებულებები ჭეშმარიტია, აუცილებლად ჭეშმარიტია B-ცო: ჩამოთვლილ დებულებებში შემაჯავალი სპეციალური მუდმივებით მოცემული ობიექტების სისტემა (გარკვეული ატრიბუტები და საგნები) არის ამ დებულებათა შემცველი ენის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია და ის, რაც ყველა ინტერპრეტაციისათვის ხდება, ცხადია, უნდა მოხდეს (ანუ აუცილებლად მოხდება) თვით ამ ინტერპრეტაციისათვისაც, როგორც ერთ-ერთისათვის ყველადაც; კერძოდ, გამორიცხულია, რომ ეს ინტერპრეტაცია იყოს A_1, \dots, A_n, \dots დებულებათა მოდელი (ანუ A_1, \dots, A_n, \dots დებულებები ამ ინტერპრეტაციაში იყოს ჭეშმარიტი), ხოლო B-სი არა (ანუ B ამ ინტერპრეტაციაში იყოს მცდარი).

9. **ლოგიკური გამომდინარეობის ცნების ფორმალური ხასიათი.** მივედით იქ, საიდანაც დავიწყეთ, ოღონდ „უფრო მაღალ საფეხურზე“. ლოგიკური გამომდინარეობის მოცემული განსაზღვრების მიხედვით (1) და (2) დასკვნები გამართულია, ანუ დებულებებიდან „ყველა ადამიანი მოკვდავი არსებაა“ და „სოკრატე ადამიანია“ (შესატყვისად, დებულებებიდან „ყველა ლითონი ელექტროგამტარია“ და „რკინა ლითონია“) გამომდინარეობს დებულება „სოკრატე მოკვდავი არსებაა“ (შესატყვისად, „რკინა ელექტროგამტარია“), რადგან P, Q და a ცვლადების მნიშვნელობათა ნებისმიერი სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს ლოგიკურ სადებულებო ფორმებს

ყველა P არის Q და a არის P,

აკმაყოფილებს აგრეთვე ლოგიკურ სადებულებო ფორმას

a არის Q და ეს არის (1) და (2) დასკვნების გამართულობის ერთი და იგივე

საფუძველი.

ყოველი დებულება გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას მასში მითითებული საგნების შესახებ, გვაუწყებს, რომ ისინი ასე და ასე ხასიათდებიანო მათში გამოყენებული პრედიკატებით გამოხატული ნიშან-თვისებებით, მაგრამ რა არის მოცემული ლოგიკური სადებულებო ფორმით? მასში აღარ გვხვდება საგანთა სახელები, საგანთა თვისებებსა და საგნებს შორის არსებული მიმართებების გამოხატველი პრედიკატები, არამედ მხოლოდ ცვლადები, რომლებიც მათ ადგილებს აღნიშნავენ და ლოგიკური მუდმივები, რომლებიც მათგან დებულებათა ამგები საშუალებებია. მაგრამ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლოგიკური სადებულებო ფორმით მოცემულია გარკვეულ დებულებათა სტრუქტურა ანუ ფორმა, ანუ ის გვაძლევს ინფორმაციას არა იმაზე, თუ რა ხდება სამყაროში, არა იმაზე, თუ რა თვისებები აქვთ საგნებს ან რა მიმართებებში არიან ისინი ერთმანეთთან, არამედ იმაზე, თუ როგორ აიგება მათგან დებულებები. მაშასადამე, ლოგიკური გამომდინარეობის ზემოთ მოცემული განსაზღვრება გვიჩვენებს, რომ დებულებათა შორის ამ მიმართების არსებობა არაფერს არ გვაუწყებს იმაზე, რაზედაც თვითონ ეს დებულებები გვაწვდიან ინფორმაციას; არსებობს თუ არა გამომდინარეობის მიმართება მოცემულ დებულებათა შორის დამოკიდებულია არა მათ შინაარსზე, არამედ მხოლოდ ამ დებულებათა ლოგიკურ ფორმაზე, აღნაგობაზე, სტრუქტურაზე, რაც შესატყვისი ლოგიკური სადებულებო ფორმებით არის მოცემული.

ლოგიკური გამომდინარეობის ცნების სწორედ ამ თავისებურების გამო უწოდებენ ლოგიკას ფორმალურ ლოგიკას.

ახლა, რაღაზეა დამოკიდებული ლოგიკური გამომდინარეობით გამოხატული მიმართების არსებობა ლოგიკურ სადებულებო ფორმებს შორის? ლოგიკური მუდმივების არსებობის დებულებების (მაგ., „სოკრატე ფილოსოფოსია“, „ალ. ჭავჭავაძე არის ნინო ჭავჭავაძის მამა“. „ $7 < 12$ “) ჭეშმარიტებას განსაზღვრავს მხოლოდ ფაქტები ცალკეული საგნების შესახებ ცოდნის შესატყვისი სფეროდან, მაგრამ თუ დებულება ლოგიკურ მუდმივებსაც შეიცავს, მაგ.,

$7 < 12$ და 21 უნაშთოდ იყოფა 4 -ზე,

ზოგიერთი სტუდენტი ბეჭითია,

პეტრე გუშინ იყო გორში ან ბოლნისში,

მაშინ მათი ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისი აღარ არის მხოლოდ ერთეული საგნების შესახებ ფაქტების ცოდნა; ამას გარდა აუცილებელია, აგრეთვე, ლოგიკური მუდმივების „ბუნების“ ცოდნა, რადგან ლოგიკური მუდმივის შინაარსი არის წესი, რომელიც განსაზღვრავს მისი გამოყენებით აგებული რთული ენობრივი გამოსახულების მნიშვნელობას, კერძოდ, დებულების ჭეშმარიტება-მცდარობის პირობებს, შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათა მიხედვით.

ამრიგად, რადგან ლოგიკური სადებულებო ფორმები სპეციალურ მუდმივებს არ შეიცავენ, ლოგიკური გამომდინარეობით გამოხატული მიმართების არსებობა-არარსებობა მათ შორის (სახელდობრ, ჭეშმარიტება დებულებისა «თუ $A_1, \dots, A_n, \dots B$ ლოგიკურ სადებულებო ფორმებში შეშავალი ცვლადების მნიშვნელობათა ნებისმიერი სისტემა, აკმაყოფილებს A_1, \dots, A_n, \dots სადებულებო ფორმებს, მაშინ ის აკმაყოფილებს აგრეთვე B ლოგიკურ სადებულებო ფორმასაც»), განსაზღვრული არის მხოლოდ ლოგიკური მუდმივების «ბუნებით» ე. ი. იმ წესებით, რომლებიც ამ სადებულებო ფორმებში გამოყენებული ლოგიკური მუდმივების შინაარსია.

ეს ფაქტი კიდევ ერთ ნაბიჯს გადაგვადგმევინებს ლოგიკის საგნის დახასიათებაში: ლოგიკის (უფრო ზუსტად, დედუქციური ლოგიკის) ამოცანაა ლოგიკური მუდმივების შესწავლა. მანამდე, სანამ არ იქნება გამოკვლეული ლოგიკური მუდმივები, არ შეიძლება ვთქვათ, რომ განსაზღვრული გვაქვს დაკმაყოფილების, ინტერპრეტაციის, მოდელის და, ამის გამო, ლოგიკური გამომდინარეობის ცნებები (თორემ გვექნებოდა ბნელის ბნელით განსაზღვრის შეცდომა). გვაქვს რა ეს ვითარება მხედველობაში, ვამბობთ, რომ გამომდინარეობის ზემოთ მოცემული განსაზღვრება სქემატური ხასიათისა.

ტერმინი „ფორმალური ლოგიკა“ გაცილებით უფრო ადრე იქნა შემუშავებული, ვიდრე ლოგიკური გამომდინარეობის აღწერილი განსაზღვრება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს გამომდინარეობის სქემატური განსაზღვრების ადეკვატურობას მისი ინტუიციური ცნების მიმართ. ტრადიციულ ლოგიკაში არ არსებობდა ლოგიკური გამომდინარეობის ისეთი უნიფიცირებული დახასიათება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა დებულებათა ნებისმიერი ჯგუფის მიმართ (სხვათა შორის ამით იყო პირობადებული პირობითი, გაყოფითი და, განსაკუთრებით, არასილოგისტიკური დასკვნების ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი თეორიის არარსებობა ტრადიციულ ლოგიკაში); ამიტომ რომ განესხვავებინათ დებულების ჭეშმარიტება-მცდარობა იმისგან, რასაც ვადასტურებთ, როდესაც ვამბობთ ესა და ეს დებულება ამა და ამ წინამძღვრებიდან გამომდინარეობსო, ზოგჯერ ლაპარაკობდნენ დებულების მატერიალურ და ფორმალურ ჭეშმარიტებაზე. ამ ტერმინების გამოყენებამ შეიძლება შე-

ქმნას შთაბეჭდილება, რომ არსებობს ორგვარი ჭეშმარიტება და რომ ჭეშმარიტების ეს სახეები ერთმანეთს უპირისპირდება, რადგან პირველი დებულებათა შინაარსის შეფასებაა, ხოლო მეორე მათი ფორმისა. ლოგიკური გამომდინარეობის ზემომოცემული განსაზღვრების თანახმად, არ არსებობს არავითარი დაპირისპირება ან წინააღმდეგობა მათ შორის, ჭეშმარიტება არის დამოკიდებულება დებულების შინაარსსა და სამყაროს შორის, ლოგიკური გამომდინარეობა კი — დამოკიდებულება დებულებების ლოგიკურ ფორმებს შორის.

ლოგიკის ფორმალურობა ლოგიკური გამომდინარეობის კვლევის შედეგია და არა კვლევის დაწყებამდე არჩეული პოზიცია, რომელიც შეგვეძლო უკუშვებვდო კლდევატ, თუკი მოვისტურებდით, რომ მისთვის დაგვეპირისპირებინა შინაარსობრივი ლოგიკა. შინაარსობრივი ლოგიკა არ შეიძლება აღმოცენებულყო იმავე თავდაპირველი, ჩვენი ინტუიციისათვის გაუგებარი, მაგრამ საინტერესო მოვლენებისა და ფაქტების ახსნის მიზნით, რომელთა „შინაგანი მექანიზმის“ ამოცნობის სურვილიც ამოძრავებდათ ფორმალური ლოგიკის შემქმნელებს.

Л. И. МЧЕДЛИШВИЛИ

ПРЕДМЕТ И ЗАДАЧИ ЛОГИКИ

(Статья вторая — Методологические вопросы логики)

Резюме

Исходя из предложенного в первой статье уточнения понятия предмета логики («Мащне», сер. философии и психологии, 1980, № 1), формулируются и анализируются методологические вопросы логики, решение или уяснение которых является предпосылкой логических исследований. Утверждается, что логика является частью методологии науки, т. к. способы рассуждения и определения — это методы науки.

Рассуждения, умозаключения, определения можно понимать и как мыслительные акты, составленные из понятий и суждений, и как комплексы языковых выражений; обосновывается полезность отвлечения в процессе логических исследований от мыслительных актов.

Обсуждаются цели и мотивы рассмотрения в качестве языка-объекта в логических исследованиях не повседневного, а специально сконструированного формализованного языка, в котором, чтобы избежать возникновения логических антиномий, должны быть отражены некоторые философские постулаты, например, принципы простой теории типов.

Изложено схематическое определение логического следования с помощью понятия удовлетворимости Тарского, что позволяет рассматривать логику, как науку, изучающую логические постоянные. На этой основе выявляется суть формального характера логики.

В. И. МАКСИМЕНКО, В. Г. ХОРОС

(Москва)

ИНТЕЛЛИГЕНЦИЯ НЕСОЦИАЛИСТИЧЕСКИХ ОБЩЕСТВ КАК ИСТОРИКО-СОЦИОЛОГИЧЕСКАЯ ПРОБЛЕМА

Истину мы будем иметь тогда, когда субъект вмешается и скажет «да» или «нет». Отражение вовсе не значит, что в процессе отражения действует т. н. мышление, оперирующее представлениями.

Понятие — тоже отражение; сущность явлений, будучи целью научного познания, добывается понятием, а не представлением. Представления, так же, как и понятие, не оторваны от субъекта; они являются субъективными образами объективных, трансцендентных предметов; при представлении субъект уже принимает участие в процессе познания. Если представление и понятие существовали бы вне субъекта, тогда мы могли бы сказать, что для их сходства нужно вмешательство субъекта. Однако, здесь нет подобного положения.

Далее, для суждения не чуждо отражение. Конечно, если мы имеем в виду психологический акт суждения, то он, ясно, не входит в отражение, психологический акт для познания не имеет значения. Истина независима от этого акта. Положение вещей, что бумага белая, что она существует, что это животное — медведь, что Шарик — собака — вот что выражает суждение. Если поверить самому Риккерту, то «да» и «нет» зависят не от нашего желания и доброй воли, а определены сущностью предмета познания. О форме существования предмета мы уже говорили и здесь не будем повторяться. Основа для «да» и «нет» находится в объективной действительности, в положении вещей, и суждение отражает именно это. Риккерт прекрасно знает, что отражение не есть только представление. Если бы он не знал этого, то мог бы совершенно свободно разрушить теорию отражения. А именно, он сказал бы, что нельзя поставить знак равенства между познанием и отражением потому, что отражение — это представление, представить же сущность предметов невозможно, как невозможно представить закон всемирного тяготения, представить общее, скорость света (300000 км/сек), т. е. невозможно представление — познание существенной стороны действительности и т. д.

Каким же образом защитник теории Риккерта отделяет существенное от несущественного?

Нам могут сказать, что Риккерт уже предусмотрел это замечание. Ведь и Риккерт не отрицает существование независимой от субъекта реальности, действительности. Ведь он признает, что независимо от психофизического субъекта, вне его, существует весь временной-пространственный мир. Его аргументация ведется только с точки зрения гносеологического субъекта.

Во избежание недоразумения следовало бы детально коснуться этого вопроса.

В вопросе реальности предмета Риккерт стоит на позиции Канта. Более того, не идет дальше Канта, ибо, по Канту, разум способен строить только форму предмета, с точки же зрения Риккерта предмет полностью является содержанием сознания. Что же касается временного — реального мира, существующего вне психофизического субъекта, то он реален эмпирически, а не с точки зрения трансцендентального.

Что касается гносеологического субъекта, то и здесь обстоятельства не в пользу Риккерта. Согласно философии Канта, хаос многообразия ощущений упорядочивается действием трансцендентального сознания, его функциями. Это сознание не является неким существующим объектом, но закономерностью человеческого сознания. На самом деле не только мир вещей в себе, независимо от всякого сознания, но и мир явлений не является содержанием этого сознания. Он только по-своему переработан, упорядочен, взаимосвязан и оформлен сознанием. Поэтому философия Канта не иллюзионизм. В совершенно ином положении находится Риккерт. Он отрицает существование вещи в себе: вся действительность — содержание гносеологического субъекта. Что представляет из себя этот гносеологический субъект? Он ведь не является подобием кантовского трансцендентального сознания, который связывает, упорядочивает материал, из хаоса создает космос? Нет, ибо для него не существует никакого материала.

В. И. Ленин говорит о критике Канта «справа» и «слева». На первом пути стоит Риккерт, очищающий Канта от остатков материализма. Снятие вещи в себе, характерное для неокантовцев, в том чис-

ле для Риккерта, указывает, что неокантианская философия пошла дальше по линии субъективного идеализма.

Существует ли это сознание реально? На этот вопрос Риккерт отвечает отрицательно. Дело в том, что признание, кроме человеческого, еще и сверхчеловеческого сознания, по мнению Риккерта, определено было бы метафизикой, а против метафизики в гносеологии он так же борется, как и против психологизма. Тем более Риккерт хорошо понимает то обстоятельство, что признание реального существования гносеологического субъекта в принципе ничем не отличается от признания реального существования вещей. Поэтому Риккерт неоднократно подчеркивает то, что гносеологический субъект не является чем-нибудь реальным, для него не является характерным трансцендентное или имманентное существование, он вообще лишен существования; он только лишь форма, нужное методологически понятие, и больше ничего. Говоря другими словами, гносеологический субъект — это регулятивное понятие.

Если это так, то непонятно, каким образом вся несуществующая действительность (методологическое понятие, содержание регулятивного понятия) может быть для Риккерта имманентной? Ведь, в конце концов, действительность существует в том или ином виде? Скажем, она не существует вне сознания, существует лишь в виде содержания сознания. Но ведь содержание сознания существует же, как совокупность явлений сознания? Существует же она как факт сознания? Где же существуют эти факты и явления? Являются они содержанием регулятивного сознания или существуют имманентно?

Этот принцип Риккерта, если он будет проведен до конца, приведет нас к такому странному выводу, что даже солипсизм, по сравнению с ним, покажется нам приемлемой точкой зрения. Солипсизм отрицает объективное существование действительности, но явления сознания, «мои переживания» он признает реальными фактами.

С точки зрения Риккерта, по-видимому, следует отрицать и существование явлений сознания, ибо содержание сознания является содержанием существующего, содержанием регулятивного понятия и имманентным для самого автора. Риккерт полагает, что его могут обвинить в солипсизме, и защищает себя следующим образом: солипсистом является тот, кто думает, что вне его индивидуального сознания и независимо от него не существует реальной действительности. Риккерт же якобы доказывает не то же самое, а только то, что вне гносеологического субъекта и независимо от него не существует реальной действительности; сознание «каждую секунду охватывает мир во времени и пространстве». Сознание нельзя считать временным предметом, вещью, о нем нельзя сказать «потом» и «раньше». Такая постановка вопроса является абсурдной. Существовал ли мир до сознания и будет ли существовать после — это такой же вопрос, как — существовал ли мир до времени и будет ли существовать после. Риккерт, конечно, глубоко ошибается. Как отмечает В. И. Ленин, вопрос — «существовала ли природа до человека» — является не только законным вопросом, но имеет решающее значение в процессе критики субъективного идеализма. Если мы на этот вопрос ответим положительно, тогда снимается субъективный идеализм. Материал же для ответа на этот вопрос дает естествознание.

Если понаблюдать за суждением Риккерта о сознании, увидим, что Риккерт, по всей вероятности, понимает сознание несколько иначе. Что значит — сознание охватывает весь мир во времени и простран-

стве каждую секунду? Какое сознание способно сделать это? Несуществующее, регулятивное понятие? Ясно, что только реальное сознание! Мир только тогда может быть фактом сознания, когда сознание, охватывающее мир, само является реальным! Трансцендентальный идеализм Риккерта является или удивительным иллюзионизмом (более того, не остается и иллюзии, ибо реальность явления познания развеяна), или же спиритуалистической метафизикой, против которой так усердно выступает сам Риккерт.

Первый выход для Риккерта неприемлем, т. к. он вообще абсурден. Неприемлем и второй выход, т. к. он противоречит основным принципам его гносеологии.

Таким образом, критическое рассмотрение концепций Риккерта, выступающего против теории отражения, еще раз показало безуспешность опровержения научной теории отражения, и в частности, непобедимость ленинской теории отражения. Теория Риккерта в этом направлении является одной из сильнейших и влиятельнейших теорий. Однако и эта концепция оказалась бессильной в деле опровержения научной теории отражения. Это обстоятельство, со своей стороны, еще раз доказывает, что ленинская теория отражения и по сей день является единственно правильной научной теорией, попытки же ее опровержения заранее обречены на провал.

Представлена Институтом философии
АН Грузинской ССР



ფსიქოლოგია

ოზარ ლავიძე

მოტივაციური ფაქტორების გავლენა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა აზროვნებაზე

შესავალი

სწავლის ფსიქოლოგიური ბუნება იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მოტივის საფუძველზე ხორციელდება იგი. სწავლის მოტივაციური ფორმების გარკვევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მასზე ბევრადაა დამოკიდებული სწავლების ორგანიზაციული და მეთოდური მუშაობის თავისებურებანი. როგორც აკად. ა. ფრანგიშვილი მიუთითებს, სასწავლო საგნის ობიექტივაცია განწყობის მხოლოდ ობიექტური ფაქტორის ჩამოყალიბების გზით არ მიიღწევა. საკმარისი არაა მხოლოდ ობიექტური სიტუაციის მნიშვნელობის გამოკვეთა. სწავლის საგნის ობიექტივაცია მოტივების შესატყვისი სფეროს ჩამოყალიბებასაც გულისხმობს. მაგრამ, ხშირად, სწავლის საგანი და მოტივი შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს და იმის მიხედვით, თუ რა მოტივს დაუკავშირდება ის, ფსიქოლოგიურად სხვადასხვა სახის ობიექტივაციასთან გვექნება საქმე. მართალია საგანშაბათლებლო სწავლის მოტივი თვითონ განათლების მიღება უნდა იყოს, მაგრამ როცა მსგავსი მოტივი არ მოქმედებს, მაშინ მოსწავლის სასწავლო საქმიანობაში, სასწავლო საგნის მნიშვნელობისადმი განსხვავებული მოტივი შეიძლება იქნეს შეყვანილი, რათა მან სწავლის ამოცანა მოსწავლისათვის შინაგანადაც მისაღები გახადოს. მოსწავლის ქცევის ეს შინაგანი საფუძველი ყოველთვის ნათელი და გარკვეული უნდა იყოს მასწავლებლისათვის, იგი ყოველთვის უნდა სახავდეს სასწავლო ამოცანას ამ მოტივების გათვალისწინებით. მისთვის ნათელი უნდა იყოს, მოსწავლის სასწავლო ქცევას რა მოტივი უღევს საფუძველად [3,39—45].

პროფ. შ. ჩხარტიშვილი სასწავლო ქცევაში მონაწილე მოტივების ანალიზის საფუძველზე, სწავლის სამ ფორმას განასხვავებს: 1. მოტივაციური საყრდენს მოკლებული სწავლა; 2. პეტეროგენული მოტივებით განსაზღვრული სწავლა და 3. საკუთარ პოგომენტურ მოტივებზე აგებული სწავლა [4,7—12].

როცა სწავლის ზემოთ აღნიშნული სახეების შინაარსს გავეცნობით, დავინახავთ, რომ სასწავლო ქცევა შეიძლება მიმდინარეობდეს ნებისყოფის საფუძველზე, ემყარება რა იმ პროდუქტის (ცოდნის) ღირებულებას, რომელსაც სწავლა იძლევა. იგი ინტელექტუალურ მოთხოვნილებასთან ერთად და უიმი-სოდაც, სასწავლო ქცევას უკეთებს ორგანიზაციას. მტკიცედ შეთვისებული ცოდნა-ჩვევები, რაც არც ფუნქციონალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და არც თეორიულს, დიდ საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს. მოსწავლე, როგორც ნებისყოფის სუბიექტი, მაშინაც ზრუნავს მის შეძენაზე, როცა სწავლის პროცესი მას სიამოვნებას არ ანიჭებს (სწავლის მესამე ფორმა).

მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სასწავლო ქცევა შეიძლება არ აღიძრას არც ცოდნის ობიექტური ღირებულებისა და არც თეორიული მოთ-

ხოვნილების საფუძველზე. ეს როლი შეიძლება ჰეტეროგენულმა მოტივებმა შეასრულონ, რომლის მიხედვითაც შ. ჩხარტიშვილი სწავლის მეორე მოტივაციურ ფორმას გამოჰყოფს.

ჰეტეროგენული მოტივებით განსაზღვრული სწავლა ცნობიერია. სწავლის სუბიექტი ამ დროს სასწავლო ამოცანისკენაა მიმართული და ახდენს მის ობიექტივაციას. მან წინასწარ იცის, რომ უნდა ისწავლოს, რა უნდა ისწავლოს და როდის ისწავლოს. მოსწავლე სასწავლო დავალებებს ღებულობს, ასრულებს და ამას აგრძელებს მინამ, სანამ არ დარწმუნდება იმაში, რომ იგი სრულყოფილად აქვს შეთვისებული. მაგრამ სწავლის სუბიექტი ამ დროს არაა დაინტერესებული არც სწავლითი აქტივობით და არც მის მიერ შეძენილი ცოდნა-ჩვევებით. მას სხვა მიზანი აქვს და სწავლა მისთვის, შემთხვევითი გარემოების გამო, ამ მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა. ამ მიზნის მიღწევა მან რომ სწავლის გარეშე შეძლოს, იგი სწავლაზე დიდი სიამოვნებით იტყოდა უარს. ამ შემთხვევაში სასწავლო ქცევას აღძრავს მოტივი, რომელიც სასწავლო საგნისადმი ჰეტეროგენულია, მაგრამ მის საფუძველზე დასახული მიზნის რეალიზაციას სუბიექტი ისე ვერ ახერხებს, თუ სასწავლო აქტივობა არ განახორციელა.

ჰეტეროგენული მოტივები შეიძლება იძულებით ან თავისუფალ ხასიათს ატარებდეს. პირველ შემთხვევაში სწავლა გარეგანი იძულებით უკავშირდება მოზარდის რომელიმე ძირითად მოთხოვნილებას, მეორე შემთხვევაში ასეთი კავშირი მოზარდის შინაგანი ფსიქიკური ბუნების გამო დამყარებულია. იგი მისი საკუთარი მოტივაციური სტრუქტურის სფეროდან გამომდინარეობს და ამის გამო თავისუფალ ხასიათს ატარებს. ნებისყოფა, რა მტკიცეც არ უნდა იყოს იგი, ხანგრძლივი სწავლის ტვირთის ზიდვას ვერ შეძლებს, ამიტომ მოზრდილები ცდილობენ იგი ჰეტეროგენულ მოტივებს დაუკავშირონ (სანჯელი, პრესტიჟის მოთხოვნილება, ჯილდოს მიღება, ნიშანი და ა. შ.). ამდენად ჰეტეროგენული მოტივებით მიმდინარე სწავლა, თუ იგი ნამდვილი სწავლაა, რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს არ ქმნის. როგორც ა. ფრანგიშვილი აღნიშნავს, შეიძლება მოხდეს ამ გარეგანი მოტივების გარდაქმნა შინაგან მოტივებად, მათ შორის გარდუვალი უფსკრული არ არსებობს [3 44].

ქცევაში, როგორც ლეონტიევი მიუთითებს, შეიძლება უამრავი მოტივი ღებულობდეს მონაწილეობას. იგი, როცა ქცევის სტრუქტურულ ანალიზს იძლევა, მოტივების ორ ჯგუფს განიხილავს. პირველი ისეთი მოტივებია, რომლებიც აღძრავენ და აზრს, მნიშვნელობას ანიჭებენ მას. ესაა ე. წ. აზრმწარმოებელი მოტივები. მეორე ამ მოტივის თანხმლები მოტივებია, რომლებიც მართალია აღძრავენ ქცევას, მაგრამ მოკლებული არიან აზრის წარმოების ფუნქციას. ასეთ მოტივებს ლეონტიევი სტიმულ-მოტივებსაც უწოდებს, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად გამაძლიერებელი. ადამიანის მოტივაციურ სისტემაში აზრმწარმოებლურ მოტივებს უფრო მაღალი ადგილი უკავია და პრობლემატ ადამიანის ქცევაში მათ მონახვაში მდგომარეობს [12,102].

სწავლის მოტივაციური ფაქტორების შესწავლას და მის ნიადაგზე მეცნიერულად დასაბუთებული პედაგოგიური რეკომენდაციების დამუშავებას სწავლების დიდაქტიკური საკითხების მეცნიერულ დამუშავებაზე ნაკლები ღირებულება როდი აქვს მოსწავლეთა სასაწავლო წარმატების საქმისათვის. სადაც სწავლის მოტივაციური ფაქტორები არ მოქმედებს, იქ დიდაქტიკის

პრინციპების მიხედვით საუკეთესოდ დამუშავებული სახელმძღვანელოები და მეთოდური ხერხებიც ვერ უზრუნველყოფს სწავლის საქმეს. მაშინ, როცა მოსწავლეს სწავლის მიმართულებით ძლიერი მოტივაციური ფაქტორები ამოქმედდნენ, ისინი დაბრკოლების პირობებშიც ახერხებენ ცოდნის მიღებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ასეთი ფაქტორების შესწავლას დაბალი სასკოლო კლასების მოსწავლეებთან ენიჭება, სადაც მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ცოდნის საზოგადოებრივი ღირებულების ობიექტივაცია მოახდინოს და იგი საკუთარი ქცევის მოტივად გაიხადოს. ამისათვის მას არც ინტელექტი ყოფნის და არც ნებისყოფა.

ზემოთ თქმულიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ აუცილებელია სხვადასხვა პეტეროგენული მოტივების გავლენის ექსპერიმენტული შესწავლა სასწავლო ქცევაში შემავალ სხვადასხვა ფსიქიკურ ფუნქციებზე. ამით ერთდროულად დადგინდება პირობებიც, რომელთა დაცვა აუცილებელი იქნება მოტივაციური ფაქტორების გამოყენების დროს.

ჩვენი კვლევის მიზანს ზემოთ აღნიშნული მოტივაციური ფაქტორების სასწავლო ქცევაში მონაწილე აზროვნების ფუნქციაზე გავლენის შესწავლა წარმოადგენს.

მოტივაციურ ფაქტორებად ჩვენ ძირითადად გამოვიყენებთ იმ ფაქტორებს, რომლებსაც რეალურად ვხვდებით სკოლის ცხოვრებაში და კიდევაც იყენებენ მათ პედაგოგები მოსწავლეთა სასწავლო ქცევების ორგანიზაციის საქმეში. ამით დადგინდება, თუ რომელი მათგანი არის დადებითად გამაძლიერებელი და რომელი უარყოფითად მოქმედი აზროვნების ნუშაობაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნული პრაქტიკული მნიშვნელობისა, აზროვნების პიროვნული ასპექტების კვლევას დიდი ღირებულება აქვს აზროვნების ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლისათვის. აზროვნება სუბიექტის ერთ-ერთი ფსიქიკური ფუნქციაა და იგი მისგან დამოუკიდებლად კი არ მოქმედებს, არამედ სუბიექტი იყენებს მას პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტის დროს. შაგრამ, მართო პრობლემური სიტუაციების შექმნა არ ნიშნავს იმას, რომ იგი სუბიექტისათვის მისაღები იყოს. თუ იგი არ დაუკავშირდა პრობლემის გარკვეულ ინტერესებს, მოტივებს და სხვ., ისე შეიძლება სუბიექტმა არაფერი გააკეთოს მის წინაშე წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტად. ფსიქოლოგიამ აზროვნების კვლევის დროს სწორედ მისი პიროვნული ასპექტები უნდა შეისწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გაცდება ლოგიკის საზღვრებს.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ფსიქო-ფიზიკურ აქტივობაზე სხვადასხვა მოტივაციური ფაქტორების გავლენა საკმაოდაა შესწავლილი. მაგრამ გამოკვლევათა უმრავლესობა მიმართულია ან ფიზიკურ, ან მხემურ პროცესებზე მოტივაციური ფაქტორების გავლენის შესწავლაზე. რაც შეეხება აზრობრივ პროცესებზე ასეთი ფაქტორების გავლენას, იგი ნაკლებადაა შესწავლილი. რაც არის, ისიც შესწავლილია ან მალალი ასაკის ბავშვებზე, ან მოზრდილ ადამიანებზე. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ მიმართულებით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებს.

მკვლევრები მოტივების მრავალ სახეს განიხილავენ, რომლებსაც მორგუნი სამ გჯუფად ალაგებს: 1. გარეგანი (დაჯილდოება ან დასჯა), 2. შეჯიბრებითი (სხვასთან ან თავისთავთან შედარებითი წარმატებისათვის) და 3. შინაგანი. შინაგან მოტივებს წარმოადგენს თვითონ პრობლემის ამოხსნის შემეცნებითი ინტერესები, რომლებიც უზრუნველყოფილია პრობლემური სწავლების

დროს. მისი აზრით, სწავლების ამ ტიპის დროს იქმნება ძლიერი შინაგანი მოტივაციური შესაძლებლობები, რომლის გამო სწავლა მოსწავლისათვის მისაღებ ქცევად იქცევა. ავტორი თავისთავად სწორია: ნამდვილ სწავლასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი ან შემეცნებითი, ან ცოდნის ობიექტური ღირებულების მოტივით მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ გამოორიქხავს ჰეტეროგენული მოტივების გამოყენების შესაძლებლობებს სასწავლო პროცესში. მით უმეტეს, რომ შემეცნებითი ინტერესი მოსწავლეებთან დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება არ იქნეს შენარჩუნებული.

ვასერმანი ხაზს უსვამს იმას, რომ ძლიერმა მოტივაციამ შეიძლება გამოიწვიოს მნემური აქტივობის დაქვეითება. მას მოყვანილი აქვს ნიუტენის გამოკვლევების შედეგები, რომლებიც გვიჩვენებენ დადებითი მოტივაციური ფაქტორების უპირატესობას რთული სახის მნემურ-აზრობრივი ამოცანების ამოხსნის პროცესის მიმდინარეობაზე. ვასერმანი იგივე დაადგინა მნემურ აქტივობაზე (ცდები მაღალი სასკოლო ასაკის ბავშვებზე ჩაატარა) [7].

ცდისპირები ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი. ერთ ჯგუფში ქმნიდნენ დადებითად ამაღლებულ მოტივაციას, რაც გამოიხატებოდა ამ ცდისპირების ადრე შესრულებული სამუშაოს შექებაში. დავალების მაღალ დონეზე შესრულებისათვის დირექცია მაღლობასაც კი ეუბნებოდა და ექსკურსიაზე წაყვანასაც პირდებოდა მათ. მაგრამ დაზუსტების მიზნით ცდისპირებს დამატებით ავალებდნენ სპეციალური მასალის დახსოვებას.

მეორე ჯგუფს კი, პირიქით, ადრე შესრულებულ სამუშაოს უწუნებდნენ, მაგრამ თავის გამოჩენის მიზნით დამატებით ავალებდნენ პირველ ჯგუფში მიწოდებული დასახსოვებელი მასალის დასწავლას. ორივე შემთხვევაში დამატებით მიცემული მასალა ადრე შესრულებული დავალების სახეცვლილებას წარმოადგენდა.

ცდების შედეგებმა უჩვენა, რომ დადებითი მოტივაციის დროს მნემური აქტივობის შედეგები უფრო მაღალია. ეს ნიშნავს იმას, რომ შექება, საკუთარ ძალებში რწმენის შთაგონება და სხვა მსგავსი საშუალებები დადებითად მოქმედებს მნემურ აქტივობაზე.

ჩვენი აზრით, მიღებული მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შექების საფუძველზე შექმნილი დადებითი მოტივაციური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად. იგივე მნიშვნელობა თამამად შეიძლება მიეწეროს ექსკურსიაზე წასვლის მოტივაციურ ფაქტორს. მართალია, ქცევაში ყოველთვის მონაწილეობს უამრავი ფაქტორი, მაგრამ აქედან რომელიმე მთავარი, აზრის მწარმოებელი, სხვები კი გამოვლენ ამ ძირითადი მოტივის გამაძლიერებლის ან შემამუსტებლის როლში. ზემოთ აღწერილ ცდებში ძნელია გაარჩიოთ რომელია ძირითადი და რომელი დამატებითი მოტივი.

გორფუნკელი ლაპარაკობს რა მოტივების მნიშვნელობაზე, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ერთი და იმავე მოტივის სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება სხვადასხვა ძალა აღმოაჩნდეს. ამას „მოტივის განცდის ძალა“ ეწოდება. ეს კარგად ჩანს სლავინასა და თვითონ გორფუნკელის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში [5].

სლავინამ ეს საკითხი იკვლია დაბალი სასკოლო ასაკის ბავშვებში [9].

ბავშვებს ევალებათ გარკვეული საზოგადოებრივი დავალების შესრულება. დავალების სწორად ახსნა, დავალების შესრულების დროს კონტროლი და გაკიცხვა-წახალისება დადებითად მოქმედებდა დავალების შესრულებაზე. მაგ-

რამ დაბალ ასაკში (პირველი კლასი) უფრო მალე ეკარგებოდათ დავალების შესრულების სურვილი და ამარჯვებდა პირადი ინტერესები.

სლავენამ იკვლია, აგრეთვე ე. წ. „მოყირქების“ ფაქტის გადალახვის შესაძლებლობანი ცდისპირის წინაშე მიზნის დასმის საშუალებით. როგორც გამოიჩინა, ცდისპირის წინაშე დასმული მიზანი, როგორც მოტივი, მაშინ უფრო ასრულებს დადებითი ფაქტორის როლს, როცა ეძლევა იგი სამუშაოს დაწყების წინ, ვიდრე სამუშაოს შესრულების რომელიმე გარკვეულ ეტაპზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი ველარ აღძრავს სამუშაოს გაგრძელების მოთხოვნილებას [10].

თვითონ გორფუნკელმა დასმული საკითხი ბურთის ზუსტად ტყორცნაზე იკვლია. ცდები ტარდებოდა შეჯიბრების პროცესში, მაგრამ მისი მიზანი ბურთის ტყორცნაზე შეჯიბრების გავლენის შესწავლა კი არ იყო, არამედ თვითონ შეჯიბრების პროცესზე შეფასების დროითი ინტერვალის გავლენის შესწავლა. თუ ერთ შემთხვევაში შედეგებს შეჯიბრების დამთავრებისთანავე ეუბნებიან, მეორე შემთხვევაში ამას ერთი კვირის შემდეგ პირდებიან ცდისპირებს.

შედეგები უფრო უკეთესი აღმოჩნდა პირველ შემთხვევაში. ეს ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფური შეჯიბრების შედეგებს, რაც მაჩვენებელია მოტივაციური ფაქტორის მასტიმულირებელი ძალის დამოკიდებულებისა მისი რეალიზაციის დროზე [5].

ახლა განვიხილოთ ის ექსპერიმენტები, რომლებიც მოტივაციური ფაქტორების აზროვნების აქტივობაზე გავლენას შეიწყველიან.

კუმენკომ პროდუქტიული აზროვნების ეფექტიანობა იკვლია სხვადასხვა სასწავლო სიტუაციაში. ე. ი. მოტივაციურ ფაქტორებად გამოყენებული იყო სხვადასხვა სასწავლო სიტუაცია: 1. მოსწავლეებს ასწავლიდა სტუდენტი-პრაქტიკანტი, 2. მოსწავლეებს ასწავლიდა ძლიერი მათემატიკოსი, 3. მოსწავლეებს ეუბნებოდნენ, რომ მსგავს საკითხებზე ჩაუტარდებოთ საკონტროლო წერა, 4. აცხადებდნენ შეჯიბრებას როგორც პარალელურ კლასებს შორის, ისე პირად პირველობაზე. ინსტრუქციაში ეუბნებოდნენ, რომ მთავარ პირობას წარმოადგენს არა მარტო სწორად შესრულება, არამედ შესრულების სისწრაფეც, 5. დავალებას ასრულებდნენ საკონტროლო წერის პირობებში და 6. მათემატიკის ვაკეეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ კარგად შეთვისებული თემის ამოცანები, რომელთა ამოხსნაშიც მათ მიერ გამოყენებული იყო ყველაზე საინტერესო მეთოდები.

ცდისპირებს წარმოადგენდნენ მეცხრე კლასის მოსწავლეები. ისინი ნერვული სისტემის ტიპების მიხედვით იყვნენ დაყოფილი, რადგან ავტორს აინტერესებდა თუ რა გავლენას მოახდენდა ამ ტიპებზე სხვადასხვა სასწავლო სიტუაცია. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ სასწავლო სიტუაციების გავლენას პროდუქტიულ აზროვნებაზე. მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს სიტუაციები განსხვავებულად მოქმედებენ სხვადასხვა ნერვული სისტემის ბავშვებზე. ერთ შემთხვევაში იგი დადებით ზეგავლენას ახდენს, მეორე შემთხვევაში კი — უარყოფითს. ასე, მაგალითად, თუ საკონტროლო წერის მხოლოდინი ოპტიმუმს წარმოადგენს სუსტი ნერვული სისტემის ბავშვებისათვის, იგი ვერ ახდენს გავლენას „ძლიერ“ ბავშვებზე. საკონტროლო წერისა და შეჯიბრების სიტუაცია თუ ოპტიმუმს წარმოადგენს „ძლიერი“ ბავშვებისათვის, იგი უარყოფითად მოქმედებს „სუსტ“ ბავშვებზე.

ამიტომ აზროვნების პროდუქტიულობის შეცვლა ასეთ პირობებში მიმდინარეობს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ეს შედეგები ადასტურებენ მოტივაციური ფაქტორების აზროვნების აქტივობაზე გავლენას (შედეგები, რომლებიც მიღებულია სტიმულაციური ფაქტორების არსებობის პირობებში, განსხვავდება იმ შედეგებისაგან, რომლებიც მიღებულია ამ ფაქტორების არსებობის გარეშე, მაგალითად, იმ შედეგებისაგან, რომლებიც მიღებულია პრაქტიკანტი სტუდენტისა და გამოცდილი მასწავლებლის სწავლების დროს) [8].

გინზბურგმა მოტივაციური ფაქტორების გავლენა იკვლია შემოქმედებით აზროვნებაზე ე. წ. „კრეაციული ველის“ მეთოდით — „ცილინდრული ჰაღრაკით“ და „კოორდინატების სისტემა“. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ცდისპირებს უნდა შეესრულებინათ ერთნაირი, უმნიშვნელოდ შეცვლილი ამოცანები. ცდისპირები მეათე კლასის მოსწავლეები იყვნენ. ცდები ტარდებოდა ორ სერიად. პირველში დავალებებს არულებდნენ ინტელექტუალური ინიციატივის დადგენის მიზნით. ეს იყო ე. წ. „ნეიტრალური“ ჯგუფი. მეორეში — „მოტივირებულში“ — ცდისპირებს, რომლებიც პირველი სერიის შედეგების მიხედვით წყვილ-წყვილად იყვნენ დაყოფილი, ინსტრუქცია ეძლეოდათ „პირად შეჯიბრებაზე“: დავალება რაც შეიძლება სწორად და სწრაფად უნდა შეესრულებინათ.

შედეგები გვიჩვენებენ, რომ ინტელექტუალური ინიციატივა მეორე სერიის ცდებში დაბალა, ვიდრე პირველში. ავტორს ამის მიზეზად დროითი მომენტის შემოტანა მიაჩნია. ისე კი არ უარყოფს მოტივაციური ფაქტორების დადებით ზეგავლენას ინტელექტუალურ აქტივობაზე [6].

ტელეგინა, სტურე და ვოლკოვა პროდუქტიულ აზროვნებას სამ (ინსტრუქციის, შეჯიბრებისა და გონებრივი ნიჭიერების კვლევის) სიტუაციაში იკვლევდნენ [15].

ცდებმა უჩვენა, რომ პიროვნულად ღირებული მოტივაციური ფორმების შეუყვანა გავლენას ახდენს აზროვნების პროდუქტიულობაზე. განსაკუთრებით გაიზარდა მისი მაჩვენებელი „გონებრივი ნიჭიერების“ კვლევის სიტუაციაში, სადაც სწორმა პასუხებმა შემთხვევათა 100%-ს მიაღწია. რაც შეეხება შეჯიბრების სიტუაციას, აქ მხოლოდ 50%-ს უდრის სწორ პასუხთა რაოდენობა. დროც, რომელიც ამოცანების ამოხსნას ჰკირდება, დიდია „გონებრივი ნიჭიერების“ კვლევის ცდებშიც, რაც იმას უჩვენებს, რომ ცდისპირები ამოცანას ლებულობენ და ხანგრძლივი დაკვირვებისა და მსჯელობის საგნად აქცევენ მას.

ნიუტენმა მოტივაციურ ფაქტორებად გონებრივი კოეფიციენტისა და პროფესიული უნარების გამოკვლევა გამოიყენა. ამ უკანასკნელის დროს გაცილებით მაღალი შედეგები იქნა მიღებული, ვიდრე ინსტრუქციით მოქმედ ცდისპირებთან [13].

დარახველიძემ იკვლია მოთხოვნილების გავლენა ამოცანის ამოხსნის პროცესზე სიტუაციაში, როდესაც ამოცანის ამოხსნის შედეგად მიღებული პასუხი სუბიექტის გარკვეული მოთხოვნილების ფრუსტრაციას უკავშირდება. გამოიჩვენა, რომ პრესტიჟის მოთხოვნილების ფრუსტრაცია იწვევს ამოცანების ამოხსნის ალბათობის შემცირებას [1].

რაც შეეხება ჩვენს ექსპერიმენტს, აქ მოტივაციურ ფაქტორად გამოყენებული იყო შეჯიბრების სიტუაცია. მისი გავლენის შესწავლა განაპირობა

იმან, რომ იგი ზშირად გამოიყენება სასკოლო ცხოვრებაში. გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოყვანილი ექსპერიმენტებიდან ირკვევა, მისი გამოყენება ყოველთვის არ იძლევა დადებით შედეგს.

შეჯიბრების სიტუაციის გავლენა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროდუქტიულ აზროვნებაზე

შეჯიბრებას სოციალურ ფსიქოლოგიაში განიხილავენ, როგორც ორმხრივი სოციალური ურთიერთქმედების ფორმას. მისი ფსიქოლოგიური ბუნება კარგად აქვს განხილული პროფ. შ. ნადირაშვილს [2,14].

შეჯიბრების პროცესში ადამიანი ისწრაფვის ისეთი რეაქციები გამოიწვიოს, როგორც თავისთავში, ისე სხვა სუბიექტშიც, რომელიც მას წარმატებას მოუტანს. იმავე დროს ის აბრკოლებს იმ რეაქციებს, რომლებმაც შეიძლება სარგებლობა მოუტანოს მის პარტნიორს.

შეჯიბრება არაა განპირობებული მარტო საგნებისა და მოვლენების საარსებო წითხევისტებით. შეჯიბრებაში გამარჯვებას სპეციფიკურ-პიროვნული აზრი აქვს, რომელშიც შედის მოწინააღმდეგეზე საკუთარი უპირატესობის მოპოვების (დამტკიცების) გრძნობა.


როცა შეჯიბრების ფსიქოლოგიურ ბუნებაზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის ორ ასპექტზე: 1. საგნობრივ-ობიექტურ და პიროვნულ-აზრობრივ ორიენტაციასა და 2. მონოფრონტალობა-ბიფრონტალობაზე.

პირველ ასპექტზე უკვე ვაკვრით ვილაპარაკეთ. როცა ხაზი გავუსვით იმას, რომ შეჯიბრების დროს არაა აუცილებელი მარტო საგნების დაუფლება. რაც შეეხება მეორე ასპექტს, აქ იგულისხმება ის, თუ პიროვნებას შეჯიბრების პროცესში, რამდენ ფრონტზე უხდება მუშაობა. მაგალითად, ფეხბურთის, კრივის, ჰადრაკის და სხვ. დროს ადამიანი ორ ფრონტზე მუშაობს. ამდენად შეჯიბრება ასეთი სახეების დროს ბიფრონტალურია. რაც შეეხება ხტომას, სიმძიმეების აწევას და სხვ., ამ დროს შეჯიბრება მონოფრონტალურ ხასიათს ატარებს. პირველ შემთხვევაში იგი ცდილობს ამაღლოს თავისი ქცევის ეფექტიანობა და ერთდროულად აფერხებს მოწინააღმდეგის წარმატებით მოქმედებასაც. მეორე შემთხვევაში კი პარტნიორის აქტივობა მიმართულია საკუთარი ქცევის ეფექტიანობის ამღლებზე და საშუალება არც კი გააჩნია, რათა დაასუსტოს მოწინააღმდეგის აქტივობა. რაც შეეხება ჩვენს ცდებში გამოყენებულ შეჯიბრებას, მას პიროვნულ-აზრობრივი სახე ჰქონდა და მონოფრონტალურ ხასიათს ატარებდა.

ცდების ჩატარების მიმდინარეობის აღწერა

ცდისპირებს ევალუბრადთ მოეხდინათ კლასიფიკაციის ოპერაცია. საკლასიფიკაციო მასალად გამოყენებული იქნა ადამიანის სქემატური გამოსახულებები (იხ. სქემა). კლასიფიკაციის სწორად გაკეთებისათვის ორი განმასხვავებელი ნიშნის ობიექტივაციაა საჭირო. განმასხვავებელი ნიშნები მოთავსებულია ადამიანის სქემის როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილში. ორივე განმასხვავებელი ნიშნის ობიექტივაცია რომ მომხდარიყო, საჭირო გახდა დამხარე სურათების შემოტანა. ეს სურათები ძირითადი სურათებისაგან ერთი ნიშნითაა განსხვავებული, მაგრამ ისეა გაკეთებული, რომ ცდისპირს აიძულებს ყუ-

რადღება მიაქციოს მეორე განმასხვავებელ ნიშანსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიკაციის ოპერაცია ერთი განმასხვავებელი ნიშნის ობიექტივაციის საფუძველზე მიმდინარეობს.



ცდები ტარდებოდა შეჯიბრებისა და ინსტრუქციის სიტუაციებში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა შესასწავლი ფაქტის კონსტანტაცია.

შეჯიბრება სხვადასხვა პირობებში ტარდებოდა: 1. პირველ ჯგუფში ცდისპირები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ინდივიდუალური წესით, სადაც გამარჯვების მთავარი პირობა იყო ამოცანის სწორად გადაწყვეტა და არა მისი სწრაფად შესრულება, 2. მეორე ჯგუფში ცდები იმავე ინდივიდუალური შეჯიბრების წესით მიმდინარეობდა, მაგრამ, ამჯერად, გამარჯვების პირობად ამოცანის სწორად და სწრაფად შესრულება იყო გამოცხადებული, 3. მესამე ჯგუფში ცდები კოლექტიური შეჯიბრების პირობებში ტარდებოდა, სადაც ისე როგორც პირველ ჯგუფში, გამარჯვების პირობას ამოცანის სწორად გადაწყვეტა წარმოადგენს, 4. რაც შეეხება მეოთხე ჯგუფს, ეს წარმოადგენდა ე. წ. ნეიტრალურ ჯგუფს, რომელშიც ცდისპირები დავალებას შეჯიბრების გარეშე ასრულებდნენ.

ცდისპირებს დაწყებითი კლასების (მოსამზადებელი, პირველი და მეორე) მოსწავლეები წარმოადგენდნენ. თითოეულ ჯგუფში 50—50 ბავშვი იყო გაერთიანებული. ასე, რომ თითოეული კლასიდან 200—200 ცდისპირი მონაწილეობდა (სულ მათი რიცხვი 800-ს უდრის).

იმისათვის, რომ შეჯიბრებას რეალური სახე ჰქონოდა, საჭირო გახდა სპეციალური მასალის რამდენიმე ეგზემპლარად დაშადება. ამან ხელი შეუწყო ცდების სწრაფად ჩატარებასაც.

ინსტრუქცია ცდისპირებს იმის მიხედვით ეძლეოდა, თუ რომელ ჯგუფში მონაწილეობდნენ ისინი, მაგალითად, თუ პირველ ჯგუფში გამარჯვების მთავარ პირობად დავალების სწორად შესრულებას ვაცხადებდით, მეორე ჯგუფში ამას სისწრაფესაც ვუმბატებდით. საერთოდ, შეჯიბრებისათვის ცდისპირების მომზადება დავალების მიცემამდე, კლასშივე ხდებოდა. ასე, რომ ერთი კლასის მოსწავლეები, მხოლოდ ერთი რომელიმე ვარიანტის ცდებში მონაწილეობდნენ მონაწილეობას. თვითონ შეჯიბრების პროცესს სხვა ოთახში ტარდებოდა, სადაც მონაწილეობას 4 ცდისპირი იღებდა. შათ, აქ, დამატებით ეძლეოდათ განმარტება თუ რა უნდა გაეკეთებინათ და ის პირობაც, რაც შათი გამარჯვების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ცდისპირებს ვეუბნებოდით იმასაც, რომ შათი გამარჯვება-დამარცხების ფაქტი კლასში იქნებოდა გამოცხადებული.

ჯგუფური შეჯიბრების დროს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პარალელური კლასების მოსწავლეები. ერთ რომელიმე კლასში ცხადდებოდა, რომ ისინი შეჯიბრებაში არიან გამომწვეული შათი პარალელური კლასის მიერ. გამარჯვებისათვის საჭირო იყო, არა ერთი რომელიმე მათგანის, არამედ ყველა ბავშვის მიერ დავალების სწორად შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთის წარუმატებლობასაც კი, შეეძლო მთელი კლასის დამარცხება. ამდენად, აქ, თითოეული მათგანის ღირსების საქმე კი არ დგას, არამედ მთელი კლასისა, და უნდა ეცადონ არ შელაზონ იგი.

შეჯიბრებას რეალური სახე რომ მიეღო, კლასში მოგვყავდა მეორე კლასის მოსწავლეები, რომელიც პირადად იწვევდა შათ შეჯიბრებაში.

წინასწარ ვარკვევდით ბავშვების სურვილს, სურდათ თუ არა მონაწილეობის მიღება შეჯიბრების პროცესში. თუკი ვინმეს ამის სურვილი არ აღმოაჩნდებოდა, მაშინ ისინი ცდებში არ იღებდნენ მონაწილეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჯიბრებაში მონაწილეობა თავსმოხვეულ საქმედ ვადაქცევა, ოკი არ იქნება მისთვის პიროვნულად მისაღები და ამდენად ამ პროცესში მისმა იძულებითმა ჩართვამ, შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ასეთი ბავშვების რიცხვი ძალიან მცირე აღმოჩნდა და როგორც მოსწავლეებთან საუბარში ირკვეოდა, ისინი გაუბედავ, მორიდებულ, მორცხვ ბავშვებს წარმოადგენდნენ.

სოციალურ ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ ერთმანეთს სიმპათიურად განწყობილი ადამიანები ეჯიბრებიან, ამ მოვლენამ დაბალი კლასების მოსწავლეებთანაც იჩინა თავი. როგორც გამოირკვა, შათ არ უნდოდათ ნებისმიერი შერჩევის საფუძველზე შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ისინი თვითონ ირჩევდნენ პარტნიორს. ხშირ შემთხვევაში არჩეული პარტნიორი მის მერხზე მჯდომი ბავშვი იყო, მაგრამ არც ისე იშვიათი იყო სხვა მერხზე მჯდომი ბავშვის არჩევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ეს არჩეული ბავშვი იყო წინააღმდეგი ამრჩევთან შეჯიბრებისა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ კლასში ბავშვებს შორის გარკვეული სიმპათია-ანტიპათიის დამოკიდებულებანი უნდა მყარდებოდეს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მერხებზე შათი განაწილების დროს. მაგრამ, როგორც ცდების მსვლელობისას გამოირკვა, ხანდახან

პარტნიორის არჩევას სხვა მოტივიც ედო საფუძვლად: ცდისპირი ისეთ პარტნიორს ირჩევდა, რომელთანაც შეჯიბრებაში იგი დარწმუნებული იყო თავის წარმატებაში. თუკი ამგვარ შემდგომი მსვლელობა მისი დარწმუნებულობის წინააღმდეგ განვითარდებოდა, მაშინ ეს გარკვეული სახის აგრესიულობას იწვევდა მასში.

როგორც ცდების მსვლელობამ გვიჩვენა, ცდისპირები გამარჯვების ერთადერთ პირობას დავალების სწრაფად შესრულებაში ხედავდნენ, ეს მაშინაც კი, როცა ინსტრუქცია ამ პირობას არ ითვალისწინებდა. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მასწავლებლების მიერ კლასებში ორგანიზებული შეჯიბრების ხასიათში. სკოლის მასწავლებლები შეჯიბრებას სისტემატურად იყენებენ, მაგრამ ისინი ძირითადად მათგან დავალების სწრაფად შესრულებას მოითხოვენ. ამ განწყობის დარღვევა კი ჩვენგან გარკვეული მუშაობის ჩატარებას მოითხოვდა, რაც გამოიხატებოდა მათი ყურადღების ამოცანის სწორად შესრულებაზე ორიენტაციაში, ამ საქმეში გარკვეულ როლს ასაკიც თამაშობდა. თუ მეორე კლასის ბავშვებთან ამის მიღწევა შედარებით იოლი იყო, იგი ძალიან რთული იყო მოსამზადებელი კლასის ბავშვებთან. მაგალითად, ცდების დაწყებამდე, ე. ი. ინსტრუქციის მიცემამდე, ერთი მეორე კლასელი შეკითხება: „პატივცემულო, სწრაფად შესრულება ხომ არაა სავალდებულო?“ როცა პასუხი მიეცემა, მან უფრო მშვიდი სახე მიიღო და ჩაილაპარაკა: „ო! მაშინ მოახერხებს კაცი რაიმეს“-ო.

ასეთია ცდების მიმდინარეობა და ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი სახის ფსიქოლოგიური მომენტები. თავისთავად, მათ აღწერას და ახსნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს შეჯიბრების მოწყობისათვის დაბალი კლასების მოსწავლეებთან, მაგრამ დასმულ პრობლემაზე წარმოდგენას არ იძლევიან. ამისათვის შედეგების რაოდენობრივი დახასიათებაა საჭირო.

შეჯიბრების გავლენის რაოდენობრივი მაჩვენებლები დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროდუქტიულ აზროვნებაზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითოეულ კლასში ცდები ჩატარებულ იქნა 4 ვარიანტად, ხოლო თითოეულ ვარიანტში 50-50 ცდისპირი მონაწილეობდა. შედეგების რაოდენობრივი ანალიზის გაკეთება ცალკე კლასების მიხედვით უკეთესია, მაგრამ საერთო სურათის შესაქმნელად უფრო მნიშვნელოვანია მათი ერთ ცხრილში გაერთიანება. ეს საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ დავინახოთ მოტივატიური ფაქტორების გავლენის მაჩვენებლების ცვლილებანი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტების აღრიცხვასაც, რაც ცდების მიმდინარეობის პროცესში ან მისი დამთავრების შემდეგ იჩენდა თავს (ცდების დაწყებამდე გამოვლენილ ასეთ ფაქტებზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი). უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ასეთი ფაქტების აღნუსხვა-აღწერა ჩვენს ცდებში სრულად ვერ ხდებოდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ცდებში ერთდროულად, გარდა ნეიტრალური ჯგუფისა, ოთხ-ოთხი ცდისპირი მონაწილეობდა. ეს მოითხოვდა ჩვენი ყურადღების მობილიზებას რაოდენობრივი შედეგების აღრიცხვისაკენ, რაც ხშირად იწვევდა სიანტერესო ფაქტების მხედველობის ველიდან გაშვებას.

ცდების შედეგების რაოდენობრივი მაჩვენებლები იხ. ცხრილში.

| ასაკობრივი ჯგუფები | ელისპირთა რაიონობა | შეჯიბრე ის ფორმები, პირობები და სწორ შემთხვევათა რაოდენობივი მაჩვენებლები | | | |
|---------------------|--------------------|---|---|--|--|
| | | „ნეიტრალური“ ჯგუფი | ინტ. შ. ჯიბრება, ამოცანის სწრაფად და სწორად შესრულებაზე | ინტ. შ. ჯიბრება, ამოცანის სწორად შესრულებაზე | ჯგუფური შეჯიბრება, ამოცანის სწორად შესრულებაზე |
| მოსამზადებელი კლასი | 50 | 17 ც. პ. 34% | 8 ც. პ. 16% | 27 ც. პ. 54% | 27 ც. პ. 54% |
| პირველი კლასი | 50 | 22 ც. პ. 44% | 10 ც. პ. 20% | 33 ც. პ. 66% | 34 ც. პ. 68% |
| მეორე კლასი | 50 | 26 ც. პ. 52% | 12 ც. პ. 24% | 39 ც. პ. 78% | 42 ც. პ. 84% |

ცხრილში შეტანილი არაა მცდარი შემთხვევები. ეს გამოიწვევდა ცხრილის გადატვირთვას, დასმული პრობლემისათვის კი მათ განხილვას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ბავშვებს ზაერთოდ არ შეეძლოთ დავალების შესრულება. არა! ისინი ამას ვერ ახერხებენ კლასიფიკაციის პირველ ეტაპზე. სწორედ ამ ეტაპზე ჩანს თვალსაჩინოდ მოტივაციური ფაქტორების გავლენა პროდუქტიულ აზროვნებაზე.

ცხრილიდან, პირველ რიგში, ნათლად ჩანს საკლასიფიკაციო ნიშანთა ობიექტივაციის ასაკობრივი შესაძლებლობები. ამაზე წარმოდგენას იძლევა ე. წ. „ნეიტრალური“ ჯგუფში მიღებული შედეგები. თუ 0 კლასში სწორ პასუხთა რაოდენობა 17-ს უდრის, ასაკის მატებასთან ერთად, იგი იზრდება და შესაბამისად ზდება 22-ისა და 26-ის ტოლი. ე. ი. მეორე კლასის ბავშვებთან სწორი კლასიფიკაციის მაჩვენებელი შემთხვევათა ნახევარს აღემატება. ამისდა პარალელურად კლებულობს მცდარ პასუხთა რაოდენობა, რაც ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს.

რა არის ამის მიზეზი? ის ხომ არაა, რომ მოცემული დავალება ამ ბავშვების გონებრივ შესაძლებლობათა საზღვრებს სცილდება? ასეთი დაშვების უსაფუძვლობას ცხრილის შემდეგი განხილვა გვიჩვენებს.

ცხრილის შემდგომ სვეტში მოცემულია ინდივიდუალური შეჯიბრების შედეგები, როდესაც გამარჯვების პირობას ამოცანის შესრულების სისწრაფე-სისწორე წარმოადგენს. რას გვიჩვენებს ეს შედეგები? იმას, რომ თითქოს შეჯიბრების სიტუაცია ინტელექტუალურ აქტივობაზე უარყოფით გავლენას უნდა ახდენდეს. სვეტში ნათლად ჩანს შედეგების გაუარესება, თუმცა ასაკის მიხედვით ისინი მაინც იზრდებიან, მაგრამ ისინი ყველგან ჩამორჩებიან ნეიტრალური ჯგუფის შედეგებს. თანაც ეს კლება, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თვალსაჩინო და ანგარიშგასაწევეია. მაგალითად, თუ მეორე კლასის „ნეიტრალურ“ ჯგუფში სწორ პასუხთა რაოდენობა 26-ის ტოლია, ახლა იგი იკლებს და 12-ს უტოლდება. რას ნიშნავს ეს, განა დანარჩენებისათვის პირადი აღიარების, მისი პარტნიორზე უპირატესობის დამტკიცების მოტივს ღირებულება არ აქვს? რა თქმა უნდა აქვს, მაგრამ აქ მთავარ მიზეზს შეფასების დროითი მომენტის შემოტანა წარმოადგენს. კდისპირებში, ისედაც, დავალების სწრაფად შესრულების ნიშანი პრევალირებს, ინსტრუქციაში ამის დამატებით მოთხოვნა იწვევს დავალების სწორად ამოხსნის პირობის უკუგდებას და მთელი ყურადღების გადატანას ამოცანის სწრაფად შესრულებაზე. ეს კი ხელს უშლით

მათ, რომ ამოცანა დაწვრილებითი მსჯელობისა და განსჯის საგნად გადმოვიყვანო. ვინც აღწევს წარმატებას ისინიც დაეალებას გაცილებით გვიან ამთავრებენ. ამ ცდისპირებთან, ადგილი უნდა ჰქონდეს შეჯიბრების მოტივის გადასვლას ინტელექტუალური აქტივობის მოტივში. ამას ადასტურებს ის, რომ ისინი დაეალებას მას შემდეგაც ასრულებენ, რაც სხვებმა უკვე დაამთავრეს იგი (ანალიგიურ ფაქტს ადგილი ჰქონდა ტელევიზის ცდებშიც).

ზემოთ აღწერილ სწორ შემთხვევათა რაოდენობის შემცირება რომ დროითი მომენტის შემოტანითაა განპირობებული, ამას ადასტურებს იმ ცდების შედეგები, რომლებიც მიღებული არიან ისეთი შეჯიბრების სიტუაციაში, რომლის დროს გამარჯვების პირობას ამოცანის არა სწრაფად, არამედ სწორად შესრულება წარმოადგენდა. ეს კარგად ჩანს, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შეჯიბრების დროსაც (ჯგუფური შეჯიბრება მხოლოდ ამოცანის სწორად შესრულების ნიშნით იქნა ჩატარებული). შედეგების გაუმჯობესებას ადგილი აქვს ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ეს მატება თითქმის ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ 1—3 ცდისპირშია, რაც არ იძლევა იმის საბაბს, რომ ჯგუფებს შორის მატების პრინციპულ განსხვავებაზე ვილაპარაკოთ, ცხრილიდან ჩანს, რომ თუ „ნეიტრალურ“ ჯგუფში სწორ შემთხვევათა მაჩვენებლები კლასების მიხედვით — 17-ის, 22-ის და 26-ის ტოლია, ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯიბრების დროს, შესაბამისად, ხდებიან 27-ის, 33-ის, 39-ის და 27-ის, 34-ის და 43-ის ტოლი. მატება თვალსაჩინოა და ნათლად უჩვენებს შეჯიბრების სიტუაციის დადებით როლს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ინტელექტუალურ აქტივობაზე.

ზაზი უნდა გაგვას იმას, რომ ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯიბრების შედეგები თითქმის ერთნაირია. 0 კლასში ისინი აბსოლუტურად ერთნაირია, პირველ კლასში განსხვავება 1-ის, ხოლო მეორე კლასში 3-ის ტოლია. მაგრამ, როცა დაეინახავთ იმას, რომ ეს უკანასკნელი მატება 39 და 42-ს შორის განსხვავებას ეხება, შეიძლება მასზე პრინციპულად არც ვილაპარაკოთ. ეს იმას უნდა ამტკიცებდეს, რომ პატარა ბავშვები ისეთივე აქტივობას გამოიჩენენ ჯგუფის ინტერესებისათვის, როგორც საკუთარი წარმატებისათვის. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ამ მხრივ, პრინციპული განსხვავებაა მოსამზადებელსა და მეორე კლასის მოსწავლეებს შორის.

რაც შეეხება დაშვებულ შეცდომებს, ის გაცილებით მეტია „ნეიტრალურ“ და ამოცანის სწრაფად შესრულებაზე შეჯიბრების ჯგუფში. დანარჩენ ორ ჯგუფში კი მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. უკანასკნელ ორ ჯგუფში მცდარ შემთხვევად ისეთი მდგომარეობაც იქნა ჩათვლილი, როდესაც ცდისპირი 1 ან 2 შეცდომას უშვებდა. რაც შეეხება პირველ ორ ჯგუფს, აქ შეცდომები 5-ჯერ და მეტჯერაც უფრო ხშირად გვხვდებოდა. რა თქმა უნდა მხედველობაში გვაქვს კლასიფიკაციის პირველ ეტაპზე მიღებული შეცდომები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედეგების რაოდენობრივი ანალიზი გვიჩვენებს ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯიბრების მონაცემების თანხვედრას. ამასთან დაკავშირებით, ზემოთ კითხვაც კი დავსვით. ახლა კი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით. რაოდენობრივი მაჩვენებლები ამ შემთხვევაში ვერაფერს დაგვცხადებენ, აქ მთავარი მნიშვნელობა თვითონ ცდისპირების მიერ გამოვლენილ რეაქციებსა და პასუხებს აქვს.

როგორც ექსპერიმენტული გამოკვლევები ადასტურებს, პატარა ასაკის ბავშვებთან უპირატესობა პიროვნულ, პირადულ ინტერესებს ენიჭება. ჩვეუ-

ლებრივ, ამ საკითხს ბავშვის კონფლიქტურ სიტუაციაში ჩაყენებით იკვლევენ, სადაც ერთმანეთს ეჯახება პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები. მაგალითად, მან უარი უნდა თქვას საკუთარ გართობაზე და რაღაც საზოგადოებრივი დავალება უნდა შეასრულოს, როგორც უკვე ვთქვით, ბავშვების უმრავლესობა ვერ ახერხებს საზოგადოებრივი დავალების მიღებას.

რაც შეეხება ჩვენს ექსპერიმენტს, ბავშვი აქ კონფლიქტურ სიტუაციაში არ იმყოფება. „საზოგადოებრივი“ მისი „პირადულიც“ შეიძლება აღმოჩნდეს, ეს ამწელებს იმის გარკვევას, ბავშვები ჯგუფის თუ პირადული ინტერესებისათვის იჩენენ აქტივობას. ამდენად, ეს საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ცდისპირების მიერ გამოვლენილი რეაქციები მაინც გვაძლევენ ამ საკითხზე წარმოდგენის საშუალებას. სავსეა, რომ ცდისპირები ყველა ასაკობრივ ჯგუფში კოლექტივის ინტერესებისათვის იჩენდნენ ზედმეტ აქტივობას. ამ მხრივ მკვეთრად გამოირჩევიან მოსამზადებელი კლასის ბავშვები. როგორც გამოკითხვით და საუბრებით ირკვევა, ისინი მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამარჯვების მოტივით იბრძვიან და არ განიცდიან სხვების წარუმატებლობას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამან მისი საქმის გაფუჭებაც გამოიწვიოს. შედარებით სხვანიარად დგას საქმე მეორე კლასებთან. გაიგებენ რა საქმის ვითარებას, ერთმანეთს მოუწოდებენ დავალების სწორად შესრულებისაკენ, ხშირია ცდების მსვლელობისას ერთმანეთის დახმარების შემთხვევები, რომელსაც საერთოდ ვერ ვხვდებით მოსამზადებელი კლასის ბავშვებთან და ინდივიდუალური შეჯიბრების ცდებში. ამდენად, მეორე კლასის ასაკი უნდა მივიჩნიოთ იმ პერიოდად, როცა ბავშვებში გაფორმებას იწყებს ჯგუფის ინტერესების თავისთავზე მიღება და მისთვის გარკვეული აქტივობის შესრულება.

ზაზი უნდა გავსვას იმას, რომ შეჯიბრების სიტუაცია რამდენადმე უაზრესებს ბავშვების ურთიერთობას და კონფლიქტს წარმოქმნის მათ შორის. მაგალითად, ჩვენს ცდებში ადგილი ჰქონდა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს დამარცხებული ბავშვის მხრიდან გამარჯვებულის მიმართ.

ამდენად შეჯიბრების სიტუაციის შეყენა სასკოლო ცხოვრებაში გარკვეულ ორგანიზაციულ და გარკვეულ პირობების დაცვას მოითხოვს. ამის შემდეგ, შეჯიბრება შეიძლება გახდეს საშუალება მოსწავლეთა ინტელექტუალური აქტივობის გაძლიერებისათვის. პირადი უპირატესობის მიღწევის ინტერესი ზრდის ბავშვებში პასუხისმგებლობის გრძნობას. ამიტომ ისინი უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან იმ საქმეს, რომელიც მისი თავის გამოჩენის საშუალებად იქცევა. ამ მხრივ კი შეჯიბრება ყველაზე კარგ საშუალებას წარმოადგენს და ისინიც ხალისით ებმებიან მასში. მისი საშუალებით ბავშვები პრესტიჟის მოთხოვნილებას, კლასში საპატიო ადგილის დაკავების სურვილის დაკმაყოფილებას აღწევენ.

О. Л. ДЕВИДЗЕ

ВЛИЯНИЕ МОТИВАЦИОННЫХ ФАКТОРОВ НА МЫШЛЕНИЕ УЧАЩИХСЯ НАЧАЛЬНЫХ КЛАССОВ

Резюме

1. Учебная деятельность часто осуществляется на основе таких мотивов, содержание которых ничего общего не имеет с учебным пред-

მეთ. Такие мотивы в психологии называются гетерогенными, внешними. Цель нашего исследования — изучение влияния гетерогенных мотивов на мышление учащихся начальных классов.

2. В настоящем труде в роли гетерогенных мотивов было использовано соревнование. Во время соревнования действует мотив собственного превосходства над партнером, добывание победы над ним. Эксперименты проводились как методом индивидуального, так и группового соревнования.

3. Установлено, что соревнование способствует концентрации учащихся над задачей и повышает продуктивность их мышления. Однако продуктивность мышления снижается, когда соревнование протекает в условиях быстрого решения задачи.

4. С повышением возраста возрастает роль мотива группового соревнования. Большинство учащихся II класса руководствуются именно мотивом победой группы.

ლიტერატურა

1. დარახველიძე გ. მოთხოვნის გავლენა ამოცანის ამოხსნის პროცესზე, „გაერთიანებული სესიის მასალები“, 1977.
2. ნადირაშვილი შ. პირენების სოციალური ფსიქოლოგია, 1975.
3. ფრანგიშვილი ა. სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, 1969.
4. ჩხარტიშვილი შ. სწავლის მოტივაციური ფორმები, „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12.
5. Горфункель П. Л. Об одном из факторов стимулирующей силы мотива, «Вопросы психологии», 1967, № 4.
6. Гинзбург М. Д. К проблеме мотивационных компонентов интеллектуальной инициативы, «Вопросы психологии», 1976, № 4.
7. Вассерман Б. И. О влиянии мотивации на продуктивность мнемических процессов. «Вопросы психологии», 1975, № 6.
8. Кучменко А. И. Влияние учебных ситуаций на продуктивность умственной деятельности, «Вопросы психологии», 1974, № 4.
9. Славина А. С. Роль мотива и способов поведения при выполнении школьниками общественных поручений. Сб. «Вопросы психологии личности школьника», 1961.
10. Славина А. С. Роль поставленной перед ребенком цели и образованного им самим намерения как мотивов деятельности школьника. Сб. «Изучение мотивации поведения детей и подростков», 1978.
11. Моргуи В. Ф. Психологические проблемы мотивации учения, «Вопросы психологии», 1976, № 6.
12. Леонтьев А. Н. Деятельность. Сознание. Личность, 1977.
13. Нютени Ж. Мотивация. «Экспериментальная психология», вып. V, гл. XV, 1975.
14. Надирашвили Ш. Психология соревнования, 1976.
15. Телегина Э. Д. Стуре Т. К. Волкова Т. Г. Мотивы в структуре мыслительной деятельности человека. «Новые исследования в психологии», 1975, № 2.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ნათელა ჰარლაშვილი

მესპერიმენტული ფაქტები სავარაუდო და განმარტებულ
ნოშანთა შეცვლის ზეგავლენის შესახებ მსგავსების კონცის
ამოცანის გადაწყვეტაზე

პრობლემა

ექსპერიმენტები, რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ, მიზნად ისახავდა გამოგვეკვლია თუ რა ფაქტორებია ჩართული მსგავსების პრინციპის ძიების დროს, როდესაც ეს ამოცანა ცდისპირის ეძლევა ექსპონატთა სერიული ზემოქმედების პირობებში.

ჩვენ მიერ ზრდადსარულეულ ცდისპირებზე ნახატი სურათებით ჩატარებულ ცდებში დადგინდა ფაქტორები, რომელთა გავლენა გამოქვლინდა ცდების აზრთა სვლის მიმართულეებზე: თავს იჩენდა „გადახრა“ ამოცანის ამოხსნის მარტივი, თვალსაჩინო, გზისაგან; ც-ბი სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც ძნელად „თავისუფლდებიან“ ამოცანის ამოხსნის ერთხელ აღებული მიმართულეებისაგან*.

ჩვენამდე ბევრად ადრე ჩატარებულ ცდებში საქ. მეცნ. აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში (მასალაები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, 1938 წ.); სადაც. წლების მანძილზე მიმდინარეობდა გამოკვლევა განწყობის ილუზიის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მსგავსი ფაქტი მრავალნაირ მასალაზე დადგენილი: წინამორბედი (შესადარებელი) პრინციპის ელიმინაცია (უტოლო წრეების ტოლი წრეებით შეცვლა) ეფექტს არ იძლევა: ც-ბი ერთხანს ტოლ წრეებს აღიქვამენ ძველებურად — როგორც უტოლოს.


ლაჩინზის მიერ ჩატარებულ ცდებში (სურათებით, ნივთებით, მარტივი მათემატიკური ამოცანებით, მაგრამ ასევე სერიული ზემოქმედების პირობებში) ანალოგიური ფაქტია მიღებული: არც ძველი პრინციპის ელიმინაცია და არც მეორე პრინციპის — უფრო იოლისა და ადეკვატურის — დამატება ეფექტს არ იძლევა: ც-ბი ერთხანს მაინც ძველი პრინციპით ხელმძღვანელობენ ექსპერიმენტულ ამოცანის გადასაწყვეტად. ლაჩინზის ამ მეთოდს ეწოდება „Einstellung—Type sorting Tests“ და აღწერა მოცემულია მის წიგნში: „The Rigidity of Behaviour“, 1959 j.

ამ ცდებში ჩვენ გამოვიკვლიეთ ის პირობები, რომელთაც შეეძლოთ შეესუსტებინათ, ან აღეკვეთათ, თვით სიძნელეთა ფაქტები.

* ფაქტორთა ერთი ჯგუფის სპეციფიურობა აღწერილი და გაანალიზებულია ჩემს სტატიებში: К вопросу механизированности ригидного поведения (III Всесоюзный съезд общ. псих. в Киеве 1968 г.), 2. Некоторые экспериментальные данные по проблеме ригидности поведения (XIX между. конгр. псих. в Лондоне 1969 г.), 3. Проблема прилипаемости к прежнему принципу действия (рукопись, 1976), 4. Влияние эмоционального момента на отклонение от естественного хода мыслительного процесса в действиях интеллектуального порядка (рукопись, 1976 г.).

მეთოდოლოგია

ჩვენი ცდები აგებული იყო ლაჩინზის მეთოდოლოგიის პრინციპზე, რომლის თანახმად, პირველი 10 ცდის მწყობრს, აგებულს ერთი პრინციპით, მოყვება




სურ. 1. საგანწყობო ცდების მწყობრივი

ორი ცდა აგებული სხვა პრინციპით; ამას კიდევ 5 ცდის მწყობრივი ისევ განსხვავებული პრინციპით და, ბოლოს, იგივე ორი ცდა, რომელიც დასაწყისში მოსდევდა პირველ ათს.

ექსპონატებად გამოვიყენეთ ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრილი და სტანდარტულ სასკოლო რვეულის ფურცელზე დაწებებული გეომეტრიული ფორმები. თითოეულ ცდაში ექსპონატა წყვილი იყო მოწოდებული შესადარებლად. ცპ-ბს უნდა ეპოვნათ წყვილის საერთო ნიშანი. პირველი ათი ცდის ექსპონატებს საერთო ნიშანი ჰქონდათ მხოლოდ ფორმა: ეს იყო ტოლგვერდი და სამკუთხედები, დანარჩენი ნიშნები: ფერი და სიდიდე თითოეულ ექსპონატს განსხვავებული ჰქონდა. ფუძის სიგრძე იცვლებოდა $2\frac{1}{2}$ — $\frac{1}{2}$ სმ-ის ფარგლებში.

პირველი ათი ექსპონატა წარმოადგენდა საგანწყობო ცდებს. იგულისხმებოდა, რომ



სურ. 2 კრიტიკული ცდა


ამგვარი „ერთნაირობის“ ზემოქმედება განაწყობს ცბ-ს განაგრძოს მსგავსების ძიება იმავე პრინციპით: ფორმით მსგავსების მიხედვით.

მომდევნო ორ, ე. წ. კრიტიკულ ცდაში, ექსპონატთა წყვილს უკვე ორი ნიშანი ჰქონდა საერთო: ძველი — ფორმა და ახალი — ფერი. აქ ფუძე იცვლებოდა ასე: 3 სმ და 2 სმ; $2\frac{1}{2}$ — $1\frac{1}{2}$ სმ. ამ ორი კრიტიკული ცდით ვადგენდით განმარტებული მწკრივის საერთო ნიშნის — ფორმის — ძიებისაკენ „გადახრის“ ფაქტს.

მომდევნო ხუთი საკონტროლო ცდის მწკრივი შეიცავს ისევ განსხვავებულ საერთო ნიშანს. ჩვენ ცდებში სამი ვარიანტის საკონტროლო ცდები გვექონდა:

I ვარიანტის საკონტროლო ცდებში ფორმა იცვლება ისევ ობტიმალურად წყვილთა ფერი იდენტურია, მაგალითად დიდი წრე ($d=2$ სმ). და პატარა ოთხკუთხედი (სიმაღლე $\frac{1}{2}$ სმ) ორივე იმავე მოყვითალო ფერისაა, რაც წინაპირობედ კრიტიკულ ცდებში.


II ვარიანტის საკონტროლო ცდებში გაეაძლიერეთ საერთო ნიშანიც



სურ. 3. საკონტროლო ცდებში I ვარიანტი

სურ. 4. II ვარიანტი

(გამოვიყენეთ „მყვირალა“ ფერები) და განმასხვავებელიც (ძლიერ გავზარდეთ ექსპონატთა სიდიდე). მაგ., ერთნაირი სიწითლის დიდი ტრაპეცია (ფუძე 7 სმ) და პატარა წრე ($d = 2$ სმ) მივაწოდეთ პირველ ექსპოზიციაში. ამის შემდგომ ერთნაირი სილურჯის დიდი ოთხკუთხედი (სიმაღლე 10 სმ) და პატარა სამკუთხედი (ფუძე $1\frac{1}{2}$ სმ) და ა. შ. ამით ვცდილობდით ისე შეგვეცვალა ნიშნები, რომ ძლიერი ცვლილებების ფონზე წყვილთა ფერის იგივეობა გამოკვეთილიყო.



სურ. 5. III ვარიანტი



III ვარიანტის საკონტროლო ცდებში, პირველი ორი ვარიანტისაგან განსხვავებით, არ შევცვალეთ არც ფორმა და არც ფერი: მსგავსად განმაწყობელი და კრიტიკული ექსპონატებისა აქაც იმავე თაღი მოყვითალო ფერის სამკუთხედები გამოვიყენეთ, ოღონდ უკვე არა ტოლგვერდა, არამედ უწყისო. ამ მაქსიმალურად გვეზარდეთ განსხვავება სიდიდეში და მდებარეობაში, როგორც წყვილთა შორის, ისე შედარებით წინამორბედი ცდების ექსპონატებთან: მაგ., სამკუთხედები ფუძით ხან გვერდზე მდებარეობდნენ, ხან ზევით და არც ერთხელ ჩვეულებისამებრ ფუძეზე. მაგ., ბლაგვი სამკუთხედი (ფუძე 18 სმ) და ნახვილკუთხა სამკუთხედი (ფუძე 1/2 სმ) და ა. შ.

ახლა განვიხილოთ იგი უფრო დეტალურად, როგორც ეს საგნობრივად ყოფიერი. როგორ წარმოგვიდგება იგი? ცხადია, როგორც ყოფნის არშემძლე და, აქედან გამომდინარე, როგორც აუცილებლად, ბრმად ყოფიერი. ბრმად ყოფიერი, კერძოდ, ისაა, რასაც თავისთავის შესაძლებლობა წინ არ უძღვის. მაგ.; მე ვმოქმედებ ბრმად, როცა რაიმეს ვაკეთებ მისი შესაძლებლობის წინასწარ წარმოუდგენლად. როცა რაღაც მოქმედება (Handlung) ამ მოქმედების ცნე-

* წინსწრობი.

** მომდევნო.

*** უპირატესად, სახელდობრ.

**** თვით ყოფიერი.



ბ ა ს წინ უსწრებს, მაშინ ის ბრმა მოქმედება და ასევე ყოფიერებაც, რომელსაც წინ არ უძღვის რალაც შესაძლებლობა, რომელსაც არასოდეს არ შეუძლია არ ყოფნა და, ამდენად, არც საკუთრივ ყოფნა, რომელიც, პირიქით, თავის შესაძლებლობას როგორც ასეთს წინ უსწრებს. ასეთი ყოფიერება ბრმა ყოფიერებაა. შეიძლება შეგვნიშნონ: თვით ჩვენ ხომ პირველად იმის შესახებ ვილაპარაკეთ, რაც არის, და იგი განვსაზღვრეთ, როგორც უპირველესი (Prius), როგორც პირველმდგომარეობა ანუ როგორც ყოფიერების შესაძლებლობა. სავსებით სწორი შენიშვნაა. მაგრამ მაშინვე ისიც დავსძინეთ, რომ მას თავის ამ უპირველესობაში ვერ შევიწინააღმდეგებთ, ანუ, თუმცა კი შევიწინააღმდეგებთ ამ უპირველესს, მას ვერ შევიწინააღმდეგებთ, როგორც უპირველესს. გადასვლა—ასე აღვნიშნეთ ჩვენ, —გარდუვალია. ა რ ც ე რ თ წ ა მ ს არაა შესაძლებელი—მამასადამე, თავისთავად შეუძლებელია, —რომ ის, რ ა ც ა რ ი ს, არ იყოს, ანუ რომ იგი არმყოფად მოვიზნო. მაგრამ იმისათვის, რისთვისაც შე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა არყოფნა (quod non potest non —existere), ა რ ა ს ო დ ე ს ა ა შესაძლებელი ყოფნაც, რადგან ყოველივე შე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ყოფნისა თავისში შეიცავს აგრეთვე ა რ ყ ო ფ ნ ი ს შესაძლებლობასაც. მამასადამე, იმას, რისთვისაც შეუძლებელია ა რ ყ ო ფ ნ ა, არასოდეს არ გააჩნია შესაძლებლობა ყოფნისა და ყოფიერება, სინამდვილე აქ შესაძლებლობას წინ უსწრებს. ამგვარად, მივიღეთ ცნება აუცილებლად მყოფი, აუცილებლად არსებული არსებისა და ამ ცნების გენეზისიდან შევიძლიათ დინახოთ, თუ რა ძალით იჭრება იგი ცნობიერებაში და ართმევს მას ყოველგვარ თავისუფლებას. ამ ც ნ ე ბ ა ს თ ა ნ მიმართებაში აზროვნება მთელ თავის თავისუფლებას კარგავს.

მაგრამ ჩნდება კითხვა: რ ა უ ნ და ვუწოდოთ ღმერთს, აუცილებლად მყოფ ანუ არსებულ (existierende) არსებას. დეკარტი კმაყოფილდება პოპულარული არგუმენტით, რადგან არააუცილებელი ანუ შემთხვევითი არსება (როგორც იგი განსაზღვრავს ამ ცნებას), მისი აზრით, არასრულყოფილია, ღმერთი კი ყოველმხრივ უსრულყოფილესი არსებაა. იგი არ ამბობს, თუ რას გულისხმობს უსრულყოფილეს არსებაში, მაგრამ კარგად ჩანს, რომ იგი ამაში იმას გულისხმობს, რაც არსებაა ყოველივე ისეთი ყოფიერებისა, რომელსაც არ ურჩება სხვა რამ ყოფიერება თავის გარეთ, რომლის მიმართაც მისი საკუთარი ყოფიერებაც ერთ-ერთი ყოფიერების მიმართებაში იქნებოდა; ან, უფრო მარტივად, რაც არ არის ისეთი ყოფიერი, რომელსაც თავის გარეშე სხვა ყოფიერი ან სხვა ყოფიერებები მოეპოვება, არამედ ლიტონად ყოფიერია და, ამგვარად, თავის უმაღლეს ცნებაში მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რასაც ჩვენ თვით ყოფიერს, ipsum Ens-ს ვუწოდებთ. თუ ღმერთი განისაზღვრება მხოლოდ როგორც თვით ყოფიერი და თუ ის, რაც თვით ყოფიერია, —განისაზღვრება მხოლოდ როგორც ის, რასაც არ შეუძლია არ იყოს, როგორც ის, რისთვისაც შეუძლებელია არყოფნა, მაშინ ღმერთი გადაჭრით და ყოველ ეჭვს გარეშე აუცილებლად არსებულა: ესაა სწორედ ის უმაღლესი საზრისი (Sinn), რომლითაც ს ა კ უ თ რ ი ვ ი ო ნ ტ ო ლ ო გ ი უ რ ი არგუმენტი უნდა გავიგოთ. ა მ საზრისზე დაიყვანება ანსელმის ე. წ. არგუმენტი. მაგრამ ისიც მაშინვე ნათელი ხდება, თუ საიდან წარმოიშვა უნდობლობა ამ ე. წ. არგუმენტის მიმართ და, სახელდობრ, რატომ ცნო სქოლასტიკამ უფრო უპრაიანად მისი უკუდგება, ვიდრე მისი შეწყნარება.

აქ მივადექით კითხვას: ი დ ე ნ ტ უ რ ი ა თუ არა აუცილებლად არსებულ ი არსების ცნება ღმრთის ცნებისა?

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ აუცილებლად არსებული ამასთანავე ბრმად ბუღიციანა. მაგრამ არაფერი ისე საწინააღმდეგო არ არის ღმრთის ბუნებისა, როგორც იგი საყოველთაო რწმენაშია მოცემული, — ამ ცნებას კი დეკარტი, და მასთან ერთად ჩვენც, აქამდე მხოლოდ ამ რწმენიდან ვიღებთ — როგორც ბრმა ყოფიერება. რადგან უპირველესი ნიშანი ბრმად ყოფიერის ცნებაში ხომ ის არის, რომ იგი მოკლევლია ყოველგვარ თავისუფლებას თავისი ყოფიერების მიმართ, მისი არც გაუქმება, არც შეცვლა ანუ მოდიფიცირება შეუძლია. მაგრამ იმას, რასაც თავისი საკუთარი ყოფიერების მიმართ თავისუფლება არა აქვს, საერთოდ არავითარი თავისუფლება არა აქვს, იგი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არათავისუფალია. მაშასადამე, ღმერთი რომ აუცილებლად არსებული არსება იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მისი განსაზღვრა სხვაგვარად თუ არ ამასთანავე როგორც გაქვავებული, უმოძრაო, უპირობოდ არათავისუფალი, ყოველგვარი თავისუფალი მოქმედების, წინსვლის ან თავისთავს ვარეთ გასვლის უნარს მოკლებული არსებისა. მაშინ იძულებულნი ვიქნებოდით ან შეეჩერებულებოდათ ამ ბრმად ყოფიერთან და ვერც ერთი ნაბიჯით ვერ გავცდებოდით ბრმად ყოფიერს ს ა ე რ თ ო დ, ან, თუკი ვანეზრახავდით მისგან წინ წასვლას, მისგან სამყაროსთან მოსვლას, ამას მხოლოდ იმდენად შევძლებდით, რამდენადაც მის ბრმა ყოფიერებაში რაღაც ემანაციური ძალის ჩვენებას მოვახერხებდით, რომლის მეშვეობითაც ამ ბრმა ყოფიერებიდან სხვა ყოფიერება, მაგ., საცნებისა, გა დ მ ო დ ი ნ დ ე ბ ო ლ ა; ვამბობ, ვადმოინდებოდა-მეთქი, და არა გამოვიდოდა-მეთქი, რადგან ეს უკანასკნელი ცნება კვლავ დაკავშირებული აღმოჩნდებოდა შექმნის (Hervorbringen) იდეასთან. მაგრამ სწორედ ეს იდეაა სრულებით შეუთავსებელი ბრმა ყოფიერებასთან, ბრმა ყოფიერება შეიძლება მოაზრებულ იქნეს მხოლოდ როგორც ემანაციური მიზეზი, და ესეც თავისთავად არც თუ მცირე სიძნელეს შექმნიდა. ამგვარად, აქ ჩვენ, კანტისეული გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ანტინომიას ვაწყდებით იმას შორის, რაც ვინებიდან აუცილებლობით გამოიმდინარეობს, და იმას შორის, რაც ჩვენ, არსებითად, გ ვ ს უ რ ს, თუ ღმერთი გვსურს. რადგან აქამდე, — ცხადია, — ღმერთი მხოლოდ ჩვენი სურვილის საგანია — ჩვენ არაფრით არა ვართ იძულებულნი, ვინმართ გამოთქმა „ღმერთი“. გამოვიღვიართ რა აბსოლუტური გონებისეული ცნებიდან, იმის ცნებიდან, რაც არის (ist), ჩვენ მივიღვიართ მხოლოდ აუცილებლად არსებული არსების ცნებამდე, მაგრამ არა ღმრთის ცნებამდე. მაგრამ თუნდაც ღმრთის ცნებიდან გამოვიდოდეთ, მაინც არ შეგვიძლია არა ვთქვათ: „ღმერთი ყოველივე ყოფიერების არსებაა, იგი არის ის, რაც არის აბსოლუტური აზრით, იგი არის $\pi \delta \nu$ და ასეც განსაზღვრავდნენ მას ყოველთვის; მაგრამ თუ იგი ესაა, მაშინ იგი აუცილებლად და ბრმად არსებულიცაა. ხოლო თუ იგი ბრმად არსებულია, მაშინ იგი, სწორედ ამიტომ, ღმერთი აღარაა — აღარაა ღმერთი იმ აზრით, რომელსაც საყოველთაო ცნობიერება ამ სიტყვასა და ამ ცნებაში ღებს. როგორ შეიძლება აქ საქმეს ვუშველოთ, ანუ როგორ შეიძლება ამ გამოუვალ მდგომარეობას, რომელშიც ჩავვარდით, თავი დავაღწიოთ? ცული გამოსავალი იქნებოდა, მხოლოდ იმ დებულებისადმი წინააღმდეგობას რომ დავკრებულებოდათ, რომ ღმერთი აუცილებლად არსებული არსებაა. რადგან ამით მოიხსნებოდა ღმრთის საკუთრივი პირველცნება (Urbegriff), რომელზედაც ასე უბრალოდ ხელის აღების უფლება არ გვაქვს, თუ არ გვინდა რომ ჩვენს აზროვნებას მტკიცე ამოსავალი წერტილი აკლდეს ყველგან.

ცხადია, ღმერთი, როგორც ასეთი, არ არის მხოლოდ აუცილებლად ანუ



ბრმად არსებული არსება, იგი, მართალია, არის ასეთი, მაგრამ, როგორც ღმერთი, იგი ამასთანავე არის ის, რასაც შეუძლია მოხსნას ეს თავისი საკუთარი, მისგან დამოუკიდებელი ყოფიერება, შეუძლია თვით თავისი აუცილებელი ყოფიერება აქციოს შემთხვევით, სახელდობრ, თავისავე დადგენილ (selbstgesetztes) ყოფიერებად, ისე რომ იგი თავის საფუძველში (Grunde) (თავისი საფუძვლის მიხედვით—der Grundlage nach) მართალია, ყოველთვის არსებობს (besteht), მაგრამ არსებობს ქმედობითად (effektiv) ანუ ქმედებაში, როგორც სხვად გადასული (in ein anderes umgesetzt); სხვა სიტყვით რომ ვთქვათ: ისე, რომ, თუმცა ამ თვითდადგენილს ყოველთვის აუცილებელი უდევს საფუძველად, მაგრამ ამის გამო ღმრთის ქმედობითი, ნამდვილი ყოფიერება მხოლოდ ამ აუცილებლობაზე არ დაიყვანება.

ტოცხლობა სწორედ იმ თავისუფლებაში მდგომარეობს, რომ შეგვძლიათ საკუთარი ყოფიერების, როგორც უშუალოდ, თვით თქვენგან დამოუკიდებლად დადგენილის, მოხსნა და მისი გარდაქმნა თქვენგანვე დადგენილად (selbstgesetztes). მაგ., უსულოს ბუნებაში არა აქვს თავისუფლება თავისი ყოფიერების შეცვლისა, იგი ისე არის, როგორც არის. მისი არსებობის არც ერთ მომენტში მისი ყოფიერება მის მიერვე განსაზღვრული არ არის. მაშასადამე, ლიტონი ცნება აუცილებლად ყოფიერისა მიგვიყვანდა არა ცხოველ, არამედ მკვდარ ღმერთამდე. მაგრამ ღმრთის ცნებაში ყველას მიერ იგულისხმება, რომ მას ძალუძს ქმნას (tun) ის, რაც კი ჰსურს, და ვინაიდან მას თავისი მოქმედების (Tuns) სხვა საგანი არ გააჩნია გარდა თავისი არსებობისა, ამიტომ ღმრთის ცნებაში,— მე ვერ ვიტყვი, მოიაზრება-მეთქი, მაგრამ ვიტყვი, შეუძლებელია არ მოიაზრებოდეს-მეთქი—ის, რომ იგი თავისუფალია თავისი არსებობის მიმართ, არაა მობმული მასზე, რომ მას შეუძლია თვით თავისივე არსებობა საშუალებად გაიხადოს, იგი მის აბსოლუტურობაში მოხსნას. მართალია, ისინი, ვინც ღმრთის თავისუფლებას გამოთქვამენ და ამტკიცებენ, არ არიან ჩვეულებრივნი, იგი ამ სახით გამოთქვან—იგი მოიაზრონ როგორც თავისუფლება ღმრთისა მისივე არსებობის მიმართ, როგორც თავისუფლება, ამ არსებობის, როგორც აბსოლუტურად დადგენილის, მოხსნისა—მაგრამ ღმრთის ცნებაში ყველანი მაინც ქმნის აბსოლუტურ თავისუფლებას იაზრებენ ხოლმე. მე ვამბობ ყველანი-მეთქი, რადგან ღმრთის ცნება არასგზით არ ეკუთვნის მხოლოდ ფილოსოფიას, იგი, ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლად, ყველას რწმენაშია მიცემული. ფილოსოფოსს, მართალია, შეუძლია ამ ცნებას არავითარი ყურადღება არ მიაქციოს, მას გვერდი აუაროს. მაგრამ დეკარტმა, რომელთანაც ამჯერად საქმე გვაქვს, იგი, პირიქით, ფილოსოფიაში შემოიტანა და სწორედ აქ ხდება ანტინომია აშკარა.

ღმერთი შეიძლება მოაზრებულ იქნეს მხოლოდ როგორც აუცილებლობით არსებული არსება და, ამასთან, იმ აზრით, რომლითაც ეს აუცილებელი არსებობა ყოველივე თავისუფალ მოქმედებას (Tun) მოხსნის. მაგრამ ის, რასაც ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლად „ღმერთს“ უწოდებენ და, უდავოდ, ყოველგვარ ფილოსოფიამდე ასე უწოდებდნენ, ვერ იქნება აუცილებლობით არსებული ამაზრით. იგი უსათუოდ თავისუფლად უნდა იქნეს მოაზრებული თავისი საკუთარი ყოფიერების მიმართ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იმოძრაებდა, თავისთავიდან, ანუ თავის ყოფიერებიდან ვერ გამოვიდოდა, რათა სხვა ყოფიერება დაედგინა. საქმე იმაშია მხოლოდ, თუ როგორ გადავლახოთ ეს ანტინომია. ამის ჩვენება თვით ფილოსოფიის საგანია.

დეკარტის სისტემა სხვა მხრივ გახდა ნაყოფიერი და განმსაზღვრელი ადამიანის გონის შემდგომი მსვლელობისათვის—იგი ასეთი გახდა გონისა და სხეულის იმ აბსოლუტური დაპირისპირებით, რომელიც მან ფილოსოფიაში შემოიტანა. ამას, ჩვეულებრივ, დეკარტის დუალიზმს უწოდებენ ხოლმე. საერთოდ დუალიზმში გულისხმობენ ხოლმე სისტემას, რომელიც პირველსაწყისი კეთილი პრინციპის (საწყისის) გვერდით ასევე პირველსაწყისი ბოროტი პრინციპის არსებობას ამტკიცებს, რომელიც ხან ამ პირველი პრინციპის საცხებთ ტოლძალვან პრინციპადაა მიჩნეული, ხან კი მისავით პირველადად არსებულ პრინციპად მაინც. დეკარტი იმდენად შორს არ წასულა, რომ მატერია, ასეთი დუალიზმისა და გნოსტიკოსების მსგავსად, ყოველივე ბოროტების წყაროდ, ყოველივე სიკეთის წინააღმდეგომად მიეჩნია. ამ შემთხვევაში მატერია მისთვის ნამდვილი პ რ ი ნ ც ი პ ი მაინც არ იყო. მაგრამ იგი მასთან განდევნილობის პრინციპი კი არაა, არამედ მხოლოდ განდენილი რამ (Sache). თავდაპირველად, როგორც ითქვამს, მას ეჭვი შეჰქონდა სხეულებრივის არსებობაში. საპირისპიროდ ამისა, ის, რაშიც იგი, მისი აზრით, ეჭვს ვერ შეიტანდა, მისი, როგორც მოაზროვნე არსების, არსებობა იყო, თუმცა მისი დასვენა მხოლოდ და მხოლოდ *actus cogitandi**-დან (ერთადერთიდან, რაც მისთვის შეიძლებოდა უშუალოდ უეჭველი ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ის გვხვდება უშუალო ცდაში) მის საფუძვლად მდებარე მოაზროვნე სუბსტანციაზე, როგორადაც იგი სულს თვლიდა, არავითარ შემთხვევაში უეჭველი არ იყო. თავისი დაკვირვების შემდგომ მსვლელობაში მან იგი (მატერია) აღადგინა, როგორც უკვე გიჩვენეთ, მოიხმო რა ღმერთი, როგორც ნამდვილი *deus ex machina* და სჯეროდა რა, რომ ღმერთი, როგორც უმართლესი არსება, არ შეიძლება გვატყუებდეს სხეულებრივი სამყაროთი, როგორც ცარიელი ფანტასმაგორიით. ამით მან, მართალია, აღადგინა სხეულებრივი სამყარო *in integrum***³, სხეულებრივი მისთვის ამიერიდან ნამდვილ რასმე წარმოადგენდა, მაგრამ გონისა და სხეულის, ერთხელ გაცალკევებულის, კვლავ შეერთება კი მას აღარ შეეძლო. სხეულებრივში იგი ხედავდა მხოლოდ გონისა და მოაზროვნის საპირისპიროს, არ თვლიდა რა შესაძლებლად, რომ რა სხვადასხვანაირადაც არ უნდა გვევლინებოდეს ეს ორი რამ თავისი ფუნქციით, შეიძლება საქმე გვექონდეს ერთსა და იმავე პ რ ი ნ ც ი პ თ ა ნ, რომელიც იქ, მატერიაში მხოლოდ დამდაბლების მდგომარეობაში იმყოფება, აქ კი, როგორც გონი, ამაღლების მდგომარეობაშია, იქ თავისთავისთვის დაკარგულობის, სრული თავისთავს—გ ა რ ე თ—ყოფნის მდგომარეობაშია, აქ კი თავისთავის ფლობის, თავისთავში ყოფნის (*in—sich—Seih*) მდგომარეობაში. მის შესაძლებლად ეჩვენებოდა, რომ არსებობს აბსოლუტურად უსულო, ანუ ისეთი უსულო, რომელშიც არასოდეს ყოფილა სიცოცხლე, მამასადამე, პირველადად მკვდარი, გარეგნული ყოველგვარი შინაგანის გარეშე, შექმნილი, თავისში შექმნილი პრინციპის ყოველივე ნიშანწყლის არმქონე. მაგრამ ასეთი აბსოლუტურად ანუ პირველადად მკვდარი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ყოველივე მეცნიერულ ცნებას, არამედ თვით ცდასაც, რადგან 1. ხომ არსებობს ცოცხალი ბუნება (ცხოველები; ამათი არსებობის ახსნის სიძნელე); 2. ეგრეთწოდებული უსულო ბუნება ვერასოდეს ვერ ვაიგება როგორც მკვდარი რამ, ანუ როგორც ცოცხლობას აბსოლუტურად მოკლებული, არამედ ვაიგება მხოლოდ როგორც ჩამქრალი სიცოცხლე—როგორც

* აზროვნების აქტი (ლათ.)

** მის მთლიანობაში (ლათ.).

ნაშთი ანუ *caput mortuum* რალაცა აღრე მიმდინარე პროცესისა, მაშასადამე აღრე არსებული სიცოცხლისა. ცხოველი გონების ადამიანებს ისე შეუძლებლად ეჩვენებოდათ მატერიის ამ მკვდარი, ბმული მომენტის პირველადობა, რომ ზოგს იგი (მატერია) მხოლოდ აღრე მომხდარი კატასტროფის შედეგად ესახებოდა, როგორც, მაგალითად, ინდოეთში მას მხოლოდ შენაძენად (*Zugezogenes*) თვლიდნენ, დანაშაულის სასჯელად, სულთა სამყაროში ძველისძველად მომხდარი განდგომის შედეგად, ხოლო უძველესი ბერძნული მითოლოგია სხეულებრივ მატერიაში მხოლოდ უძველესი ხანის ტიტანთა მოშთობილ სულებს ხედავდა; დეკარტიც, მართალია, ამ მკვდარ, უსულო მატერიას წარმოშობილად (*Gewordenes*) თვლიდა, მაგრამ უშუალოდ, არა რალაც სხვა, მანამდელი მდგომარეობიდან წარმოშობილად. იგი მას უხეშად შეკრული გოროხის სახით ღმრთისაგან შექმნილად მიიჩნევს; შემდეგ იგი, დეკარტის აზრით, იყოფა იმგვარად, რომ უსასრულოდ მრავალ ნაწილად იშლება, რომლებიც შემდეგ თავიანთი წრებრუნვით, ტრიალით და ა. შ. მსოფლიო სისტემას და მის მოძრაობას ქმნიან. ეს დაუშუშავებლობა მეცნიერული ცნებისა, რომელიც ჩვენგან ასე მცირედ—სულ ორიოდ საუკუნითაა დაშორებული, შეიძლება დღესდღეობით დაუჩერებლად მოგვეჩვენოს. აქედან შეიძლება განისაზღვროს, თუ რამოდენა გზა განვლო ადამიანის გონებამ მას აქეთ. მაგრამ აქედან შეიძლება ისიც დავინახოთ, თუ როგორი ძნელი და ამიტომ ნელი უნდა ყოფილიყო წინსვლა ფილოსოფიაში,—წინსვლა, რომელიც ასე ადვილი ჰგონიათ იმათ, ვინც მის ნაყოფს იშვის. თუკი დეკარტისთანა მოაზროვნეები შეიძლებოდა ამგვარი წარმოდგენებით დაკმაყოფილებულიყვნენ, უსამართლობა იქნება, თუ ამის გამო ამ მოაზროვნეებს ჩრდილს მივაყენებთ.

უკვე აღვნიშნე, რომ დაპირისპირებულობა დეკარტის ფილოსოფიაში არაა დაპირისპირებულობა ორი პრინციპისა. საქმე ასე არაა, რომ იგი აზროვნების პ რ ი ნ ც ი ბ ს და განფენილობის პრინციპს სცნობდეს. მხოლოდ და მხოლოდ პ რ ი ნ ც ი ბ ი განფენილობისა შეიძლება თავისებურად გონითიც იყოს. აუცილებელი არ არის, იგი თვითონაც განფენილი იყოს, როგორც მაგ., სითბოს პრინციპი იმის გამო, რომ იგი სითბოს პრინციპია, თვითონ არ არის თბილი, თუმცა სხეულს ათბობს, მას სითბოს ვადასცემს. დეკარტი არ იცნობს განფენილობის არავითარ პ რ ი ნ ც ი ბ ს, მან იცის მხოლოდ განფენილი საგანი (*Sache*), რომელიც სწორედ ამიტომ პირწმინდად არაგონითია (*Ungeistig*). მეორეს მხრივ, იგი საკუთარ თავზე ლაპარაკობს როგორც საგანზე (*Sache*), რომელიც აზროვნებს: *je suis un chose, qui pense**. ამგვარად, საგანი, რომელიც აზროვნებს, და საგანი, რომელიც განფენილია, მისთვის წარმოადგენენ ორ საგანს, რომლებიც ურთიერთს გამორიცხავენ და არაფერი აქვთ ერთიმეორესთან საერთო; განფენილი საგანი გონს სავსებით მოკლებული, უგონო რამ არის. გონითი კი წმინდად იმატერიალურია; განფენილი წარმოადგენს მხოლოდ მოსაზღვრეობას (*Nebensein*) და გათიშულობას (*Aufeinandersein*), წმინდა დაშლილობას (*Zerfallenheit*), რომელიც, თუმცა კი ერთიანი და შეკრული ჩანს, როგორც ეს სხეულებრივ საგნებში ხდება, მაგრამ შეკრულია არა შინაგანი და, მაშასადამე, გონითი პრინციპის მიერ, არამედ მხოლოდ გარეგანი დაწოლისა და ბიძგის მიერ. განფენილი საგანი შედგება ნაწილებისაგან, რომლებიც პირწმინდად გარეგანი არიან ერთიმეორის მიმართ, თვით ამ ნაწილებს აკლიათ შინაგანი

* მე მოაზროვნე ნივთი (*chose*) ვარ (ფრანგ.).

მამოძრავებელი პრინციპი, მაშასადამე, მოძრაობის ყოველივე შინაგანი წყაროც. ყოველივე მოძრაობა დამყარებულია ბიძგზე, ე. ი. წმინდად მექანიკურია. როგორც მატერიაში არაფერია გონის მონათესავე, ისე, დეკარტეს აზრით, თავის მხრივ გონშიც არაფერია მატერიის მონათესავე. მატერიაში მყოფი არა მხოლოდ სხვა ს ა ხ ი თ მყოფია, არამედ *toto genere** სხვანაირია, გონითი და მატერიალური ყოველგვარი შეხების გარეშე არიან, ორ საესებთ დისპარატოლ (განცალკევებულ) სუბსტანციას წარმოადგენენ, რომელთა შორისაც სწორედ ამიტომ არ არის შესაძლებელი არავითარი ერთობა.

ორ საცანს, რომლებსაც პირწმინდად არაფერი აქვთ საერთო, არც ერთიმეორეზე ზემოქმედება შეუძლია. ამიტომ დეკარტის ფილოსოფიისათვის ძალიან ძნელი ამოცანა იყო, ის უდავო ურთიერთზემოქმედება აეხსნა, რომელიც აშკარად წარმოებს მოაზროვნე და განფენილ არსებას შორის. თუ ამ ორს ერთიმეორესთან აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო, როგორღა შესაძლებელი, რომ სხეული და გონი მაინც ასე ბევრ რასმე ერთად აკეთებენ და განიცდიან? როგორაა შესაძლებელი, რომ სხეულებრივი ტკივილი გონის მიერ შეიგრძნობა ან მხოლოდ და მხოლოდ სხეულზე მოხდენილი შთაბეჭდილება გონისკენ ვრცელდება და მოაზროვნე ნივთში (*Ding*), რომელსაც ჩვენს სულს ვუწოდებთ, წარმოდგენას ქმნის, ან როცა, პირიქით, გონის დაძაბულობა, — ჩვენი სულის ტკივილი — სხეულს ღლის ან ავად ხდის, ან კიდევ აზრი (*Gedanke*) ჩვენი ონისა, როგორც ეს, მაგალითად, მეტყველებისას ხდება, წმინდა სხეულებრივ ორგანოებს აიძულებს, ემსახურონ მს, ან კიდევ სურვილი, გადაწყვეტილება ჩვენი გონისა განფენილ საგანში, ჩვენს სხეულს რომ ვუწოდებთ, შესატყვის მოძრაობას იწვევს? ამ კითხვის პასუხისათვის მოწოდებული ძველი სისტემა, რომელიც დეკარტის დრომდე სკოლებშიც მიღებული იყო, წარმოადგენდა ეგრეთწოდებული ბუნებრივი ანუ უშუალო გავლენის სისტემას (*systema influxus physici*), რომელიც თუ მკაფიო ცნობიერებით არა, შეუცნობლად მაინც ემყარებოდა ს ა ბ ო ლ ო სუბსტანციის გარკვეული იმავგვარობის (ჰომოგენობის) წინამძღვარს — იმ სუბსტანციისა, რომელიც ო რ ი ვ ე ს, — მატერიასა და გონს საფუძვლად უდევს. რა თქმა უნდა, უხეში წარმოდგენა იყო, როდესაც ვსურდათ, ეს აეხსნათ მხოლოდ მატერიათა თანდათანობითი გასათუთებით, როგორც ამას იმ ფიზიოლოგების ჰიპოთეზაში ვხედავთ, რომლებიც, მართალია, გონის უშუალო გავლენას იმაზე, რასაც უხეშად სხეულებრივს ვუწოდებთ, შეუძლებლად თვლიდნენ, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ, თუკი გონსა და უხეშად სხეულებრივს შორის უფრო სათუთ მატერიებს ჩავერთავთ (აღრე ლაპარაკობდნენ ხოლმე ნერვულ წვეზე ანუ, — როგორც დღესდღეობით თითქოსდა უფრო კეთილმოზბილურად ამბობენ ხოლმე, ნერვულ ეთერზე), მაშინ ასეთი უშუალო გადასვლა შესაძლებელი გახდება.

სიძნელეები, რომლებსაც დელაიზმს უქმნიდა აშკარა ურთიერთმოქმედება მოაზროვნესა და განფენილ საგანს შორის, დეკარტმა სწრაფად მოხსნა იმით 1. რომ ცხოველებში ყოველგვარი სულის არსებობა უარყო, იგი მათ ხსნიდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხელოვნებით შექმნილ მანქანებს, რომლებიც ყველა ქმედებებს, — მათ შორის ისეთსაც, რომლებიც აშკარად მსაგისია ონიგურულისა — მხოლოდ იმგვარად ასრულებენ, როგორც კარგი საათი დროს გვიჩვენებს. იმის აუცილებლობა, რომ ცხოველებში სულის არსებობა უარყო, მისთვის შემდეგში მდგომარეობდა: სადაც აზრი მოიპოვება, იქ მოიპოვება მატე-

* საესებრივ, მთელ გვარად (ლათ.).

რისიასავე საესებით განსხვავებული, მაშასადამე, ურღვევი, უკვდავი სუბსტანცია, მაშასადამე და ა. შ. 2. რაც შეეხება ადამიანს, დეკარტი მას, მართალია, სხეულით ასევე მხოლოდ უმადლესი ხელოვნებით მოწყობილ მანქანად თვლის, რომელიც, მონართული საათის მექანიზმივით, ყველა ბუნებრივ მოქმედებას სულისაგან საესებით დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი მექანიზმის შესატყვისად ასრულებს. მაგრამ როცა საქმე მიდგება ისეთ მოძრაობებზე, რომლებიც ვერ აიხსნება როგორც ავტომატური, რომლებიც გონის გარკვეულ მოძრაობებს ანუნების აქტებს შეესაბამება, აქ იგი სხვა ველარაფრით შევლის თავს, თუ არ იმის დაშვებით, რომ ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა გონში, მაგ., სწრაფვა ან წადილი ჩნდება, რომელიც სხეულმა უნდა შეასრულოს, თვით ღმერთი ამოდის შუამავლად და სხეულში შესაბამის მოძრაობას იწვევს—თითქოს უფრო გასაგები იყოს, თუ როგორ მოქმედებს წმინდა სხეულებრიობაზე ჩვენთან შედარებით უფრო მაღალი გონი (რადგან ღმერთი მისთვის არაა იდენტურობა), ვიდრე ადამიანური გონი. ასევე, ყოველი შთაბეჭდილებისას, რომელსაც მატერიალური საგნები ახდენენ ჩვენს სხეულზე, თვით ღმერთი ამოდის შუამავლად და სულში შესაბამის წარმოდგენას იწვევს; თვითონ სული მიუწვდომელი იქნებოდა ყველა გარეგნული ანუ მატერიალური შთაბეჭდილებებისათვის, მხოლოდ ღმერთი ახორციელებს იმას, რომ ჩემს სულს აქვს წარმოდგენა სხეულებრივი საგნების შესახებ. ამგვარად, ერთიანობაც მატერიასა და გონს შორის არა არსებითი, არამედ მხოლოდ აკციდენციური ანუ ოკაზიონალური ერთიანობა ყოფილა. თავისთავად, ორივენი დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ ერთიმეორის მიმართ. ეს არის *unitas non naturae sed compositionis**. ვინაიდან ღმერთი აქ ყოველთვის მხოლოდ შემთხვევისდა მიხედვით მოქმედებს, ეს სისტემა ოკაზიონალიზმი სხელს იღებს. მაგრამ როგორც საერთოდ დეკარტი ფილოსოფიაში თითქმის მხოლოდ იმისთვის ჩნდება, რომ სხვა მოაზროვნეს საესებით სხვა სისტემის ასაგებად საფუძველი მისცეს, ისე ამ ჰიპოთეზასაც, რომელსაც სულისა და ხორცის, გონის და სხეულის კავშირი უნდა აეხსნა, მხოლოდ იმით მიეცა მნიშვნელობა მეცნიერების ისტორიაში, რომ იმ წამიერმა და ყოველთვის ოდენ წარმავლმა იკვირობამ მატერიასა და გონს, განფენილსა და მოაზროვნე საგანს შორის საბაბი მისცა იმ მყარი და სუბსტანციური იგივეობის (იდენტობის) აღიარებას, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ სპინოზამ არა მხოლოდ მოაზროვნე და განფენილ ნივთს (Ding) შორის, არამედ თვით აზროვნებასა და განფენილობას შორის დაინახა—დეკარტესეული სისტემის სხვა შედეგი ამ მონართულებით ის იყო, რომ საკითხი ეგრეთწოდებული *commercio animi et corpori*-ის შესახებ—საკითხი, რომელიც პრინციპების მიხედვით უფრო მაღლა მდგარ ფილოსოფიაში მხოლოდ დაქვემდებარებულ ადგილს იკავებს—დიდი ხნით ლამის ფილოსოფიის ძირითად საკითხად იქცა, რომლითაც მოაზროვნენი თუ მთლიანად არა, უმთავრესად მაინც იყვნენ დაკავებულნი, ასე რომ დიდი ხნის განმავლობაში ერთი სისტემა მეორისაგან თითქმის მხოლოდ ამ საკითხზე პასუხის რაკვარობითა განსხვავდებოდა ხოლმე.

ყველაზე უფრო საყოველთაო, მაგრამ ამასთანავე ყველაზე უფრო ცუდი გავლენა დეკარტის ფილოსოფიამ იმით მოახდინა, რომ აბსოლუტურად დააშორა ერთიმეორეს ორი უპირობოდ ურთიერთმისაკუთვნებელი, ერთიმეორის ამხსნელი და წანამძღვრად მაგულისხმებელი რამ—მატერია და გონი, ამით

* ერთიანობა არა ბუნებისა, არამედ შეკავშირებისა (ლათ.).

სიცოცხლის დიდი ერთიანი ორგანიზმი დაარღვია და უფრო დაბალთან ერთად უფრო მაღალი საწყისიც მკედარი, ოდენ მექანიკური შეხედულების მსხვერპლი გახადა, რომელიც გაბატონებულ შეხედულებად დარჩა ადამიანური ცოდნის ყველა სფეროში და თვით რელიგიაშიც კი თითქმის უკანასკნელ დრომდე.

ეს რაც შეეხება დეკარტის ფილოსოფიის ამ მხარეს, რასაც ჩვეულებრივ მის დუალიზმს უწოდებენ ხოლმე. ეხლა კი ვცადოთ კვლავ ზოგადად თვალი შევავლოთ მას.

დეკარტი დიდა იმ ზოგადი აზრის წყალობით, რომ ფილოსოფიაში ვერაფერი ჩაითვლება ჭეშმარიტად გარდა იმისა, რაც მკაფიოდ და ნათლად შეიმეცნება. მაგრამ ვინაიდან ეს უ შ უ ა ლ ო დ შეუძლებელია, —ყოველ შემთხვევაში, ყველგან შესაძლებელი არ არის—ამიტომ ყოველივე უნდა შემეცნებულ იქნეს იმასთან აუცილებელ კ ა ვ შ ი რ შ ი მინც, რაც უშუალოდ და ეჭვს გარეშე მაქვს ცნობიერებაში. ამგვარად, მან პირველმა შემოიტანა ფილოსოფიაში თავისი საქმის სრული ცნობიერებით პ რ ი ნ ც ი ბ ი ს ცნება და ჩვენ ცნებათა და დარწმუნებულობათა (Überzeugungen) გარკვეული კენალოკის ცნება, რომელშიც არაფერი არ უნდა იქნეს მიჩნეული ჭეშმარიტად სხვაგვარად, თუ არ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პრინციპიდან გამომდინარეობს. მაგრამ მისი შეზღუდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი თავისთავად პირველს კი არ ეძებდა, არამედ კმაყოფილებოდა იმ პირველით, რაც თითოეულისთვის და, მაშასადამე, ჩ ე მ თ ვ ი ს პირველია. ესაა სუბიექტური საყოველთაობა და არა საყოველთაობა თვით საქმის ვითარებაში (Sache). ასე აიღო მან ხელი—თუ საკითხს საფუძველში ჩაეხედავთ, —კავშირის დადგენაზეც იმ სახით, როგორადაც იგი (ეს კავშირი) თვით ს ა ქ მ ი ს ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი (Sache) არსებობს, სახელდობრ, კავშირისა პრინციპსა და საგნებს შორის—ერთი სიტყვით, ხელი აიღო ობიექტური კავშირის დადგენაზე და ოდენ სუბიექტურით დაკმაყოფილდა. მართალია, იგი შემდეგ მივიდა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ პირველის ცნებამდე, ღმრთის ცნებამდე; მაგრამ მას არ შეეძლო ეს ცნება პრინციპად ექცია, რადგან მასში მხოლოდ აუცილებელი არსებობა შეიცნო და არა ის, რაც ამ უკანასკნელს კიდევ ემატება და ღმერთს ღმერთად ხდის. დეკარტი ამ plus-საც (ამ დანარჩენსაც) იზიარებდა ღმრთის ცნებასან ერთად, მაგრამ ეს plus-ი (ეს დანარჩენი) ვეღარ პოულობდა ადგილს მისი შემეცნების ზემოხსენებულ ნაგებობაში—იგი ამ შემეცნების გარეთ რჩებოდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ წინასწარდაშვებული, (Vorausgesetztes), არა შემეცნებით მიღწეული და ცნებებში მოქცეული რამ (Begriffenes).

ბ ე კ ო ნ ი ს ა და დ ე კ ა რ ტ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ა. მიზნად რომ დაგვესახა ახალ სისტემათა ისტორიულ განვითარებაში ქრონოლოგიურ წესრიგს გავყოლოდით, მაშინ დეკარტზე წინ პირველ ყოვლისა ბეკონი უნდა დაგვესახელებინა, რადგან იგი 1561 წელს დაიბადა, დეკარტი კი 1596 წელს. მაგრამ ბეკონით იწყება ახალი ემპირიზმის განვითარება, ისევე როგორც დეკარტით—რაციონალიზმისა. თუმცა ბეკონის ძირითადი შრომები (საქმე, კი, არსებითად, სწორედ ამას ეხება) თითქმის დეკარტის პირველ ნაწერებთან ერთდროულად გამოჩნდა (რადგან ამ უკანასკნელმა ძალიან ახალგაზრდამ დაიწყო თავისი ახალი პრინციპების გამოქვეყნება), არ ჩანს, რომ რომელიმეს ამ ორ დიდ შემოქმედთაგანს კავლენა მოეხდინოს მეორეზე. ამგვარად, ფაქტობრივად ისინი ერთიმეორის გ ვ ე რ დ ი თ დგანან—ემპირიზმის განახლება ბეკონის მიერ და რაციონალიზმისა დეკარტის

მეორე ერთდროულად მოხდა. მაშასადამე, ახალი ფილოსოფიის დასაწყისი და ახალი რაციონალიზმი და ემპირიზმი ერთმანეთის გვერდგვერდ მოდიან და აქამდე ერთიმეორის ბარალელური დარჩნენ. ადამიანური გონის ისტორიაში ადვილია შევამჩნიოთ ერთგვარი თანადროულობა დიდ მოაზროვნეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან ბოლოს მაინც ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად მოქმედებენ. ეს ითქმის აგრეთვე ბეკონსა და დეკარტზე. ორივესთვის საერთოა სქოლასტიკასთან კავშირის გაწყვეტა. ბეკონი, არსებითად, ეწინააღმდეგება არა უფრო მოგვიანო რაციონალიზმს, არამედ მხოლოდ სქოლასტიკურს. დეკარტს, ისევე როგორც ბეკონს, ჰსურს, ის, რასაც სქოლასტიკის საპირისპიროდ რეალური ფილოსოფია უნდა ეწოდოთ (A სქოლასტიკა. B რეალური ფილოსოფია: a რაციონალიზმი, b ემპირიზმი). დეკარტის პირველ მაქსიმებს თავიანთ ჯანვითარებაში აუცილებლობით მივყევართ იქითკენ, რომ თვით საქმის ვითარება (Sache), თვითონ საგანია (Gegenstand) ის, რაც თავისი მოძრაობებით მეცნიერებას წარმოშობს, და არა ცნებისოდენ სუბიექტური მოძრაობა, როგორც ეს სქოლასტიკაშია. სწორედ ეს ჰსურს ბეკონსაც. მისი ფილოსოფია იმდენადაა რეალური ფილოსოფია, რამდენადაც მას ჰსურს ამოვიდეს არა ცნებიდან, არამედ ფაქტებიდან, ანუ თვით საქმის ვითარებიდან (Sache), რამდენადაც ეს უკანასკნელი ცდამია მოცემული. მაგრამ თუ საკითხს უფრო ჩაუვკვირვებით, ორივენი კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს. რადგან ბეკონისეული ინდუქტია მისთვის (როგორც ეს გარკვევით ჩანს მისი ახსნიდან) ჯერ კიდევ არ არის საკუთრივ მეცნიერება, არამედ მხოლოდ გზა მისკენ. ამას იგი შემდეგნაირად გამოთქვამს: „სქოლასტიკოსებისთვის დამთმია სილოგიზმი. ეს უკანასკნელი წანამძღვრად გულისხმობს უკვე ცნობილსა და ვერიფიცირებულ (bewahrheitet) (ქვემარტად აღიარებულ) პრინციპებს (ეს სავსებით სწორია, სილოგიზმის ხმარება, არსებითად, მას შემდეგ იწყება, რაც უკვე მოპოვებულია ზოგადი და რაციონალური პრინციპები, და ამიტომ, კაცმა რომ თქვას, იგი უფრო მნიშვნელოვანია დაქვემდებარებულ მეცნიერებაში, ვიდრე ფილოსოფიაში; რადგან ფილოსოფია ის მეცნიერებაა, რომელიც ამ ზოგად პრინციპებს ეძებს) — სქოლასტიკისთვის დამთმია სილოგიზმი, — ამბობს ბეკონი, — რომელიც ვერაფერში გამოადგება, რადგან იგი უკვე წანამძღვრად გულისხმობს პრინციპებს, მე კი სწორედ ამათ ვეძებ. ამგვარად, მე ინდუქციას ვირჩევ, მაგრამ არა მის იმ უმდაბლეს სახეობას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ჩამოთვლის გზით მიდის წინ (როგორც, მაგ., ადრინდელ არგუმენტაციაში, სადაც მხოლოდ მოციქულების ჩამოთვლა ხდებოდა). ინდუქციის ამ სახეობას ის ნაკლი აქვს, რომ უმცირესი საწინააღმდეგო ფაქტებიც კი მის რეზულტატს ამსხვრევს; არამედ მე ვირჩევ ინდუქციის იმ სახეობას, რომელიც, გამოარჩევს რა სწორი და ზუსტად გამიზნული გამორიცხვითა და უარყოფით აუცილებელ ფაქტებს გამოუსადეგარისაგან, პირველებს ძალიან პატარა რაოდენობაზე დაიყვანს და, მოაქცევს რა, ამგვარად, ქვემარტ მიზეზს (Ursache) რაც შეიძლება პატარა სივრცეში, ამით მის აღმოჩენას უფრო ადვილს ხდის. ამ ასეთნაირად რედუცირებული (მცირედზე დაყვანილი) ფაქტებიდან მე ინდუქციის სინათლის მუდმივი გამოყენებით თანდათანობით ნაბიჯ-ნაბიჯ და უკიდურესი სიღინჯით ავალ პარტიკულარულ (კერძო) დებულებებამდე, აქედან — საშუალომდე, საბოლოოდ კი principii generalissimis et evidentissimis*-ებამდე. მაგრამ ბეკონი ამაზე

* უზოგადესი და უცხადესი პრინციპები. (ლათ.).

არ ჩერდება, არამედ, იპოვის რა ამ პრინციპებს, ამბობს: „დავეყარები რა ამ პრინციპებს, როგორც ურყევ საფუძველს, მე გაბედულად წავალ წინ ჩემს აზროვნებაში, თუ უნდა ახალი დაკვირვების დაგვემვას ენებოდეს საქმე და თუ უნდა დაკვირვების მთლიანად შეცვლას სხვა რამით, სადაც დაკვირვება შეუძლებელია (ანუ უკვე მოპოვებული უზოგადესი პრინციპების მიხედვით იმ საკითხებზე ან საგნებზე მსჯელობას, რომლებიც დაკვირვებით ვერ მიიწვდომებიან). მას შემდეგ, რაც საქმე დაეჭვებით (მაშასადამე, დეკარტსავით) დავიწყე, მე მას დავამთავრებ უეჭველობით. ამით საშუალო ადგილს დავიკავებ ერთის მხრივ პერიპატეტიკოსთა დოგმატურ ფილოსოფიას (ე. ი. სქოლასტიკოსებს) შორის, რომელიც იმით იწყება, რითაც უნდა მთავრდებოდეს (ზოგადი პრინციპებით), და მეორე მხრივ სკეპტიკოსების მერყევ ფილოსოფიას შორის, რომელიც სწორედ იქ წყდება, სადაც დაწყება შესაძლებელი (დაეჭვებაზე)“. ამგვარად, თუ საფუძველში ჩახედავთ, ბეკონს, ისევე როგორც დეკარტს, ბოლოს და ბოლოს, წინ მავალი ფილოსოფია ჰსურს, ოღონდ იგი, მისი აზრით, ინდუქციით, რეგრესიულად უნდა საბუთდებოდეს. (ბეკონი არავითარ შემთხვევაში არ უკუაჯღებს ზოგად პრინციპებს, როგორც ეს მისმა მიმდევრებმა, სახელდობრ, ლოკმა, დავით ჰიუმმა და, კიდევ უფრო, სენსუალისტებმა გაიგეს. მას, პირიქით, ჰსურს ამ პრინციპებს მიადწიოს ინდუქციის მექანიზმით და, როგორც თვითონ ამბობს, შემდეგ მათი მეშვეობით მიადწიოს უეჭველობას). მართალია, ბეკონი ვერ გასცდა დასაბუთებას და ვერ შეაღწია თვითონ მეცნიერებაში. მაგრამ დეკარტსაც ხომ იგივე მოუვიდა, რადგან ისიც, კაცმა რომ თქვას, იმით ამ თ ა ვ რ ე ბ ს საქმეს, რითაც დაწყება შესაძლებელს გახდიდა წინ მავალ (ამ სიტყვის საკუთრივი აზრით) მეცნიერებას,—უმადლესით, ღმერთით. ორივენი ერთნაზად გამოდიან სქოლასტიკის წინააღმდეგ, მათ აქ საერთო აქვთ მისწრაფება რ ე ა ლ უ რ ი (reellen) ფილოსოფიისაკენ. (მხოლოდ უ მ ა ლ ლ ე ს ცნებასთან დაკავშირებითაა პშორდებიან ისინი მკვეთრად ერთმანეთს—ცნებასთან, რომელიც დეკარტს ჰსურს აპრიორული არგუმენტის გზით დამოუკიდებელი გახადოს ყოველგვარი ცდისაგან, მაშასადამე, თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი ამოსავალი წერტილისაგან (უშუალო ფაქტისაგან „მე ვაზროვნებ“). ამით იგი ფუძემდებელია აპრიორული, რაციონალურ-აპრიორული ფილოსოფიისა, მაშინ როცა ბეკონს, უდავოდ, ჰსურს, უმადლესიც დაინახოს, როგორც ემპირიული.

გერმანულიდან თარგმნა მ. ფიქიბროვილმა

კრიტიკა და ბიბლიობრაფია

შემოქმედების ფსიქოლოგიიდან შემოქმედების ფილოსოფიაში

შემოქმედება არის ისეთი არსებითი ნიშანი, რომელიც ნათლად გამიჯნავს ადამიანს ყველა სხვა სახის არსებულთაგან. ზშირად ვამბობთ, რომ ადამიანი აქტიური, თავისუფალი, შემოქმედებითი არსებაა. და ერთი შეხედვით, თითქოს ძალზე ადვილი ჩანს ადამიანის იმ ნიშნის მიგნება, რომ იგი შემოქმედების ნიშითაა „დაჯილდოებული“. ეს ვლინდება ადამიანური მოღვაწეობის, სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ყველა ძირითად ფორმაში: თეორიულ მოღვაწეობაში (მეცნიერება), სინამდვილის მხატვრულ ათვისებაში (ხელოვნება), სინამდვილისადმი ზნეობრივ-ღირებულებით დამოკიდებულება-სა თუ ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის სფეროში.

თუ კაცობრიობის განვითარების ისტორიას გადავხედავთ და გავითვალისწინებთ ადამიანის მიერ სამყაროს გარდაქმნის მასშტაბებსა და დღევანდელ დონეს, თითქოს არავითარ სიძნელეს არ უნდა აწყდებოდეს იმის დასაბუთება, რომ ადამიანი მართლაც შემოქმედებითი არსებაა. მაგრამ ფაქტიურად შემოქმედების ბუნების, მისი არსის მეცნიერული ახსნა-ანალიზი ერთობ ძნელი საქმეა.

საბჭოთა ფილოსოფიურ (და არა მარტო ფილოსოფიურ) ლიტერატურაში შემოქმედების საკითხის განხილვისადმი მიძღვნილ ნაშრომებში (ძირითადად ცალკეული სტატიები და რამდენიმე კრებული) მეტ-ნაკლები სისრულით არის გაშუქებული პრობლემის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. მაგრამ როგორც საქმეში ჩახედულ მკითხველს მოეხსენება, იშვიათაა ისეთი ნაშრომი, რომელშიც მოცემული იყოს შემოქმედების ბუნების სისტემატური კვლევა. ამდენად, ყოველი ახალი პუბლიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნულ პრობლემას შუქი მოჰფინოს, მისასალმებელი და ყურადღების ღირსია. მით უმეტეს, თუ ეს ნაშრომი მალალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული, სათანადოდ ითვალისწინებს მანამდე გამოქვეყნებულ ნაშრომთა როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებს და საკითხის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. სწორედ ასეთ ნაშრომად უნდა ჩაითვალოს ო. ტაბიძის წიგნი „შემოქმედების არსი“, რომელიც გასული წლის ბოლოს გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერება“.

ნაშრომის პირველ ნაწილში („შემოქმედების შემეცნების შესაძლებლობა, ფსიქოლოგია და ფილოსოფია“) ავტორი ეხება პრობლემის აქტუალობას, იხილავს იმ სიძნელეებს, რომლებიც თავს იჩენენ შემოქმედების მეცნიერული კანონის ჩარჩოებში მოქცევის ცდისას, მიუთითებს შემოქმედების ისეთ ნიშნებზე, რომლებიც შემოქმედების კვლევას წინ ელობებიან და აბრკოლებენ. როგორც პირველ ნაწილში, ისე მთელი ნაშრომის მანძილზე, პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეების მიჩქმალვა კი არ ხდება, არამედ სპეციალურად წარმოჩენა და მათზე ყურადღების გამახვილება, რაც ავტორისა და ნაშრომის ღირსებად და დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, მიუხედავად სიძნელეებისა, ავტორი კრიტიკულად აანალიზებს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თითქოს „ნამდვილი ღრმა შემოქმედი—

გენიოსი რაღაც ისეთ უჩვეულოსა და მისტიკურს, წინასწარმეტყველურსა და მოგვს წარმოადგენს, რომ მისი შემეცნება შეუძლებელია“ (გვ. 6) და საესე-ბით მართებულად მიუთითებს, რომ „სრულიად უსაფუძვლოა ცნებების ისე-თი აღრევა, როცა ინტუიციას, ხილვას აუცილებლად მისტიკასთან აკავშირებენ და ამ ნიადაგზე უარყოფენ მის მნიშვნელობას“ (გვ. 7).

რამდენადაც ავტორის მიზანია შემოქმედების ფილოსოფიური დახასიათე-ბა, იგი სპეციალურად იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია ურთი-ერთმიმართება შემოქმედების ფილოსოფიურ და კერძომეცნიერულ კვლევებს შორის. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღებაა გამაზვიებელი შემოქმე-დების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ნაჩვენებია, რომ შემოქმედების ექსპერიმენ-ტული ფსიქოლოგიური კვლევა, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, ისე-ვე როგორც საერთოდ „კერძომეცნიერული გამოკვლევა... კერძობისა და იზოლირებულობის გარკვეულ ხარისხს თავს ვერ აღწევს... ამიტომ მას არ შე-უძლია და არც ევალება წვდეს მთლიანად სამყაროს არსს, ადამიანისა და შე-მოქმედების არსს, რომელიც სამყაროს არსის შემადგენლობაში იგულისხმება“ (გვ. 11).

ამ ამოცანის განხორციელება, ანუ შემოქმედების ნამდვილი არსის დად-გენა კერძომეცნიერული კვლევის საქმე კი არ არის, არამედ, არსებითად, ფი-ლოსოფიის კომპეტენციაში შემავალი საკითხია. სწორედ ამათ გულისხმობს ავტორი, როცა ამბობს: „არის არსებითი განსხვავება შემოქმედების ფილო-სოფიურ და კერძომეცნიერულ (ფსიქოლოგიურ) კვლევებს შორის. განსხვავე-ბა პირველ რიგში იმას ეხება, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისი შემოქმე-დების არსისა და მის შესახებ პრინციპული მსჯელობების დადგენისაკენ ის-წრაფვის, ზოგადობისა და მთლიანობის უმაღლეს ხარისხს ისახავს მიზნად, მაშინ როცა შემოქმედების ფსიქოლოგია და სოციოლოგია მის კერძო ცდი-სებულ ასპექტებს შეეხება და კერძობისა და იზოლირებულობის გარკვეული ხარისხისაგან, თავისი არსის მიხედვით, არასოდეს არ შეიძლება თავისუფალ რე-იუს“ (გვ. 7—8). ავტორის მიხედვით, კერძომეცნიერული კვლევა აღგენს ემ-პირიულ კანონზომიერებებს, რომელთა ამაღლება ფილოსოფიურ რანგაქედ შესაძლებელია თვითონ ფილოსოფიის რესურსებით. ნაშრომის ძირითადი დე-ბულება სწორედ ის არის, რომ შთაგონების, ინტუიციის, ანტიციპაციისა და ხელოვანის მიერ ნაწარმოების მუდმივი სწორების მოვლენების მიჩნევა მხო-ლოდ ფსიქოლოგიურ ფენომენებად და, მაშასადამე, შემოქმედების არსთან შათი კავშირის შემთხვევითობის მტკიცება, პრინციპული ხასიათის შეცდომაა. შემოქმედების ფსიქოლოგიის მონაცემების ფილოსოფიურ რანგამდე აყვანას ავტორი იმით ახორციელებს, რომ შთაგონებას, ინტუიციას, ანტიციპაციას და სხვ. სათანადო არგუმენტების საფუძველზე მიიჩნევს შემოქმედებასთან არსე-ბითად დაკავშირებულ მოვლენებად და თვლის, რომ ეს მოვლენები ობიექტუ-რი ვითარებით, ობიექტურ-ღირებულებითი სფეროთია განპირობებული.

ამით ავტორი იმასაც უჩვენებს, რომ შემოქმედების ფილოსოფიურ და კერძომეცნიერულ კვლევებს შორის, განსხვავებასთან ერთად, გარკვეული კავ-შირიცაა.

ე. წ. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ავტორი იწყებს უშუალოდ შემოქმედების იმ ნიშნების დახასიათებას, რომლებიც შემოქმედე-ბას განასხვავებენ მოქმედების სხვა სახეებისაგან. სწორედ ამ ამოცანის გან-



ხორციელებას, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შემოქმედების არსის, მისი ბუნების გარკვევას ეძღვნება ნაშრომის მეორე ნაწილი.

ავტორის მიზანია გაარკვიოს ადამიანის შემოქმედების საკითხი. ამიტომაც საესეებით ბუნებრივია, რომ უწინარეს ყოვლისა, ნაშრომის ან ნაწილის დასაწყისშივე ხდება ტერმინ „შემოქმედების“ გამოჩენა სხვა მნიშვნელობით მისი მოხმარებისაგან. ეს ტერმინი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ვარიაციით იხმარება ლმერთის შემოქმედების, ანუ შექმნის, დაბადების, შობის, კრეაციის მნიშვნელობით და ალგვიწერს ლმერთის მიერ სამყაროს გაჩენა-შექმნის აქტს. ამნაირი გაგებით, შემოქმედება უკავშირდება თეოლოგიისა და სქოლასტიკის მსჯელობებს ლმერთისა და სამყაროს ურთიერთობის თაობაზე.

ყოველივე ამის გამო, საესეებით სწორია ავტორის პოზიცია იმ მხრივ, რომ გამოჩნულ იქნეს ტერმინი „შემოქმედება“ მისი სხვა, არა ადამიანთან დაკავშირებული მნიშვნელობით მოხმარებისაგან.

ნაშრომის ამავე ნაწილში ავტორის მიერ დაწვრილებით და საფუძვლიანად არის გაანალიზებული შემოქმედების არსის გაგებისათვის ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე ტერმინები, როგორცაა „აღმოჩენა“, „გამოგონება“ და „შექმნა“.

ი. კანტის, ჰ. ფაიჰინგერის, ი. ლაპშინის, ოვსიანიკო-კულიკოვსკის და სხვათა შესაბამისი დებულებების სათანადო ანალიზის საფუძველზე. ავტორი აყალიბებს მეტად საინტერესო და ორიგინალურ აზრს იმის თაობაზე, რომ მართალია, აღმოჩენის ნიშანი აუცილებელია შემოქმედებისათვის, მაგრამ აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს შემოქმედებას: „...შემოქმედება არის მოქმედება ღირებულებათა სფეროში, კერძოდ—ობიექტური ღირებულების ვითარებათა წვდომა და გამოსახვა. შემოქმედებითი მინალწევარის ობიექტურ-ღირებულებითი ხასიათი შემოქმედების არსს უკავშირდება — შემოქმედება არის აღმოჩენა ობიექტურ-ღირებულებით სფეროში; ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს შენამოქმედის ობიექტურ, საყოველთაო (ინტერსუბიექტურ) მოხმარებაზე, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი მინალწევარის შეფასების სუბიექტურობა-ობიექტურობის საკითხის გადაჭრისათვის, მეორე მხრივ კი, ეს მოღვაწეობის თვით წვდომით, აღმოჩენით, ე. ი. შემოქმედებით ხასიათს განსაზღვრავს: ობიექტური ღირებულებაა ის, რისკენაც ისწრაფვის შემოქმედი და რაც მის შთაგონებას, ინტუიციას, შემოქმედებითი პროცესის ანტიციპაციურ ხასიათს, შემოქმედის მიერ თავისი შენაქმნის გასწორების მიმართულებას განსაზღვრავს“ (გვ. 28).

ავტორი ლოგიკურად ავითარებს რა აზრს იმის შესახებ, რომ შემოქმედება არის არა ყოველგვარი აღმოჩენა, არამედ აღმოჩენა ობიექტურ ღირებულებათა სფეროში, მართებულად მიუთითებს იმაზეც, რომ მეცნიერული შემოქმედების შემთხვევაში, ობიექტური ღირებულება არის ჭეშმარიტება, ხოლო მხატვრული შემოქმედების შემთხვევაში ასეთ ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს მშვენიერება.

ავტორისათვის დამახასიათებელია განსხვავებულ მოვლენათა ახსნა ერთი ძირითადი პრინციპის საფუძველზე. ამის ნიმუშია ის, რომ შემოქმედების არსის დასადგენად იგი მიმართავს არა მხოლოდ ხელოვნებას და მეცნიერებას, სადაც, სხვათა შორის, ყველაზე ნათლად ჩანს შემოქმედების ბუნება, არამედ, ერთი შეხედვით თითქოს შემოქმედებისათვის ისეთ შორეულ სფეროს, როგორცაა ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო. ნაშრომში ამის თაობაზე

ნათქვამია: „ასეთივე ობიექტური ღირებულებითი ხასიათი აქვს შემოქმედებას ისეთ სფეროებში, რომელთაც პირობითად პრაქტიკულ-სფეროში შემოქმედება შეიძლება ვუწოდოთ. აქ იგულისხმება ტექნიკური, სამხედრო, პოლიტიკური და სხვა მსგავსი მოღვაწეობანი. პრაქტიკული მათ შეიძლება ეწოდოთ მეცნიერული (თეორიული) და ესთეტიკური მოღვაწეობისაგან განსასხვავებლად. მაგრამ, თუ ცოტა უფრო ღრმად ჩაუვყვირდებით, აღმოჩნდება, რომ აქაც გონითს მოღვაწეობასთან გვაქვს საქმე და სანამ ე. წ. „პრაქტიკული მოღვაწეობა“ გონითის, ობიექტური ღირებულების დონემდე არ ამალღებულა, მას შემოქმედებად ვერ ჩავთვლით“ (გვ. 29).

შემოქმედების პროცესი, მართალია, ობიექტური ღირებულებით წარმართება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შემოქმედებაში სუბიექტი და სუბიექტური ღირებულებანი გარკვეულ როლს არ ასრულებდნენ: „შემოქმედების რეალური პროცესი სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებათა ერთობლივი მოქმედების სფეროა, მაგრამ იმისათვის, რომ იგი შემოქმედებითი პროცესი იყოს, აუცილებელია, სუბიექტური ღირებულებები ვერაფერითაა ზიანს ვერ აყენებდნენ ობიექტური ღირებულებებით წარმართულ შემოქმედებით პროცესს...“ (გვ. 30).

ნაშრომის ამავე ნაწილში განხილულია შემოქმედების პროცესის ცნობიერობა-არაცნობიერობისა და შემოქმედებისა და საზოგადოებრივი პროგრესის ურთიერთობის საკითხები. შემოქმედებისა და საზოგადოებრივი პროგრესის ურთიერთმიმართების საკითხი საინტერესოდ არის ავტორის მიერ გადაწყვეტილი ღირებულებათა იერარქიის მოძრავი ხასიათის ჩვენების საფუძველზე.

შემოქმედების პროცესის არსებითი დახასიათებისათვის აუცილებელია ისეთი ტერმინის ანალიზი, როგორიცაა „სიახლე“. სწორედ ამ ტერმინის ანალიზია მოცემული სარეცენზიო ნაშრომის მესამე ნაწილში—„შემოქმედება როგორც ახლის ქმნა“. აქ ავტორი არჩევს და ასხვავებს ერთმანეთისაგან სიახლის რამდენიმე გაგებას: „ა) მინალწევარის სიახლის სუბიექტური განცდა, მაშინ როცა სინამდვილეში იგი ახალი არაა არც კაცობრიობისათვის, არც ეროვნული (თუ რომელიმე სხვა შემოთავარებული კულტურის) თვალსაზრისით და არც სუბიექტისათვის, ფსიქოლოგიურად...“

ბ) სიახლე ფსიქოლოგიურად (სუბიექტურად). ასეთ მოვლენასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მსგავსი მინალწევარი ცნობილია კაცობრიობისათვის, ეროვნულათვის, გარკვეული ჯგუფისათვის, მაგრამ უცნობია მისი ხელახლა აღმოჩენილი სუბიექტისათვის და მან დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით მიაღწია ამას...

გ) სიახლე რომელიმე კულტურული რეგიონის... თვალსაზრისით. „აღმოჩენის“ ასეთ ნიშანთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა კაცობრიობის კულტურისათვის (იმ პირობით, რომ მოცემულ ეპოქაში მაინც არსებობს კაცობრიობის საერთო, არაინვოლირებული კულტურა) იგი ახალი არაა, ცნობილია, მაგრამ რომელიმე კულტურული რეგიონისათვის, რომელშიც ხელახლად აღმოჩენილი მოღვაწეობს, ეს სიახლეა...“ (გვ. 39 — 40).

სიახლის ყველა ამ გაგებას უპირისპირდება სიახლის ისეთი გაგება, როცა გვაქვს სიახლე ობიექტურად, როგორც კაცობრიობის ისტორიაში პირველ-მინალწევარი. აქვე ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „სიახლე ყოველთვის უპირისპირდება დოგმატურს, რუტინას, ტრადიციებით განმტკიცებულ შეხედულებებს. ამიტომ შემოქმედება რეველუციურია თავისი არსითვე და, როგორც ასეთი, უძნელეს ბარიერებს აწყდება“ (გვ. 41).



აღნიშნულთან დაკავშირებით, ავტორი განიხილავს გენიოსისა და ტალანტის შესახებ გავრცელებულ სხვადასხვა თვალსაზრისებს. აქვე არკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ ვის წარმოადგენს შემოქმედი თავისი შემოქმედებით, თავისთავიდან გამოჰყავს მას მთელი ეს შინაარსი, თუ გარემოდან. ამ მიზნით ნაშრომში გარჩეულია თეორიათა სამი ჯგუფი. როგორც ცნობილია, „ერთი რიგის თეორიები გენიოსს ავტონომიურ წარმონაქმნად მიიჩნევენ, მეორე რიგის თეორიები გარემოს პროდუქტად თვლიან მას, მესამე ჯგუფი თეორიებისა ამ ორი ნიშნის ერთიანობაზე ლაპარაკობს“, — აღნიშნავს ავტორი. ამ თეორიათა საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, ნაშრომში სათანადოდ არის გაშუქებული აგრეთვე საკითხი ასახვისა და შემოქმედების ურთიერთმიმართების შესახებ.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში მოცემულია შემოქმედების სახეების კლასიფიკაცია. ავტორი არ ეთანხმება შემოქმედების ვიწრო გაგებას, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მხატვრული შემოქმედება, როგორც „შექმნა“, არის აღიარებული შემოქმედების ერთადერთ სახედ. ავტორისათვის მიუღებელია შემოქმედების სახეების ისეთი დაყოფაც, რომელიც რიბოს ეკუთვნის.

ავტორის მიხედვით, სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულება, ადამიანის მოღვაწეობა ოთხი ძირითადი ფორმით ხორციელდება, ამის თაობაზე ნაშრომში აღნიშნულია: „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ადამიანის მოღვაწეობა ოთხი განსხვავებული აქტის სახით განაწევრდება — თეორიულ, ესთეტიკურ, ეთიკურ და პრაქტიკულ აქტებად, მაშინ შემოქმედების ოთხი შესაბამისი სახე უნდა გამოვყოთ“ (გვ. 53).

ავტორის მიხედვით, თეორიული მოღვაწეობა, პრაქტიკული საქმიანობა, ესთეტიკური განწყობა და ზნეობრივი აქტები სინამდვილისადმი დამოკიდებულების განსხვავებული ფორმებია, ისინი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებიან, მაგრამ სწორედ ამ ფორმებში და მათი მეშვეობით ხდება ადამიანის არსობრივ ძალთა გამოვლენა. მიუხედავად მათი განსხვავებულობისა, მოღვაწეობის ყველა ზემოთ აღნიშნული ფორმის, სინამდვილისადმი დამოკიდებულების, შემოქმედებითი მიმართების წარმმართველია ობიექტურ-ღირებულებითი ვითარება.

ნამდვილი შემოქმედება აუცილებლობით გულისხმობს თავისუფლებას. შემოქმედება, რომელიც კულტურის შექმნის აუცილებელი პირობაა, წარმოუდგენელია პიროვნების აქტიური, თავისუფალი მოღვაწეობის გარეშე. ამიტომაც, შემოქმედების არსის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის შემოქმედებისა და თავისუფლების ურთიერთობის, უფრო ზუსტად, შემოქმედების როგორც თავისუფლების საკითხის განხილვას. ეს საკითხი ავტორს ნაშრომის ბოლო, მეხუთე ნაწილში აქვს განხილული, აქვე მოცემულია შთაგონების ფენომენის, ინტუიციისა და ანტიციპაციის მოვლენების ანალიზი.

შემოქმედებაში ავტორი ორ მომენტს განასხვავებს: თავისუფლების ნეგატიურ ხასიათს და ამის საპირისპიროდ, პოზიტიურ ხასიათს თავისუფლებისას. შემოქმედების განწყობის ნეგატიური ფუნქცია ავტორის მიხედვით, გარკვეულ ბიოლოგიურ ბარიერთა მოხსნაში მდგომარეობს, მაგრამ მისივე აზრით, მთავარი მაინც სოციალური ბარიერების გადალახვაა: „შემოქმედმა პიროვნებამ უნდა დაწყვიტოს ტრადიციების, ადამიანის ეკონომიური და სულიერი გაუცხოების ის არტახები, რომელთაც იგი შეუბოჰავს და რომელნიც ხშირად ობიექტური ღირებულების პრეტენზიებს აცხადებენ, სინამდვილეში კი რომე-

ლიმე ჯგუფის (ჩვეულებრივ—გაბატონებული კლასის) ინტერესებს გამოხატავენ და ობიექტურ ღირებულებებს ეწინააღმდეგებიან“ (გვ. 60).

შემოქმედებითი განწყობის პოზიტიური ფუნქცია კი თავს იჩენს შემოქმედების პროცესის პოზიტიური დახასიათებისას, რაც შთავგონების, ინტუიციისა და ანტიციპაციის პრობლემებს უკავშირდება და, რის განხილვასაც სპეციალურ პარაგრაფს მიუძღვნის ავტორი. აქ კრიტიკულადაა შეფასებული ისეთი უკიდურესი შეხედულებები, რომლებიც ან უარყოფდნენ შთავგონების, ინტუიციისა და ანტიციპაციის ფენომენთა როლს შემოქმედებაში, ან მისტიკური საბურველით მოსაგვენ მათ და ამ გზით უარყოფენ ამ ფენომენთა მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას: „არც ერთი ამ თვალსაზრისთაგან სწორი არაა — შთავგონების, ანტიციპაციის და ინტუიციის არსებობა და შემოქმედებასთან მათი კავშირი უდავოა და ამავე დროს ისინი არ არიან მისტიკური ხასიათისა, ექვემდებარებიან მეცნიერულ ანალიზს... ამ ფენომენთა უცნაურ ხასიათი მაშინვე მოიხსნება, როგორც კი დავინახავთ, რომ ეს არის ობიექტური ღირებულებებით ვითარებით შემოქმედების პროცესის განსაზღვრის შედეგი“ (გვ. 60).

ამავე პარაგრაფში მოცემულია შთავგონების, ინტუიციისა და ანტიციპაციის ცნებათა საფუძვლიანი და დამაჯერებელი ანალიზი.

ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი ნაშრომში განხილულია მაღალმეცნიერულ დონეზე. ავტორი საკითხების მხოლოდ დაწვრილებითი და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე აკეთებს სათანადო დასკვნებს. ნაშრომში კრიტიკულადაა გადამუშავებული შემოქმედების არსის თაობაზე საბჭოთა და უცხოურ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები. ნაშრომის უმთავრეს ღირებულ უნდა ჩიითვალოს ის, რომ ავტორი საგანგებოდ წამოსწევს წინა პლანზე პრობლემასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და თვითონვე სახავს ამ სიძნელეთა დაძლევის გზებს.

ნაშრომის მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნები: 1. როდესაც ავტორი იხილავს შემოქმედებისა და ასახვის ურთიერთობის საკითხს (გვ. 46—50), იგი ემყარება ასახვის ვიწრო გაგებას — ასახვა გაიგივებულია ცოდნასთან, მეცნიერებასთან. აღნიშნული საკითხის უფრო სრული და ამომწურავი განხილვის მიზნით, სასურველი იყო აქ ავტორს ყურადღება გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ ასახვის ცნებას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სრულიად განსხვავებული შინაარსები გააჩნდეს. ასე, მაგალითად, სინამდვილის ასახვა მეცნიერებაში ყოველთვის ნიშნავს ამ სინამდვილის ცოდნას, მაშინ როცა იმავე სინამდვილის ასახვა, ვთქვათ მორალში, ესთეტიკურ აქტში, და ა. შ. აუცილებლად არაა დაკავშირებული ცოდნასთან, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არის აუცილებელი, რომ მორალური პრინციპი იმის ცოდნას შეიცავდეს, რასაც იგი ასახავს. ე. ი. ყოველი შემეცნება კი არის ასახვა, მაგრამ არა ყოველი ასახვა შემეცნება. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ავტორს კარგად მოეხსენება, მაგრამ ნაშრომის ძირითადი იდეა, ჩვენი აზრით, აუცილებლობით მოითხოვს შემოქმედების მიმართება გარკვეულ იქნეს არა მხოლოდ ასახვასთან, როგორც ცოდნასთან და მეცნიერებასთან, არამედ ასახვასთან ფართო გაგებით.

2. ავტორი სავსებით მართებულად თვლის, რომ როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების შემთხვევაში შემოქმედება არის აღმოჩენა ობიექტურ ღირებულებათა სფეროში და იქვე მიუთითებს იმაზეც, რომ მეცნიერებისა-

თვის ეს ობიექტური ღირებულება არის ჭეშმარიტება, ხოლო ხელოვნებისათვის მშვენიერება. კარგი იქნებოდა აქ ყურადღება გამახვილებულიყო ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე: მართალია, მეცნიერებაც და ხელოვნებაც შემოქმედებაა, მაგრამ ამ ორ სფეროში განსხვავებულია ე. წ. „თავისუფლების ხარისხი“. როგორც ნ. ჰარტმანი ამბობს: „მხატვრული თავისუფლება... წარმოადგენს შესაძლებლობათა თავისუფლებას, ამასთან თითქმის უსასურრო შესაძლებლობათა თავისუფლებას“. აქედან გამომდინარე, აგრეთვე სასურველი იყო, ნაშრომში შედარებით ვრცლად ყოფილიყო განხილული საკითხი შემოქმედებისა და თავისუფლების ურთიერთობის თაობაზე.

3. შემოქმედების ღირებულებითი ბუნების გასარკვევად ავტორი განასხვავებს ერთმანეთისაგან ორგვარ ღირებულებას — ობიექტისა და სუბიექტის ღირებულებას (გვ. 32—35). ნაშრომის ამ ნაწილს, ჩვენი აზრით, სჭირდება დახვეწა და ნათელყოფა. არ არის ნათელი, თუ რას მატებს საკითხის არსებით განხილვას ღირებულების ისეთი ანალიზი, რომელსაც ავტორი ახდენს.

4. ნაშრომში გვხვდება კორექტურული ხასიათის შეცდომები, რომელთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია შეცდომა მე-15 გვერდზე, სადაც წინადადებაში გამოტოვებულია სიტყვა, რითაც მთელი წინადადების შინაარსი იცვლება და არასწორად იკითხება: „ნეოპოზიტივისტებს მიაჩნიათ, რომ ამაო იყო კანტის ცდა მსჯელობებისათვის დამახასიათებელი დამარწმუნებლობა მიენიჭებინა, ზოგიერთი სინთეზური მსჯელობისათვის მაინც“. აქ გამოტოვებულია სიტყვა ანალიზური, უნდა იყოს „ანალიზური მსჯელობებისათვის“ და არა საერთოდ მსჯელობებისათვის, როგორც ნაშრომშია.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ თ. ტაბიძის წიგნი „შემოქმედების არსი“ წარმოადგენს უაღრესად აქტუალურ პრობლემაზე დაწერილ ორიგინალურ ნაშრომს, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება. ნაშრომი ისეა დაწერილი, რომ ვასაგები იქნება არა მარტო შემოქმედების პრობლემათა და ინტერესებულები სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ირაკლი კალანდია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

113/18



ფასი 70 კპკ.

Индекс 76195